

# პრეზენტაცია მთხოვთა

მომზადებელი. პ. სამხონძე.—ლექსი ექონო-  
მიურ კონტრალევოლიუციაზე. ს. აბულაძე.—ვის  
საქმეს აკეთებენ?! შ. რაფიანი.—იონა ვაკელი.  
შ. ნაფთლულელი.—მ. გორგის. ი. ხოშტარია.—ვნახე  
ყრილობაზე. თანამებრძოლი. ს. წვერავა.—ჭერქვე-  
შელის ნაამბობი. ლ. ჭიჭინძე —შემოსწრებული.  
ლ. ავერბაში.—რას ნიშნავს ნაპოსტოველობა.

სპრილი

4

სახადება

1928

# ՆՐԱՆԿԱՑԿԱԿԱԳՈ ԹԵՇՏԻՇՎԱ

№ 4.  
(16)

፩፭፻፲፯

1928-71

საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ახლციაციის  
ყოველგვიჯრი ღრგან.

১. দ্বীপান্তরিস, ২. প্রাচ্যের স্থান, ৩. লম্বাৰ্দিৰামণিৰিস, ৪. মাহাৰেশুলোনিৰ, অৱানিস, ৫. রোমফুলোনিৰ দ্বাৰা কৃষ্ণেৱানোনিৰুণোনিৰ রূপ আৰু প্ৰৱৰ্ণনা।

პროლეტარულ მფერალთა უკელა ასოციაციებს  
პირზაც ახდანაგდო!

1928 წ. 25 პპრილს გაიხსნება პროლეტარულ მწერალთა 1-ლი სრულიად საკავშირო ყრილობა. „ვაპპ“-ის დღევანდველ ხელმძღვანელ ორგანოებმა თავისი უფლებამოსილება მიიღეს პროლეტარულ მწერალთა სრულიად საკავშირო საგანგებო კონფერენციაზე 1926 წელს.

სრულიად საკავშირო კონფერენციამ გაუკეთა ჯამი პროლეტა-რული მწერლობის მოძრაობის პირველ ეტაპს, რომელმაც ორგანიზაციულად შეკავშირა პროლეტარული ლიტერატურა. ს. კ ვ. (ბ) რეზოლუციაში ნათლად იყო გარკვეული პარტიის გეზი მხატვრულ ლიტერატურაში. პროლეტარული მწერლობის წინაშე მთელი თავისი მნიშვნელობით წამოიქმნენ შემოქმედებისა და სწავლის საკითხები, შემოქმედებითი-სასწავლო ეტაპზე გადასცელას არ ჩაუვლია უმტკივნეულოდ პროლეტარული ლიტერატურისათვის. ვაპ-ის შინაგან უთანხმოებებს, რომელმაც გამოიწვია ეგრედწოდებული „მემარჯვენი“ ოპოზიცია და ვარდინ-როდოვ-ლელევიჩის ხელმძღვანელ ჯგუფის მოხსნა (საგანგებო კონფერენციაზე 1926 წ. 1 ოქტომბერი).

ცხადია, მარტო ლიტერატურაში კი არ ჰქონია თავისი ძირები. „შემარტენეობის“ ღროშის ქვეს გამოდიოდენ ტროცისტები, რომელთაც თავისი თეორია გადაპქნიდათ ლიტერატურულ საკითხებში. შემარტენეთა უმნიშვნელო ჯგუფის გარდა, სრულიდად საკაშირო

პროლეტარულ მწერალთა ასოციაციამ ერთხშიდ წამოაყენა პარტიული ხელმძღვანელობის შეურყევლობისა და ს. კ. ბ. (ბ) ცეკვის რეზოლუციის მართებულობის პრინციპი, მანვე თავის ძირითად ლოზუნგათ მიიღო—სწავლის, შემოქმედებისა და თვითერიტიკის ლოზუნგი, და ოგრეთვე ვაპპ-ის ძირითად ორგანიზაციულ საფუძვლად აღიარა ფართო მასსიური ორგანიზაციის პრინციპი. ჩვენ შევსძელით ორგანიზაციის შემოქმედებითი რონებზე გადავვანა. და თუ 1920/27 წ. ჩვენ კიდევ იძულებულნი ვიყავით დროის მნიშვნელოვანი ნაწილი „მემარცხენეთა“ ინტრიგაზე მოვარდისა, რომელმაც თავისი გამოსახულება ხაჭილობრივად ჰქოვა აღმანახ „უდარ“-ის გამოცემაში, სამაგიეროთ 1927/28 წ. სასწავლო-შემოქმედებითი მუშაობისათვის შედარებით ნორმალურ პირობებში განვლო.

„ვაპპ“-ის ხელმძღვანელობის გეზი მოწონებულ იქნა 1926-27 წ. „ვაპპ“-ის ყველა პლენუმებზე, ბიუროს გაფართოებულ სხდომებზე, რომელშიდაც მონაწილეობას იღებდნენ პროლეტარულ მწერალთა აღგილობრივ ასოციაციათა წარმომადგენლები, მოწონებულ იქნა აგრეთვე „ვაპპ“-ის ხელმძღვანელობის გეზი. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციების ყველა რესპუბლიკანურ, საოლქო, და საგუბერნიო მრავალრიცხვან ყრილობებზე და კონფერენციებზე, რომლებიც წინ უძლოდნენ სრულიად საკავშირო ყრილობას. ამ კონფერენციებიდან ჩვენ განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ მოსკოვის კონფერენცია 1927 წ. მაისში, რომელზედაც შემოქმედებითი საკითხებმა მიიბყრეს ჩვენი ორგანიზაციის მთავარი ყურადღება, აღსანიშნავია აგრეთვე ლენინგრადის კონფერენცია 1928 წ. იანვარში. ჩვენ უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე წინად დაჩაგრულ ეროვნებათა პროლეტარულ მწერალთა ორგანიზაციების ყრილობები, სადაც საერთო შემოქმედებითი პრობლემები მციროთ დაუკავშირდენ ნაციონალურ ლიტერატურის განვითარების სპეციფიურ პრობლემებს.

ეს ყრილობები მოწმობენ პროლეტარულ ლიტერატურის სწრაფ ზრდას ნაციონალურ რესპუბლიკებში. სწორედ სრულიად საკავშირო ყრილობის წინ დასრულდა წინად დაჩაგრულ ეროვნებათა პროლეტარულ მწერლობის გაერთიანება „ვაპპ“-ის რიგებში. ამრიგად, სრულიად საკავშირო პროლეტარულ მწერალთა ყრილობა, რომლისათვის მხადებამ გამოამელავნა „ვაპპ“-ის ყველა ორგანიზაციების ერთსულოვნება, იქნება ნამდვილი სრულიად საკავშირო პირველი ყრილობა, სადაც წარმოდგენილი იქნებიან საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთა პროლეტარული მწერლები.

1925 წ. სრულიად საკავშირო კონფერენციის შემდეგ, მოხდა ლიტერატურულ ძალთა მნიშვნელოვანი გადაჯგუფება, როგორც იდეოლოგიის აგრეთვე შემოქმედებითი მეთოდების სფეროში.

უკეთ ჩამოყალიბდენ ნეობურუუაზიული ელემენტები ლიტერატურაში; კერძოდ, ნეობურუუაზიულმა განწყობილებამ თავი იჩინა ნაციონალურ რესპუბლიკებში, სადაც ახალი ბურუუაზია გამოდის შოვინისტურ დროშის ქვეშ.

შემცდარია და არსებოთად ლიკვიდატორულია იმათი ცდები ვინც უარყოფს ახალი ბურუუაზიის საფრთხეს. უკანასკნელი არა მარტო იმ მწერალთა შემოქმედებაში არსებობს, რომელთაც ჩვენ ვთვლით ახალი ბურუუაზიის მწერლებათ, არამედ თანამგზავრთა შემოქმედებაზიაც — საზოგადოებრივი პრასკექტივების დამახინჯების ფორმით, საბჭოთა სინამდვილისაგან დაცილების სახით, სოციალისტურ კულტურულ მებრძოლის — კაპიტალისტით შენაცვლების სახით და სხ.

ნეობურუუაზიული საფრთხე არსებობს აგრეთვე პროლეტარულ მწერალთა ზოგიერთ უწინიშვნელო ჯგუფების შემოქმედებაზიაც, რაც გამოიხატა კლასიკოსებისა და ზოგიერთ თანამგზავრების უკრიტიკოთ შესწავლაში. ზოგიერთ თანამგზავრების რამოდენიმეთ იდეოლოგიურ ზეგავლენაში (არა მარტო ფორმულების). მიუხედავათ ამისა, ნეობურუუაზიულ ელემენტების გავლენა ლიტერატურაში ამ დროის განმავლობაში არა თუ გაიზარდა, არამედ შემცირდა.

თანამგზავრების შემოქმედებას უკანასკნელ წლებში ორგვარი ხასიათი ჰქონდა. გაძლიერდა თანამგზავრების დიფერენციაცია. ზოგი წავიდა მარჯვნით, ზოგი — გზაჯვარედინშე შეჩერდა, რამაც რამოდენიმეთ გამოიწვია, მათი შემოქმედების კრიზისი. ზოგი კიდევ საგრძნობლად დაუახლოედა საბჭოთა ხელისუფლებას. საჭიროა თანამგზავრების ორ თაობათ გაყოფა: ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ახალი თაობის თანამგზავრობიდან გამოვიდა ისეთი მხატვრული ნაწარმოები, რომელიც მათ აახლოებს პროლეტარულ ლიტერატურასთან. ამიტომ დაუშვებელია დღეს თანამგზავრების, როგორც მთლიანი მოვლენის განხილვა. ასეთი დიფერენციაცია აუკალებელი პირობაა იმისათვის, რომ შემდეგში სწარმოებდეს თანამგზავრების გამოყენება, მათი ზელმძღვანელობა, მათთან მუშაობა. ასეთი დიფერენციაცია გამოწვეულია იმ ლრმა კლასობრივი პროცესებით, რომელსაც ეხლა ადგილი აქვს ჩვენს ქვეყანაში და რაც კიდევ უფრო დააჩქარა „ვაპპ“-ის სწორმა პოლიტიკამ (კერძოდ — საბჭოთა მწერლების ფედერაციაში) და პროლეტარული ლიტერატურის ხვედრითი წონის ზრდამ.

ძალების ასეთმა გადანაწილებამ ლიტერატურაში გამოიწვია „კორონშინის“ იდეური გაეოტრება. მაგრამ „კორონშინის“, ნარჩენები კიდევ ცოცხლობენ კორონსკის ხაზის ვულგარულ გამგრძელებლებში, რამდენიმეთ გაძლიერებულ ლიტერატურულ ობიექტებშინაში, უპრინციპობაში და ეკლექტიზმში. ყოველივე ამან თავის ნავსაყდელი ჰქონა აჩვენალელ და პისატელ“-ის მსგავს გამოცემებში, გახრწნილ „პერვალა“-ში და სხ. ასე ხდება ყოველთვის. პრინციპითილური ხაზის გაკოტრებას ყოველთვის თან მოყვაბა იდეური გახრწნილება.

თანამგზავრებზე გავლენის მოპოების საქმეში ვაპპ-ი ყოველთვის ეკრდნობოდა მემარცხენე თანამგზავრობას, კერძოდ ლეფ-ს. ჩვენ ყოველთვის ვაქცევთ ყურადღებას ლეფის ორგანიზაციას, განსაკუთრებით მის ხელოვნების თეორიას, რომელშიდაც ხშირად მნიშვნელოვან აღილს იყვებენ ობიექტურად რეაქციონური ელემენტები.

ხოლო, ჩვენ არ ვავი წყებდით აგრეთვე, რომ ლეფის ძირითადი კადრი ჯერჯერობით ჩვენთან ახლო მდგომი საბჭოთა ინტელიგენციის ნაწილია, ამიტომ ჩვენ ვიცავდით ლეფს პოლონსკის თავდასხმებისაგან 1927 წ. დასაწყისში. პოლონსკის გამოსვლა ლეფის წინააღმდეგ ნიშნავდა თავდასხმის მარჯვნიდან და აშეარა მემარჯვნე ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხების მიჩრებას ლიტერატურაში. მიუხედავად ამისა ჩვენ არ შევიწყებითა ლეფის კრიტიკა და უკანასკნელ თვეებში კრიტიკა მის წინააღმდეგ კიდევ უფრო განვავითარეთ. ლეფის გალაშერება ცოცხალი ადამიანის ლოზუნგის წინააღმდეგ; ფსიქოლოგიზმის შიში; ხელოვნების თეორეტიული უარყოფა; ბრძოლა კლასიური ლიტერატურული მემკვიდრეობის კრიტიკულად გამოყენდის წინააღმდეგ; სოციალური დაკვეთის ვულგარიზაცია, —მხატვრულ ლიტერატურის საგანეთო ფელეტონმატე დაყანა; ლაპარაკი იმის შესახებ, რომ „ეკონომიკა იდეოლოგიაში გადაისო“, რომ ჩვენ ეხლა განვიცდით კულტურულ კრიზისს, რომ ლეფი ერთად ერთი რევოლუციონერია ხელოვნებაში, დაბოლოს, ლეფისა და მემარჯვენე ფორმალისტების მცადრო თანამშრომლობა:—ყველა ეს ფაქტები ამოწმობენ იმ გარემოებას, რომ ლეფი ეხლა ღრმა კრიზისს განიცდის, რასაც თან მოპყვა რამოდენმერ თანამებრძოლის ჩამოცილება, რომ ლეფის წინანდელი თვალსაზრისი ეწინააღმდეგება კულტურული რევოლუციის ამოცანებს. ლეფის როლი, როგორც საბჭოთა ინტელიგენციის ნამდვილი მემარცხენე-რევოლუციონური ელემენტების გამაერთიანებელი ლიტერატურაში, თანდათანობით გადადის სხვა მემარცხენე მწერალთა დაჯგუფებების ხელში, კერძოდ

კონსტრუქტივისტების ხელში. ჩვენ სწორად ვსთვლით ვაპნის ტაქ-  
ტიკას, რომელიც მიმართულია ლეფთან ბლოკის შესაკვრელად. მა-  
გრამ ამასთანავე ჩვენ საკუთარ მოვალეობათ ვსთვლით მიუთითოთ  
ლეფს, რომ მისი დღევანდელი გზა ასტა რევოლუციონურ საბ-  
ჭოთა ლიტერატურის განვითარების გენერალურ ხაზს.

გლეხური ლიტერატურა, რომელიც ჩვენი უშუალო მოკავში-  
რეა, დღემდე თავისი განვითარების პირველ საფეხურზე სდგას. სრულიად რუსეთის გლეხურ მწერალთა ცენტრალურ საბჭოს ხელმ-  
ძღვანელ შემადგრნლობის განახლება გვაძლევს იმედს, რომ გლეხურ  
მწერალთა ორგანიზაცია უახლოეს დროში შესძლებს, სასწავლო-შე-  
მოქმედებითი მუშაობის სწორად დაყენების პირობებში, თავის ორ-  
განიზაციულ ჩამოყალიბების დასრულებას და ხელს შეუწყობს თა-  
ვისი წევრების შემოქმედებითი უნარის გამოფენას.

ვაპნის ინიციატივით შეიქმნა საბჭოთა მწერალთა დაჯგუფე-  
ბათა ფედერაცია რ. ს. ფ. ს. რ. ეს ორგანიზაცია სადირქმეტივო  
ორგანოების მიერ დამტკიცებულ იქმნა მხოლოდ 1927 წ. დასას-  
რულს; ასე რომ ჯერ-ჯერობით მან ვერ მოასწრო თავისი მოქმედე-  
ბის საკმაოდ გამომელავნება. ვაპნის დელეგაცია ფედერაციის საბ-  
ჭოში ყოველთვის. აწარმოებდა მემარტენე ბლოკის ტაქტიკას. ასე-  
თი მემარტენე ბლოკი არ შეიძლება გაგებულ იქმნას როგორც იუ-  
რიდიულად გაფორმებული მუდმივი შეთანხმება.

იმ დროს როცა ლიტერატურის მემარჯვენე ელემენტები ფე-  
დერაციის შექმნაში ხედავდნ კლასობრივი ზღუდეების გაუქმებას  
ლიტერატურაში, ვაპნი ფედერაციის შექმნის აზრს ხედავდა საბ-  
ჭოთა ლიტერატურის სხვა და სხვა ჯგუფების ამხანაგურ თანამშრო-  
მლობაში, ამით მას სურდა მწერლობის ჩამა სოციალისტურ აღმშე-  
ნებლობაში, ეს კი თავის მხრით გამოიწვევს მწერლობის უფრო მეტ  
კლასობრივ დიფერენციაციის და მათ გამიჯვნას სოციალიზმის მი-  
მართ მტრულად განწყობილ მწერლობისაგან. უკვე დაიწყო დიფე-  
რენციაცია თანამგზავრულ ბანაში. მაგრამ ჯერ კიდევ არ არის  
დაძლეული თანამგზავრების ზოგიერთ ფენების საზოგადოებრივი  
„ნეიტრალობა“, ჯერ კიდევ არ არის ქედმობრილი მემარჯვენეთა  
გავლენა. ასე თუ ისე, ფედერაცია მთლიანად სწორ გზაზე სდგას.

პროლეტარული ლიტერატურა სწორედ უკანასკნელი ორი  
წლის განმავლობაში წავიდა წინ გიგანტური ნაბიჯით.

მისი შემოქმედებითი მიღწევები შედეგია ხანგრძლივი სერიო-  
ზული მუშაობის. პროლეტარული ლიტერატურის კველა ფენებში,  
ვაპნის კველა მრავალრიცხოვან ასოციაციებში. და წრეებში—კველ-

გან, დეკლარაციიდან მუშაობის შესახებ ჩვენ გადავედით უშვალო  
მუშაობაზე.

საქართველო  
სამართლებრივი სამსახური

პროლეტარული მწერალი—ეს ნიშნავს იყო კარგი ლენინელი; ეს ნიშნავს—იყო ფართოდ — განათლებული ადამიანი; ეს ნიშნავს— იყო საზოგადო მოღვაწე; ეს ნიშნავს—იყო მაღალი მხატვრული კულტურის მფლობელი; ჩვენ ყველამ უნდა გამოვმომედოთ საკუთარი ნება—და დავეცფლოთ კულტურას. ჩვენ ვერ გავანაწილებთ პროლეტარულ მწერლის სწავლას „საზოგადოებრივად“ და „ფორმალურად“.

ჩვენ მოვითხოვთ მისგან ლენინიზმის კარგ ცოდნას და დიდ მხატვრულ კვალიფიკაციას. ამიტომ ჩვენ ვულგარული ლოუნგების წინააღმდეგი ვართ, როგორც მაგალითად „საზოგადოებრივი სწავლის პრიმატი ფორმალურ სწავლაზე“ და სხ. ვაკე—ის ყველა ორგანიზაციებმა ვერ შესძლო სწავლის მოწესრიგება.

ვაპსის ზოგიერთ ორგანიზაციებში კიდევ არსებობს „მაღალი პოლიტიკისა“ და ორგანიზაციული საკითხებით გატაცება. ზოგი—უმთავრესად გატაცებულია ფორმალური ძიებებით და კერძო შემთხვევებში უკრიტიკოთ სწავლობენ ზოგიერ კასაკოსებსა და თანამგზავრებს. ორივე შემთხვევაში საჭიროა გეზის გამოსწორება.

ჩვენ ამ წერილში არ ვილაპარაკებთ ცალკე პროლეტარულ მწერლების მხატვრული მიღწევების შესახებ. ამ მიღწევებს ყველა ამხანავი იცნობს. უდაოა, რომ პროლეტარული მწერლობის მხატვრული დონე მნიშვნელოვანად გაიზარდა, რომ „გალრმავდა თანამედროვეობის ძირითადი თემების დამუშავება, რომ მთელ რიგ პროვინციებმა გამოჰყეს საქამაო რაოდენობის ახალი კვალიფიციური მწერლობა, რომ გაიზარდა პროლეტარული ლიტერატურული ახალგაზრდობა. კერძოდ ვაპსის ცენტრალური ორგანო „ოქტომბერი“ უკვე ამჟღავნებს პროლეტარული ლიტერატურის მხატვრულ გაძლიერებას.

ვაპსის შედიან სხვადასხვა ფორმალურ მიმართულებათა წარმომადგენლები. მაგრამ, უკვე ეხლა მოსხიანს ის ძირითადი ხაზი, რომლითაც განვითარდება პროლეტარული ლიტერატურა. ეს არის პროლეტარული მხატვრული რეალიზმი, რომელმაც უნდა სდლიოს კლასიკების რეალიზმი, გამდიდრდეს სხვა ლიტერატურულ მიმართულებათა გამოცდილებათ, და გვაჩვენოს თანამედროვე ცოცხალიადამიანი. შემოქმედების პრობლემები, რომელიც წამოიკრენ პროტარული ლიტერატურის წინაშე, განხილული კრებულში „პროლეტარული ლიტერატურის შემოქმედებითი გზები“; ეს კრებული უკვე

დაეგზაუნა ჩვენი ასოციაციების უმრავლესობას. უკანასკნელ ხანგბში ცოცხალი ადამიანის ჩვენების ლოზუნგმა გამოიწვია თავდასხმა და ყალბი გაეგძა. ზედმეტია ლეფშე და „პერვალ“-ზე ლაპარაკი, ზოგიერთი ამხანაგები როგორც ვაპპში ისევე მის გარეთ ამცირებენ პროლეტარული ლიტერატურის ამოცანებს; მის შემოქმედებას განსაზღვრავენ ყოფითი მომენტებით, მხარს უკერან შტამპს, და ვიწრო რაციონალისტურად უდგებიან საზოგადოებრივი ადამიანის სახეობას. კრებული „პროლეტარული ლიტერატურის შემოქმედებითი გზები“ რომლის მასალები დაედება საფუძვლათ ყრილობაზე ჩატარებულ მთელ რიგ მოხსენებებს, აშუქებს ვაპპის პოზიციას ამ საკითხში. რაც უნდა მწვავე ხასიათს იღებდეს კამათი, ჩვენ შეგვიძლია ერთი ვსოდეთ: ცოცხალი ადამიანის ჩვენების ლოზუნგის მოწინააღმდეგეთ სერიოზული საწინააღმდეგო დებულება არ წამოუყენებიათ.

შემოქმედების პრობლემებმა ვაპპი მიიყვანა ხელოვნების საერთო პრობლემებთან. ზოგიერთი ჩვენი მეგობარი და არა მეგობარი ამაში ხედავენ ვაპპის „აკადემიათ“ გადაქცევის საშიშროებას. ეს ცხადია, არ არის მართალი.

ვაპპს არ შეუძლია მონაწილეობა არ მიიღოს ხელოვნებისა და მარქსისტული მეთოდოლოგიის პრობლემების დამუშავებაზი ხელოვნების სფეროში, რადგან მარქსისტული ხელოვნების მცოდნეობა ჯერ კიდევ არ არის დამუშავებული. პროლეტარულმა ლიტერატურან საბჭოთა კავშირში, მიუხედავათ მისი ნაკლუვანებისა, წინ გაუსწორ მარქსისტულ კრიტიკას, თუმცა უკანასკნელსაც იქვს გარეპული მიღწევები. ჩვენ განსაკუთრებით აღვნიშნავთ უურნალ „ნა ლიტერატურნომ პოსტუ“-ს მიღწევებს, რომელიც ბრძოლით იცავს პროლეტარულ ლიტერატურას. მარქსისტული კრიტიკის მდგომარეობისა და ამოცანების შესახებ ყრილობაზე გამოყოფილია სპეციალური მოხსენება. ამიტომ ერთად ერთი საყვედური ვაპპის მიმართ შეიძლება იქნეს მხოლოდ ის, რომ ჩვენ საკმაო ყურადღებას არ ვაქციუდით ხელოვნების საერთო პრობლემებს.

ვაპპი გარდა პროლეტარულ ხელოვნების თანამესაზღვრე სფეროების მუშაკთა გამაერთიანებელ ცენტრად, კერძოდ, — თეატრი და კინო (ვაპპის დრამატული და კინოსექცია).

ხელოვნების ეს სფეროები ახლო დგანან ლიტერატურასთან. სწორედ ამ სფეროებში უკანასკნელ დრომდე არ არსებობდა ნორმა-ლური პირობები. პროლეტარული ლიტერატურა აუცილებლად უნდა შეიქმნას დრამატურგაში და კინოში. თეატრალურმა თათბირმა და კინო თათბირმა, რომელიც ვაპპი-ის უშუალო მონაწილეობით მოე-

წყო ს. კ. პ. (ბ) ცეკასთან, გამოიტანეს მნიშვნელოვანი დადგენილებები, საბჭოთა თეატრისა და კინოს იდეოლოგიური ხაზის გამოხატვის სწორებლად. ჩვენ ხელი უნდა შეუწყოთ ამ დადგენილებების განხორციელებას.

ვაპსი იქცა სრულიად საკავშირო ორგანიზაციად. საბჭოთა კავშირის ეროვნებათა ნაციონალურ პროლეტარულ ლიტერატურათა გაერთიანება (1928 წ.) ვაპსი შემოვიდა მელორუსის „მალადნიაკ“, ვოტიაქების რევოლუციონური მწერლობის გაერთიანება და სხ. ვაპსის გამგეობა ახლო გაეცნო ეროვნულ ლიტერატურათა მდგომარეობას (უკრაინა, ბელორუსია, ამიერკავკასია და სხ.).

ფართო მსჯელობის საგნად გავხადეთ წინად დაჩარგულ ეროვნებათა ლიტერატურის განვითარების პრინციპიალური საკითხები. ვაპსი იბრძოდა ორ ფრონტზე: ის იბრძოდა ველიკორუსულ შოვინიზმისა და ადგილობრივი შოვინიზმის წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირის ყველა ეროვნებათა პროლეტარულ და გლეხურ მწერლობაში მტკიცდება ინტერნაციონალურ ამოაცანათა მნიშვნელობის შეგნება. ჩვენ ვართ ეროვნულ ლიტერატურათა სწრაფი ზრდის მოწმე, როცა მხატვრული ლიტერატურა ისეთ ქვეყნებშიაც კი იხრება, სადაც ოქტომბრის რევოლუციამდე ანბანიც არ არსებობდა.

ნაციონალურ რესპუბლიკებში სტიქიურად შენდებიან პროლეტარულ და გლეხურ მწერალთა გაერთიანებანი; კველა ისინი ვაპსის-აკენ მიისწრაფიან.

უკვე დღესდღობით ვაპსი აერთიანებს ნაციონალურ რესპუბლიკების გლეხურ მწერლობის მნიშვნელოვან რაოდენობას. ეს — კანონითმიერია და აუცილებელი. ჩერენ ვაპსი უნდა ვაქციით წინად დაჩარგულ ეროვნებათა ლიტერატურის რევოლუციონურ ელემენტების ინტერნაციონალურად გადამზადების სკოლად.

უკანასკნელ დროს ყრილობის წინ „მანიფესტი“ გამოვიდა ეგრედწოდებული „ნაპოსტოველთა უმცირესობა“ (როდოვ-ლელევიჩის ჯგუფის მომხრეები). ვაპსის მემარცხენეთა ოპოზიცია 1927 წ. დასრულებამდე ცდილობდა დაეკავებია შეტევითი პოზიციები (თუ-მცა ისედაც ქრებოდენ როდოვის მომხრეების უმნიშვნელო ძალები) 1926 წ. „მემარცხენებმა წამოაყენეს პროლეტარული ლიტერატურის გადაგვარების თეზისი. 1927 წ. „მემარცხენები“ სოლიდარულად შეხვდენ საბჭოთა კულტურის კრიზისის თეზისს. ყოველივე ეს უმუალოდ იმ ფაქტიდან გამომდინარეობდა, რომ „მემარცხენებმა“ ობიექტიურად გადაიტანეს ტროცისტული კონცეპცია ლიტერატურის სფეროში. როგორ ვაპსის ორგანიზაციამ ბრძოლა გაუმართა „მემარ-

ცხენებს“ და ისინი იდეურად გაანალგურა, მათ მიმართეს ახალ  
განვითარება.

შემთხვევითი არ არის ის მოვლენა, რომ „მანიფესტი“ იმათ  
გვერდი აუარეს ყველა შემოქმედებით საკითხებს. (რათგან აქ „მე-  
მარცხენებს“ არაფერი აქვთ სათქმელი); „მემარცხენები“ მხოლოდ  
სიტყვიერად გაემიჯნენ საკუთარ ტროკისტულ ლიდერებს, ფაქტი-  
ურად კი ხელუხლებლად დასტოვეს თავითი უბადრუეკი საჭურ-  
ველი. „მანიფესტი“ მთლიანად ააშეარევებს „მემარცხენების“ უპ-  
რინციპობას და გათახსირებას.

ვაპსი — ფართო ლიტერატურულ-საზოგადოებრივი უპარტიო  
ორგანიზაციაა. ვაპსი სწარმოებს (ასედაც უნდა იყოს) ფართო დის-  
კუსიები შემოქმედების საკითხების გარშემო. ჩაგრამ ვაპსი არ შეუძლია  
გადაიქცეს ორლობეთ, უპრინციპო ინტრიგანების პარტიზანულ ბანა-  
კად. არსებობს დისციპლინის ელემენტარული წესები. არსებობს ვა-  
დაწყვეტილებები, რომელნიც სავალდებულოა ორგანიზაციების ყვე-  
ლა წევრებისათვის. ასე სდგას საკითხი „მემარცხენების“ შესახებ.

მათგან არის დამოკიდებული ვაპსის რიგებში მათი შემდგომ-  
ში დარჩენა.

დღემდე ვაპს-ის გარეშე სდგას «კუზნიცა». «კუზნიცა»—პატა-  
რა ჯგუფია, რომელიც აერთიანებს რამოდენიმე კვალიფიციურ  
მწერალს.

ვაპს-ის გამგეობამ ბევრი ეცადა «კუზნიცასთან» გაერთიანები-  
სათვის; ის წავიდა დათმობაზე რამდენადაც ეს არ ეწინააღმდეგებო-  
და ვაპს-ის ძირითად პრინციპებს. მაგრამ «კუზნიცაში» დღემდე არ  
ჩამოაყალიბა თავისი უთანხმოებანი ვაპს-თან.

ჩვენ აღვნიშნავთ «კუზნიცას» მუშაობაში გარკვეულ გადახრებს  
ამქრულ კარჩაეტილობისაენ, რაც წარმოადგენს გადასულ წლების  
ნაშთს. ჩვენ აღვნიშნავთ, რომ «კუზნიცა» უარპყოფს პროლეტარულ  
ლიტერატურას, როგორც მოძრაობის მასიურ ხასიათს.

ჩვენ აღვნიშნავთ, რომ როცა «კუზნიცა» ეწინააღმდეგება პრო-  
ლეტარული მწერლობის განსაკუთრებულ ორგანიზაციას და ემხრობა  
მის დანაწილებას მუშკორული ტიპის წრეებათ, ეს ნეშნავს რომ მას  
არ ეშის პროლეტარული ლიტერატურის, როვორც მასიური მო-  
ძრაობის სპეციფიური თავისებურება. უარპყოფს თუ არა ასეთი  
უთანხმოებანი გაერთიანების შესაძლებლობას? არა. ჩვენ მოუწოდებთ  
«კუზნიცას» საკუთარ რიგებისაკენ. ჩვენ გვინდა პროლეტარული  
ლიტერატურის მთლიანობა. მაგრამ «კუზნიცა» დღემდე არ იძლევა  
პირდაპირ პასუხს.

ვაპპის მდგომარეობა სრულიად საკავშირო ყრილობის შინ  
შეიძლება ამ რიგად დახასიათდეს. «ეორონშჩინა» და მისი «მემარ-  
ცხენე» ფრთა იდეურად განადგურებულია. მაგრამ «ეორონშჩინის»  
«მემარცხენე» და «მემარჯვენე» ნარჩენი ჯერ კიდევ ცოცხალია.

მნიშვნელოვანმა შემოქმედებითი მიღწევებმა, გამარჯვებამ სა-  
გარეო ფრონტზე და შინაგანმა კონსოლიდაციამ განამტკიცა ვაპპ-ის  
საერთო ავტორიტეტი. მაგრამ პარტია უუბნება პროლეტარულ მწე-  
რლებს: ოქვენ უნდა მოიპოვოთ ჰეგემონიის უფლება. მოპოებულია  
განა ეს უფლება? არა, ეს ამოცანა ჯერ კიდევ არ არის გადაჭრილი.

პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი ჰეგემონიისაკენ ჩვევ გადა-  
დგმულია: პროლეტარულ მწერალთა თემატიკა უფრო გალრმავდა  
და გართულდა, პროლეტარული მწერალი მხატვრულად უფრო და-  
ხელოვნდა, მუშა-მკითხველი პროლეტარულ მწერალთა ნაწარმოებს  
უფრო კითხულობს ვიდრე თანამგზავრთა ნაწარმოებს. ამრიგათ  
უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ პროლეტარული ლიტერა-  
ტურის ამსოდუტერი და მიძართებითი ზრდის პერიოდში ჩვენ  
ისეთ პირობებში ვიმყოფებით, როცა თანამგზავრულმა ლიტერატუ-  
რამ დაკარგა თავისი პოზიციების მნიშვნელოვანი ნაწილი, ხოლო  
პროლეტარულ ლიტერატურას ჯერ კიდევ არ დაუპყრია ეს პოზი-  
ციები.

ასეთი მდგომარეობა გვაიძულებს ჩვენ განსაკუთრებულ ყუ-  
რადლება მივაქციოთ ჩვენს ნაკლულოვანებებს და მტკიცნეულ ადგი-  
ლებს.

ამოცანები, რომელნიც დგანან ჩვენს წინაშე დიდია და საპა-  
სუხისმგებლო, ძალა კი ჩვენ ცოტა გვაქვს.

ჩვენ აუკილებლად უნდა მოვამზადოთ კუალიფიციური სპეცია-  
ლისტების კადრი, ხოლო არა მარტო მხატვრული ლიტერატურის  
სფეროში, არამედ კრიტიკის, ხელოვნების მუოდნეების, თეატრის,  
კინოს და სხ. სფეროშიაც.

ჩვენ არ გვაქვს კულტურა ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით.  
პროლეტარულ მწერალს ხშირად ძალიან ვიწრო კულტურული პო-  
რიზონტი აქვს, მშირად მეტად მკირზა მისი ცოდნა, სქემატიურია  
მისი ნაწარმოები.

ჩვენ უნდა კებრძოლოთ უცხო იდეოლოგიის შემოქრის, ჩვენ  
უნდა ვიმროოლოთ იდეოლოგიური სიმტკიცისათვის და ამავე დროს  
ბრძოლა უნდა გამოიცხადოთ ისეთებს, რომელნიც ცდილობენ, ხე-  
ლოვნება აქციონ პოლიტკონათ.

ჩვენს წერზი კიდევ არსებობს ბრძემური ზნე-ჩვეულებანი, ჯერ  
კიდევ დაბალია ჩვენში შრომის კულტურა.

ჩვენში ზოგიერთებს კიდევ არ ესმის პროლეტარული მწერლის  
საზოგადოებრივი ამოცანები და აძირომაც მიისწრავიან ვიწოდ,  
არჩევის ლაბორატორულ მუშაობისაკენ (სწორედ ამ ნიაღავზე  
მოხდა ვაპ-იდან მთელ რიგ ამხანაგების გამოსვლა).

ჩვენში კიდევ აქებენ მწერალს ობიექტიური კრიტიკის მაგიერ,  
რაც მხოლოდ ენარება მის შემოქმედებას, ამასთანავე გვერდით  
ამხანაგური კრიტიკის მაგიერ დაწვრილმანებული ვინება.

მიუხედავათ გარევეული მიღწევებისა ჩვენ კიდევ ვერ შევქმე-  
ნით მასიური მკითხველი მუშათა წრეში, ჯერ კიდევ არ არსებობს  
მჟიდრო კავშირი პროლეტარულ მწერალსა და მუშათა მასებს შორის,  
ჯერ კიდევ მთლიანად არ არის ისახული მუშათა ცხოვრება.

ჯერჯერობით არ არის დაზაქმიყოფილებული ჩვენი ასოციაციე-  
ბის სოციალური შემადგენლობა.

ჩვენ კიდევ ბევრი გვაქვს მტკიცნეული ადგილები და ნაკლუ-  
ლოვანებანი.

მაგრამ უოველივე ეს ზრდის ნაკლულოვანებაა. ჩვენ დარწმუნე-  
ბული ვართ, რომ პარტიის ხელმძღვანელობის ქვეშ ჩვენ გამოვას-  
წორებთ ყოველივე ნაკლს.

ჩვენ მთელს ჩვენ მოლვაწეობას ვიხილავთ მჟიდრო კავშირში  
კულტურულ რევოლუციისთან.

კულტურული რევოლუციია სხვა დანარჩენ ნიშნებთან ერთად,  
ლიტერატურის სფეროში ნიშნავს:

მუშათა და გლეხთა მასსებიდან ახალგაზრდა ლიტერატურულ  
ძალების გამოყენას, კერძოდ, წინად დაჩივრულ ეროვნებებიდან.

პროლეტარული ლიტერატურის მიერ მუშათა კლასისა და  
გლეხობის ბრძოლის, ჩვენი სოციალისტური მშენებლობის და ახალ  
სოციალისტურ ადამიანის ზრდის სრულ ასახვას.

პროლეტარულ მწერალთა სრულიად საკავშირო ყრილობა მნი-  
შვნელოვანი საფეხური იქნება საბჭოთა კავშირის პროლეტარული  
ლიტერატურის გაერთიანების საქმეში.

კულტურული რევოლუცია!

პროლეტარული ლიტერატურის მთლიანი ფრონტი!

მხატვრული ლიტერატურის მაღალი ხარისხის!

სწავლა, შემოქმედება, თვითკრიტიკა!

გარკვეული კლასობრივი ხაზი!

მჟიდრო კავშირი მუშა მკითხველთან!

—ასეთია ჩვენი ლოზუნგები.

ხაკავშირო პროლეტ. მწერალთა  
ასოციაციის ხამდივნო.

## ლექსი ვაკონიშვილ კონტრ-რევოლუციაზე

1

ქვა-ნახშირზეა დღეს ჩემი სიტყვა...  
 სიტყვა აინთო ქვა-ნახშირივით.  
 და რამდენათ დღეს ეს სიტყვა გვითქვამს,  
 იმდენათ გვმართებს სხვა ანგარიში.  
 ყური მიუვარდოთ, ხომ უნდა ცნობებს,  
 ჩენს გარშემო, რომ დროვიერი ბორგავს,  
 რა საჭიროა ან ოცნებებზე  
 კვლავ ძველებურად წერა და ბოდვა...  
 უპირველესად ყოვლისა ძებო,  
 ხომ ვართ ნაცადი ბოლშევიკები,  
 მაშ, თუ წინ შეგვხდა რამე საძნელო  
 შევხვდეთ არც იმდენ გულ-ალშფოთებით,  
 რადგან ჩენ ვიცით, არ არის ძალა,  
 რომელმაც შესძლოს ჩენი გარეხა.  
 ჩენ გამოგვზარდა ეპოქამ მძლავრმა  
 და ამ ცხოვრების ამერიხებამ.

2

მრავალ ბრძოლებში გაგვიმარჯვია  
 და მოგვითესაც მინდვრები ძვლებით,  
 იმიტომ კი არ, ბურუაზია  
 კვლავ მოგვევლინოს გაიძვეროებით...  
 მე ასე ვამბობ: რაინდებია  
 კომპარტიაში მყიფი მუშები,  
 რაც იმათ სისხლი დაუდენია  
 ზღვა შედგებოდა უშველებელი.  
 და დღეს, როდესაც მტრებს თავზე ვესხმით  
 დიდ ისტორიულ აღმშენებლობით...  
 ეს იმიტომ, რომ ეს ჩენი სისხლი  
 არის ქარცეცხლის შემადგენლობის...  
 და თუ აქა-იქ სოფულათ, ქალაქით

ისევ განაგრძობს მტერი მზაკერობას,  
 არაფერია... ამ არაქათსაც  
 გამოვაცლით მათ ავაზაკობას.

3

ეის აღარ ახსოვს, როცა ამბობდენ:  
 — კარგი, ბრძოლებში ხომ გაიმარჯვეთ...  
 ეხლა წალით და ცადეთ, თუ ვარგიხართ  
 თუ მინას მაინც ჩაუსეამთ ფანჯრებს...  
 სულერთი არის გაგანადგურებსთ,  
 აოხრებული მეურნეობა...  
 ხედავთ, გადამწვარ ხილს და სადგურებს,  
 სიმშილს, სიცივეს და სნეულებას...  
 ომ და, ეს ყველა მოგიგრებსთ კისერს  
 შეწყდება თქვენი დონქიხოტობაც,  
 ხა, ხა... და ეხლა ისმება კითხვა:  
 საჭირო იყო განა სისხლის ლერა?!

— რა უნდა ვუთხრა! განა მართალი  
 იყვნენ ისინი მაშინ ამის თქმით,  
 და თუ დღეს წელი გაეიდა ათი,  
 არა ზაპესის აგურით და ქვით?

4

დღეს აქ რადიოს გადმოუცია,  
 რომ დონ-აუზის მაღაროებში  
 ჩვენ ეკონომიურ კონტრრევოლიუციას  
 უმოქმედია დრო გამოშვებით.  
 სურდათ. ნახშირი ისე აენთოთ,  
 რომ ყველა ქვეყნის გაიძერები  
 მოსულიყვენ და მაზე გაეთბოთ  
 თავის დამზრალი, ბებერი ძვლები.  
 დღეს კი ჩვენ ვიცით, ვით აილაგმა  
 შემპარავ ძალლთა ავი ზრახვები.  
 (როგორ არ უნდა გადაიქცე მგლათ  
 როცა ლალატით იწვის ქარხნები.)  
 მე მაინც ასე ვათავებ ამ ლექსს:  
 — გვერნდეს მომენტის სწორი გაგება.  
 რომ ჩუმი მტერი გამოვეინდა დღეს,  
 იცოდეს ყველა ამხანაგებმა.

## სისხლ აგულაძე

### 306 საჭავალო აკეთებები!...

„Гребут честно, не покладя рук,  
плывут плавно, отдаваясь течению,  
а куда их несет, не только не зна-  
ют, но и не хотят звать“.

(Сталин на XV партсъезде ВКП (б).)

კულტურული რევოლუცია, როგორც ერთი მთავარი ამოცანა-  
თაგანი და არსებითი პრობლემა წმოყვენებული მუშათა კლასის და  
კომუნისტური პარტიის მიერ, როგორც პოლიტიკური და სოცია-  
ლური გადატრიალების შედეგი, თავისი მნიშვნელობით მიმართულია  
ჩვენი საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მოთხოვნილებებთან დაკავ-  
შირებით, ახალი, ადამიანის და ყოფის შექმნისაკენ. როგორც სხვა,  
ისე ამ ამოცანის ცხოვრებაში გატარების პროცესში ჩვენ მრავალი  
საშიშროებათა დაძლევა მოგვიხდება, რომ ჩვენი ბრძოლის კლასიუ-  
რი ხაზი არ გამრუდდეს. ისტორიული მექანიზმების კრიტიკული  
გადამუშავება, შეთვისება, მისი პროლეტარულ კლასიურ გაგების და  
ბრძოლის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მსოფლედვითი მიდგომით  
უნდა წარიმართოს კულტურისათვის ბრძოლა. გენერალური ხაზი  
კულტურული რევოლუციის—არის ხაზი შეუდრეველი და სისტემა-  
ტიური კლასიური ბრძოლისა, ძველი ყოფა-ცხოვრების რღვევის და  
ახალი ყოფის ჩამოყალიბების პროცესში.

პოლიტიკურ ფრონტზედ დამარცხებული კლასიური მტერი  
ცდილობს გასაძრომ ჭუკრუტანების გამოძებნას და თავის იდეოლო-  
გიურ გავლენის თავზედ მოხვევას. საქართველო, როგორც წერილ  
მეურნეობის გლეხური ქვეყანა, ჯერ კიდევ საქმაოდ იტევს პროლე-  
ტრიატისათვის მიუღებელ იდეოლოგიურ გადახრებს. ეს საშიში  
მოვლენა ნიღაბ ჩამოფარებული დღეს ყველაზედ უფრო იქტიურო-  
ბას იჩენს ხელოვნების დარგში (თეატრი, კინო და მხატვრული ლი-  
ტერატურა), ხან მდარე ხარისხის წითელ სამოსში გახვეული ან შემპა-  
რავი საშუალებებით ხშირად თავს იჩენს ლიტერატურულ ფრონტ-  
ზედ. მაგრამ ამ უკანასკნელ დროს յо ხაზი უფრო ხშირად შიგნი-  
დან ირღვევა და უქმაყოფილო თბივატელური ინტელიგენციის და

ინდიფერენტული ფენების აზრის ლეგალური გამომხატველ და გამ-  
ტარებელ იარაღად ხდებიან. ზოგი ჩევნი ამხანაგები (მაგალ. ჩევნი  
ლიტერატ. თბოზიცია საქ. პროლეტარულ მწერლობაში და უურნალ  
„მნათობის“ შე-3-ს-ში მოთავსებული ბიბლიოგრაფია უურნალ „პრო-  
ლეტარულ მწერლობა“-ზედ).

ამიტომ მეშჩანობის და ობივატელშინის მოვლენების მთელი  
სიდამპლის და ანტი-რევოლუციონური ხასიათის გამოუმელავნებ-  
ლად შეუძლებელია ნამდვილი და გარკვეული ხაზით ბრძოლა პრო-  
ლეტარულ იდეოლოგიის განსამტკიცებლად. გამომდინარე აქედან  
კი სოციალისტური მშენებლობის დღევანდელ ერთ-ერთ ამოცანას  
შეადგენს, ამ მოვლენებთან ბრძოლას მიეცეს უაღრესად სისტემა-  
ტიური და მნიშვნელოვანი ხასიათი.


პარტიის რეინისებურმა ნებისყოფიშ ბოლო მოურო წერილ-  
ბურუუაზიულ გადახრებს პარტ-ოპოზიციისას, რომელიც ცდილობდა  
პარტიისათვის თავის ლიტერატურის პოლიტიკის თავშედ მოხ-  
ვდასაც. ამ ბრძოლის საბოლოოდ გათავებულათ ჩათვლა თავის  
მოტუუბა იქნებოდა, რადგან იქ, სადაც მარცხდება. პრინცი-  
პი თავს წამოყოფს უპრინციპობა და ეკლექტიზმი. სწორედ  
ასეთ უპრინციპობის ნაყოფს წარმოადგენს დღეს ლიტერატ.  
ოპოზიცია საქართველოს პროლეტარულ მწერლობაში. მიუხდავად  
საქ. პროლ. მწერალთა მეორე ყრილობის მთელ რიგ ლონისძიებათა,  
ამ ბრძოლამ ფრაქციულ ნიადაგზედ საკავშირო პროლეტ. მწერალ-  
თა ყრილობის სამშაცისის პერიოდში, ნაპოსტოველ უმცირესობის  
გამოსვლებთან დაკავშირებით საქართველოში მიიღო ბრძოლის მე-  
თოდების დაუშვებელი ფორმები. იქ აღსანიშნავია ის, რომ ჩევნი  
ლიტერატ. ოპოზიცია წმინდა ობივატელურ და პირად უქმაყოფილე-  
ბის ნიადაგზედ აღმოცენებული წარმოადგენს ბლოკს ერთი ან ორი  
კაცისა ნაპოსტოველ უმცირესობის შეხედულებების მიმდევართაგან. დანარჩენი კი ამ ჯგუფიდან ფეხის ხშის არიან ყოვლილნი პოეტების  
პასპორტის მოსაპოებლად. საინტერესო არის თვით ბლოკის შემად-  
გენელი ექსპონატები: „არხი მემარცხენე“ პ. ქიქოძე ვარდინის ამ  
უნიკო და უტაქტო მოწაფიდან, გლეხური მისტიკიზმით გაელენით-  
ლი ნ. ზომლეთელი, ეროვნულ მოტივზედ „მოღილინე“ ნაციონალუ-  
რი სულისკეთებით დაბრმავებული, კ. კალაძე და დროვამოშვებით  
პანიკორობის ტალღებზედ მოცურავე ა. მაშაშვილი. ესენი არიან  
ნაპოსტოველთა უმცირესობის „მიმდევრები“, მაგრამ იქ უფრო  
ფრთხილად უნდა გაუსინჯოთ თვითეულ მათგანს კბილები, თუ  
აქეთ რაიმე პრინციპიალური კავშირი ნაპოსტოველთა უმცირესო-

ბასთან. ბევრი მათგანი კი პირად უქმაყოფილების ნიადაგზედ გამუტულნი, სრულებით გაურკვეველნი არიან ნაპოსტოველთა მოძრაობაში, აღმოცენებულ უთანხმოებებში და ეწებებიან ამა თუ იმ ჯგუფს იმ იმედით, რომ შეიძლება გაიმარჯვოს და ამით ელირსოს ლიტერატურაში მოქალაქის მანდატის მინიჭება გაწეულ სამსახურისათვის.

„ვაპპ“-ის შენით 1925 წლიდან წარმოებული ბრძოლა ნაპოსტოველთა უმცირესობის და უმრავლესობის შორის, ზოგიერთ ნისლიან მოაზროვნეს დღესაც დაუმთავრებელი და კიდევ გამოსარკვევი ჰგონიათ. ნაპოსტოველთა უმცირესობა გამოდიოდა რა მთელ რიგ საკითხებში შემცდარ პოლიტიკურ შეხედულებებიდან (ლელევიჩი, ვარდინი) როგორიც არის: „ვაპპ“-ის ორგანიზაციული სტრუქტურის საკითხი (მოიხსოვდენ „ვაპპ“-ის აშენებას პარტიის ანალოგიურ პრინციპზედ, რითაც „ვაპპ“-ი გადაიქცეოდა სექტანტურ და არა მასიურ მოძრაობის ორგანიზაციად), საკითხში საბჭოთა მწერლების ფედერაციის შესახებ, რაზედაც ნაპოსტოველთა უმცირესობა აცხადებდა: რომ, ბურუუაზიულ მწერლებთან კავშირში შესვლით ჩვენ გადავგვარდებით, ჩაგვყლაპავენ, იქონიებენ ჩვენზედ გავლენას და ჩვენ კი ვერ შეეხდებოთ გავლენის მოხდენას წვრილ ბურუუაზიულ თანამგზავრ მწერლებზედ და მათ ვერ ჩამოვაშორებოთ ბურუუაზიულ მწერლებსო“ რითაც თითქოს თანამგზავრული მწერლობა ბურუუაზიული მწერლობის გარენის ქვეშ დარჩებოდა და ვერ დაახლოვდებოდა პროლეტარულ მწერლობასთან. ც. კ. რეზოლუცია, პარტიის პოლიტიკის შესახებ მხატვრულ ლიტერატურის დარგში მიუთითებდა: „თანამგზავრთა მიმართ უნდა იქნეს გარკვეული და ტაქტიკური მიღვომა, რომელიც უზრუნველყოფს ყველა შესაძლებელ პირობებს მათი უფრო ჩქარა, კომუნისტურ იდეოლოგიის მხარეზედ გადმოსელისას“— რაც არ ეთვისებოდა ნაპოსტოველ უმცირესობის წამოყენებულ დებულებას ზემოდ აღნიშნულ საკითხში. ამავე რეზოლუციაში პარტიი გარკვევით ამბობდა: „ჰეგემონია პროლეტ. მწერლობის ჯერ კიდევ არ არის და პარტიიამ უნდა დაეხმაროს ამ მწერლებს, რომ მოიპოვოს ისტორიული უფლება ჰეგემონიისათვის“— და „ვაპპ“-ის უმრავლესობის დასმულ საკითხზე, რომ დრო არის უკვე შეუდგეთ „ვაპპ“-ის ორგანიზაციულ ჰეგემონიის დაპყრობასო, უმცირესობა უპასუხებდა: „ჩვენ ჯერ ამისათვის მზად არ ვართ“. ყოველი ზემოდ აღნიშნულიდან როგორც: „ვაპპ“-ის სტრუქტურის, საბჭოთა მწერლების ფედერაციის, შიში ბურუუაზიული და თანამგზავრ მწერლებისა, მათ დასაპყრობლად აღმინისტრატიული ზომებით გასწორების სურვილი, უარი ჰეგემონიაზედ, სწავ-

ლა-შემოქმედების და თვით კრიტიკის ლოზუნგის უარყოფა. და  
 მთელ რიც სხვა საკითხებში ნაპოსტოველთა უმცირესობის ხაზი  
 „ვაპპ“-ში არსებითად ეჭინააღმდეგებოდა, „ვაპპ“-ის უმრავლესობის  
 და პარტიის ხაზს, მხატვრულ ლიტერატურის ძირითად საკითხებში.  
 ეს კი ყველაფური შედევრი იმ შემცდარ პოლიტიკურ ხაზისა, რო-  
 მელიც ნაპოსტოველ უმცირესობის ლიდერების ვარდინ-ლელევინის  
 მიერ იქნა გამომეღავნებული პარტ-ოპოზიციის დროს. ნაპოსტოველ  
 უმცირესობის ბელადებმა ვარდინმა და ლელევიჩმა ჯერ კიდევ  
 რამდენი პარტ-ოპოზიციაში მოხვდებოდენ მანამდე განაცხადეს:  
 რომ მათი „ლიტერატურული საკითხები შეიცდროდ არიან დაკავში-  
 რებული პოლიტიკურ საკითხებთან“ და ეს ასეც უნდა იყოს. მაგ-  
 რამ გახეთ „Читатель и Писатель“-ში გამოქვეყნებული „ვაპპ“-ში  
 არსებული ნაპოსტოველთა უმცირესობის ისტერიული დეკლარაცია  
 აცხადებს რომ: „ლიტერატურული საკითხები დამოუკიდებელია პო-  
 ლიტიკური საკითხებიდან“ ეს ტრიუქი პოლიტ-ფიზიონომიის დას-  
 ფარავად ფონს ვერ გაიყვანს რევმატიზმით დაზიანებულ ნაპოსტო-  
 ველთა უმცირესობის ზრახვებს. პარტიამ გარევევით აღნიშნა რომ:  
 „პარტ-ოპოზიციის შეცდომა გამომდინარეობს კულაგისადმი შიშით  
 და მისი ძალის გადაფასებიდან“ ლიტერატურული ოპოზიციის შეც-  
 დომები კი პარტ-შეცდომებთან დაკავშირებული გამომდინარეობს  
 ბურუუაზიული / მწერლობის ძალთა გადაფასების, პოლიტიკურულ  
 მწერლობის მიმართ შეეცვებიდან, უარყოფა მისი ჰეგემონიის, ვერ  
 გაგება წვრილ ბურუუაზიულ მწერლის დასაცყრობ ბრძოლის ფორმე-  
 ბისა, რაც საბოლოო ჯამში პანიკორობას და ლიკიდატორობას  
 წარმოადგენს.

აცხადებენ რა თავს, ნაპოსტოველ უმცირესობის თანამოაზრეთ,  
 ჩვენი ლიტერატურული ოპოზიცია, (მათივე განცხადებით) ლიტერატ-  
 საკითხებს სრულებით არ უკავშირებს პოლიტიკურ საკითხებს, რაც  
 მათ პოლიტიკურ სიბერის ნიმუშად უნდა ჩაითვალოს. ამასთან და-  
 კავშირებით „ნაპოსტოველ უმცირესობის“ პრინციპიალური მომხრე-  
 ნი ვერ ბედავენ უმცირესობის პრინციპების აშკარა დაცვას, რადგან  
 ეს არ არის მათთვის ხელსაყრელი. დანარჩენი ხმას აყოლილ „მიმღე-  
 რებზედ“ არაფრი არ ითქმის, გარდა იმისა რომ ისინი თავისი  
 ინდივიდუალისტური ნაჭერიდან ხელს უწყობენ ამ ორგანიზაციულ  
 კინკლაბის. ამ გაურკვევლობის რეციდივია სწორედ ბრძოლის დაუ-  
 შვებელ მეთოდების გამოყენება, განურჩევლად იმისა, თუ სად სწარ-  
 მოებს და რა სოც-ფერებს წარმოადგენს მონაწილე და დამსწრე სა-  
 ზოგადოება. ამიტომ იძულებული გარეთ დაწერებული ფაქტებით



აღნენიშნოთ და დავხასიათოთ მთთ „პორტუგეტები“ სათითოოდ.  
საქ. პროლეტ. მწერ. ასოციაციის მიერ სახელმწიფო უნივერსიტეტ-  
ში ამ ერთი თვის წინ გამართულ ლიტერატურულ დისპუტზედ, ამხ.  
ამხ. ლიტ. ოპოზიციადან წვრილ ბურევაზიულ და ობივატელურ  
მასაში გადმოისროლეს კორიუნული ბრალდებები: რომ, „ც. კ. რე-  
ზოლიუციის მიხედვით დასაშვებია ლიტერატურული შეჯიბრი, მაგ-  
რამ დღევანდელი პროლ. მწერალთა ასოციაციის ბიუროერატიული  
ხელმძღვანელობა ამის საშუალებას არ გვაძლევს“ და სხვა მრავალი  
დემაგოგიური და პირზედ მომდგარ სიტყვებით გადმოშალეს თავისი  
ლექსიკონი. ამ სად გაასაჩივრა აქაურმა „უმცირესობამ“ თავისი ჩი-  
ნოვნიერო თავმოყვარეობის შეურაცყოფა, რისთვისაც მხურვალე  
ტაშით აჯილდოებდენ ამ „ხაზის გამომსწორებლებს“ ჩვენი კეთილის  
„მსურველნი“. ეს იყო მემარცხენეობის სახით პირწავარდნილი მე-  
მარჯვენ შემოტევა ლიტერატურულ ფრონტზედ პატივ-ახდილ კუ-  
დაბზეკა მებრძოლი მეშჩანინის მიერ.

მოსკოვში ნაპოსტოველთა უმცირესობის ფრაქციულმა გამო-  
სვლებმა, საქართველოშიც გამოიწვია გალვანიზაცია ქმნილ ჩინჩისე-  
ბის ამძრავება, რომელიც პროლეტარულ მწერლობასთან დაპირის-  
პირების მიწნით, კორების გავრცელებასა, დაწყებულ, დამწყებ ან  
ჯერ კიდევ დაუწყებელ მწერლების პიროვნულ გადამუშავებასა და  
თავის მხარეზედ გადაბირების მეტს არაფერს აკეთებენ. ამ საქმის  
„ცნობილი“ გმირი პ. ქიქოძე, რომელიც შესანიშნავ დეზორგანიზა-  
ტორულ „ნიკით“ და წვრილ ბურევაზიული პერსონალისმით არის  
დასწულებული, საქ. პროლეტ. მწერალთა მეორე ყრილობის მიერ  
გარიცხული იქნა ასოციაციიდან. არა ლიტერატურის საზოგადოებ-  
რიკობით, არამედ თავის „მე“-ს პოპულიარიზაციით დაინტერესებუ-  
ლი ეს „ნაპოსტოველთა უმცირესობის“. ტეინ ნალობი ჩინჩედელა  
რა ბრძოლის მეთოდებს მიმართავს? — პრესის შეცდომაში შეყვანა  
(печатка и революция № 3) თავისი დემაგოგიური წერილებით, კრი-  
ტიკის არა ობიექტიური მიდგომით, პირად შეხედულების ნიადაგზე  
ერთი მწერლის შექება, მეორის დამცირება, მწერლობის ტიტუ-  
ლების დარიგება და სხვ....

საქართველოში გავრცელებულ ავადმყოფობას წარმოადგენს  
კრასიური ობიექტიური კრიტიკის მაგიერ, ახალგაზრდა პოეტის  
უსაზღვრო შექება, რაც ცხადია, ხელს უშლის მწერლის ზრდას და  
მასში ყოყოჩიბის მანიას აძლიერებს. მაგ. ავილოთ პროლეტ. მწერ-  
ლობის „უსაზღვროდ მოყვარული“ ობივატელური განეთი „Читатель  
и писатель“, რომლის მე-13-№-ში მოთავსებულია პ. ქიქოძის წე-

რილი „საქართველოს პოეტები“, რომელშიდაც ლანძღვა-გინებით  
დაჯილდოებულია პროლეტარული პოეტი კ. ლორთქიფანიძე, მაგ-  
რამ კ. კალაძე კი ამ წერილში წარმოდგენილი არის ერთად-ერთ  
გამძლე პროლეტ. პოეტად, რომელსაც თურმე მთელი პროლეტარუ-  
ლი პოეზია შეუქმნია საქართველოში! რა დაბრმავებამდე უნდა  
შიიყვანოს ადამიანი ფრაქციულმა სექტანტობამ, რომ ასეთ უსინდი-  
სოთ გამოიყენო კრიტიკა და ქალალდი. იმავე 3. ქიქოძე კ. კალა-  
ძეზე ერთი წლის წინად სწერდა: „კ. კალაძე 1923—24 წლამდე საქმაო  
ექლექტურობით ხასიათდება, რომელიც ილიას სიმბოლიზმის შერე-  
ვისაგან წარმოშეა — ის ბრალს სდებს მისტიკიზმისაც. კ. კალაძე ინ-  
ტელიგენტური ოჯახიდან გამოვიდა, ასე სწერდა 3. ქიქოძე ის ფე-  
დერალისტური განწყობილებით გამოყვა იმ თავიდანვე. რევოლუ-  
ციას“. კ. კალაძეზე (გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტში“ № 34. 30/IV  
1927 წ.). ეს „პარიოსანი მოქრიტიკე“ თავის „ობიექტიურ“ მსჯელ-  
ობით და სუბიექტური მიღომით კ. ლორთქიფანიძეს ბრალს  
სდებს მომაკედინებელ სანტიმენტალურ განწყობილებაში და მის  
შემოქმედებაში ვერ ხედავს ძირითად მოვლენას, და ასკვნის, რომ  
ის სრულებით სიმბოლიზმის გავლენის ქვეშ იმყოფებოდეს. ამის  
საწინააღმდეგო მტკიცებას არ შეუდგებით, რადგან თვით ეს გულ-  
მავიწყი ახალგაზრდა აქებდა მას თავის ობიექტიური მიღომით  
(ურნ. კომსომოლია"-ში) 1926 წელში. რაღაც სიმბოლიზმის გავლე-  
ნის შესახებ არის ლაპარაკი ზემოდ დასახელებულ 3. ქიქოძის წე-  
რილში კ. ლორთქიფანიძეზედ, რომელიც სრულებით იმ ცოდვები-  
საგან თავისუფლად არც ჩერენ მიგვაჩნია, ამიტომ შევეხოთ ისევ  
მეორე „პროლეტარულ“ პოეტს კ. კალაძეს;.

„რა გითხრა:

ახალი ამბავი რით არის —

ღვინით და მგოსნებით

მუდამ გამაყობდით“

კ. კალაძე („პროლეტ. მწერლობა“ № 5—6. 1927 წ.).

„დასაბამიდან დღე ცის მარადის

საქართველოში ამ ღვინოს სვამდენ.“

ღვინით და ლექსებით ყველამ მიცანით

· · · · · . ტიტიანი

ცისფერ-ყანწელი (ტიტიან ტაბიძე)

გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“ 1927 წლის 13 აგვისტოს  
№ 63-ში სრულებით იზიარებდა აზრს „რომ კ. კალაძე სამი წელია,  
რაც ის ეროვნული სულისკვეთებით გაეღენთილი სწერს საბჭოთა

ხელისუფლების უქმაყოფილო ობივატელური ინტელიგენციის გვ-  
მოვნების და სმენის დასაკმაყოფილებლად.. მთელი ეს ფაქტები  
ამტკიცებენ იმას, რომ ის არა თუ ჩევნთან სდგას, არამედ არაფე-  
რი საერთო ჩევნთან არ აქვს და პროლეტარულ ნიღაბის ტარე-  
ბას თავი უნდა ანებოს. კ. კალაძე შევე დიდი ხანია ეროვნულ სა-  
კიოხხედ ეწვევ სპეცულიაციის თავის პოპულიარიზაციისათვის.  
„ძახილი აღმოსავლეთს“, „თბილისი“, „აღმოსავლური“, „ტრალედია  
ოხ“ — და სხვა მისი შემოქმედების მრავალი ფაქტები ნათლად ახა-  
სიათებენ კ. კალაძის შემოქმედებითი გზებს. დრო არის საგნებს  
თავისი სახელი დაერქვას და თავის ადგილი მიუჩინოთ, რომ ასეთ  
ყალთაბანდობას პროლეტარული მარკა ავახიოთ, რადგან კ. კალა-  
ძისათვის „პროლეტარული“ საშუალებას წარმოადგენს და არა მი-  
ზანს. მკიოხველს უსათოდ გაუკეირდება იგრეთვე ეროვნული გრძნო-  
ბებით გაულენთილ ებრძოლის ხანდახან „მემარცხენეობა“, მაგ-  
რამ ამ ხალხს ხომ პრინციპი არა აქვთ!.... ა. მაშაშვილი ამ პოლი-  
ტიკურად გაურკვეველ პიროვნებაზედ მისი „პრინციპიალობის“  
დასახისიათებლად არ შევჩრდებით, რაღაც ის ნიავის დაბერვაზედ  
მიყვება იმ ჯვეფს ან პიროვნებას, რომელიც მას მხოლოდ შეაქებს,  
მის „მემარცხენეობაზედ“ ისევ მის ნამქმედარს გალაპარაკებთ, საი-  
დანაც ნათლად ხანს მისი ბოლშევიკური ხერხემალი.

„საკუთარ ხელით ამოვითხრი ორივე თვალებს  
ამდენმა ბრძოლამ უშედეგოდ თუ ჩამიარა“.

ლექსი „გველი მაზარა“. 1927 წ.

„გემზე მარტო ვარ და ვარშემო არის დუმილი,  
ყრია ტალღები დახასეცებულ ქვების ზეავებად“.

ლექსი „გემზე“ (პროლ. მწერლობა № 5-6, 1927 წ.)

ათი წლის ბრძოლას მშრომელ კლასისათვის, უშედეგოდ არც  
ჩაუვლია, მომავალიც ნათლად და გარკვევით აქვს წარმოდგენილი. მთელ  
რივ გამარჯვებებიდან გამოსული პროლეტარიატი გლეხობასთან  
კავშირში, სრული რწმენით და გაათევეცებული ენერგიით იბრძვის  
სოციალისტური და ახალი ყოფა ცხოვრების მშენებლობის ფრონტ-  
ზედ. მხოლოდ, როგორც კი წამოიჭრება ცხოვრებაში სიძნელე, სულ-  
მოკლე მშიშარები მაშინვე მორთებენ ტირილს და გოდებას, რომ  
„ამდენმა ბრძოლამ თუ უშედეგოდ ჩაგვიაროსო“. ასეთი სუსტ-ხერ-  
ხემლიანების ნებისყოფის დამახასიათებელია ორივე ხელებით თვა-  
ლების ამოთხრა, რაღაც აღმოცენებული სიძნელეს „ნეპ“-თან და-  
კავშირებით არა ერთს და ორს უკარგავს წონა-სწორობას, რომლებ-  
საც ან დუმილის რკალში იყოფიებს თავს და პესიმიზმის მორევში

შაქანებს, რაც ჟველაფერს ჩვენს ცხოვრებაში დახავსებულ ქვების ზეაყებად აღანდებს. ამ საზომით მსოფელი, ბოლშევიკური გამძლეობის ელემენტს არ მიეწერება, რადგან გაუბედაობა, შიში და ურწმუნობა, მოღვაწეობულ და დაჭანცულ მიმავალი კლასის აზროვნების შედევია.

„თუ კიდევ ეს მოვარე პოეტის გულია  
და გინდა იკოდე სად მივა სად...  
ბედო უბედურო ხომ დაკარგულია  
შენი დრო, იმედი და შენი გზაც!“.

(ლექსი „გადახრა მთარისაკენ“) ა. მაშაშვილი.

მისი „დარიალი“ და სხვა ამგვარი მრავალი ლიტერატ. ფაქტებით ხასიათდება მისი „ბოლშევიკური“ გამძლეობა, პრესტეტრივები და — „სწორი კლასიური ხაზი“. დაცემულობა, პანიკორობა და უპრინციპობა; — ასეთია ეს გაუტკვეველი და „გადახრების“ ნაპოსტოვლი, უნდა იღინიშნოს ამასთან დაკავშირებით რომ ბრალი ნაწილობრივ ა. მაშაშვილის შემოქმედებაში ეკუთვნის, კრიტიკის სწორ შეუფასებლობას და არა სწორ მიღვომასაც.

ჩეკში საუბედუროდ მარჯვისტული კრიტიკა საგრძნობლად კოჭლობს. 3. ქიქეძისა და მუშიშვილისებური ლიტერატ. კრიტიკუსები უფრო მეტს ზიანს აყენებენ პროლეტ-მწერლობას, ვიდრე სარგებლიანობას და ასეთი „პროლეტ-ლიტერატურისათვის თავგადადებული მებრძოლნი“ გამოდიან რა ვიწრო პიროვნული ინტერესებიდან, დამახინჯებული მეთოდებით იბრძვიან ამ დარგში.

მხოლოდ ასეთი სუბიექტიურ ფარგლებიდან გამომდვრალი კრიტიკული ფაქტები, რეციდივია იმ მოვლენის, რომელიც „ანგარიშიანობის გასწორების მიზნით იწერება „მნათობის“ მე-3-Ne-ში მოთავსებული ბიბლოგრაფია უურნ. „პროლეტარულ მწერლობა“-ზედ) და ანგარიშს არ უწევენ კომუნისტური მსოფლედვის, ჩვენი პარტიის ხაზს. ერთმა მებრძოლთავანმა ლიტ. ოპოზიციიდან ისიც კი განაცხადა: რომ „მე-აქ (ე. ი. სახ. უნივ., გამართულ საჯარო ლიტ. დისპუტზედ) ვიბრძი პროლეტ. მწერლობის მახინჯ ხაზის წინააღმდევ და მეტი არაფერი მინდა ვიკოდეო“. მეორე „ნაპოსტოველმა“ 6. ზომლეთელმა დისპუტის პრეველ სხდომაზედ რომ აღვილობრივ „ნაპოსტოველების უმცირესობის ხაზს იცავდა, გაგრძელებულ დისპუტის მეორე სხდომაზედ საჯაროდ განაცხადა, რომ ნაპოსტოველთა ჯგუფის აზრებს ის არ იზიარებს, — მესამე დღეს კი მოსკოველ „უმცირესებს“ აცნობა რომ ის მასთან არის. რა პრინციპიალური ხაზისთვის ბრძოლა უნდა დაერქვას ამას? ჯერ ლაპარაკი და მერე მოფიქრება მას-

ზედ თუ რა სოქვა, ჩეულებრივი მოვლენაა ამ ჯგუფის წევრთა და-  
სახასიათებლად.

საქ. პროლეტ. მწერალთა მეორე ყრილობაზედ, ამ ნაკუდალა  
ინტრიგანებზედ ამბობდა ამბ. მ. კახიანი, რომ „რამდენი ადამიანი  
გამოწმდება იმდენი პლატფორმა იქმნება — ეს კი არ გავს პროლე-  
ტარულ დისკიპლინის სიმტკიცეს, არამედ წვრილ ბურჟუაზიულ ინ-  
დივიდუალიზმს გვაგონებს, რომელმაც ჩაითრია ზოგი მერყევი პი-  
რები..... ყრილობამ უნდა დაგმოს ეს გამხრწნელი მუშაობა და გა-  
დახრანი“. (გაზეთი კომუნისტი № 18. 22/I 1928 წ.) „ვაკვ“-ის მე-  
2-რე №-რი ბიულეტენი, ხაზგასმით აღნიშნავს: „რომ არ შეიძლე-  
ბა პროლობის სისკიაცია გადაიქცეს ორობეთ უპრინცი-  
პო ინტრიგანების პარტიზანულ ბანაკათ. საჭიროა ელემენტარული  
წესები რომელსაც კველავა ლდებულია დამორჩილოს“ თ. ასე ისმის სა-  
კითხი ჩვენ გათავებდებულ კუდაბზიკა „მემარცხენებზედაც“, რად-  
გან კველაფერს საზღვრები აქვს.

ამ ინტრიგანულ ბრძოლასთან დაკავშირებით პროლეტარულ  
მწერლობაში, არ შეიძლება გვერდი აუაროთ უურნალ „მნათობი“-ს  
ბიბლიოგრაფების ვარჯიშს, რომლებიც თვით გ. მუშიშვილის (ურ.  
„არიფოონი“-ზედ) და ვიღაც „Stalil-ის (ურ. „პროლეტარული მწერ-  
ლობა“-ზედ) „ნაყოფიერ“ კალამს ეკუთვნის.

ერთი მხრივ სკინნისებური სიღინჯით გ. მუშიშვილის ლიბე-  
რალური უურნალ არიფოონის შეფასება და მეორე მხრივ ვიღაც ტუ-  
რუცი Stalil-ის უურნალ „პროლეტარული მწერლობა“-ს შურის ძების  
ნიადაგზედ აშკარა მტრული ლანძღვა-გინება ურ. „მნათობის მე-3  
№-ში. წარმოადგენს ყოვლად მიუღებელ და არა ლიტერატურულ  
ფაქტს. ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში ამდაგვარი ლიტერატურული  
მიღვობა დიდი ხანია ცნობილ „ვორონეშინათ“ არის მონათლული.  
მაგრამ გ. მუშიშვილის ასეთი ქალიშვილური მორცხვობით არშიყი,  
უურნ. „არიფოონი“-სადმი და მიზან-შეუწონებლად 8 ფურცელ ქალალ-  
დის გაფუქება, საქმიად გავრცელებულ სენის ლიტერატურულ „ლი-  
უბიტელშინას“-ს ნაშთია, რაღაც ამ უურნალში ქექვა და კვინნილა-  
სავით მარგალიტების ძებნა უსაქმო ადამიანის წყლის ნაყვას მოგვა-  
გონებს.“ ეს მისაღებია, აქ დაბნეულობას აქვს ადგილი, იქ „არიფი-  
ონში“ დაპირება კერ გაამართლა, ან და რა იმედით უნდა ვაემა-  
რთლებია ან რა გამართლებულ ფაქტებს მოელოდა გ. მუშიშვილი  
ამ არისტოკრატულ არხი მემარჯვენე ჯგუფიდან!.. ამ უურნალზედ  
კი საქმიად გარკვეულად იყო თავის დროშედ აღნიშნული კველგან,  
რის შემდეგაც ქათინაურებს არ საჭიროებდა. ურ. „არიფოონის“

აშერა და გარევეულ მოწინააღმდეგებთან ბრძოლა აღვილია, მაგრამ მრავალი ქურქში ვახვეულნი პროლეტ მწერლობის „მოყვა-რენი“ ჯერ კიდევ ჩენ რიგებს მოყვება, ბევრი მოჩანჩალე კი მხოლოდ ფეხებში ებანდება და ზრდის ნორმალურ პროცესს ხელს უშლის. ამ ორთავე ტიპის მოწინააღმდეგებთ ახასიათებს ლიტერატურული ოპორტუნიზმი და გაიძვერობა. დღეს რომ ერთ მწერალს ქებით ცამდე აიყახს, მეორეს მიწასთან გაასწორებს, ვისაც გუშინ ბრალს სდებდა სასიკედილო იდეოლოგიურ გადახრებში, მას დღეს აქებს და ფართედ იყენებს მარქსიზმს და ლენინიზმს თავის „კომონიკატელური თეორიის ცხოვრებაში გამოსაყენებლად. ასეთი მრავალი „კომ-ობიგატელები“ დღეს ქსელს აბამენ, როგორც ჩვენი პროლეტ-ლიტერატურის შიგნითა და გარეთაც. თავის თავად ცხადია, რომ ასეთი „კომ-ობიგატელები“ გარეგნულად მისალებ ტიპებად გვიჩვენებიან, რომლებმაც იციან ლამაზი ლაპარაკი, ყველაფრის გაკეთების დაპირება, ცდილობენ ყველგან გაძვრენ, ყველაფერს ედებიან და ყველგან ფლავდებიან. რა არის ამ ხალხის დამახასიათებელი თვისება?; აზროვნების ჰორიზონტის სივიწროე, კეკის სილარიბე, კლასიურ რევოლუციონურ აღლოს აღების უნარის უქონლობა.— თბიგატელურშინა პოლიტიკაში და მეშჩანობა მთელ თავის ყოველდღიურ ცხოვრებაში. ისინი თვითონ ვერ ამჩნევენ ამ მოვლენებს თავის თავშედ და სწორედ ეს არის მათი დამახასიათებელი. ეს მავნე მოვ-

ლენგბი „ნეპშედ“ აღმოცენებულ ახალი ბურუჟაზის და თავიდან-ნაურულ არისტოკრატიის ტრადიციებსა და ზე-ჩვეულებების გადაქ-რილ ფესვებზედ, ცდილობს ამოყრას და კანონიერ შვილის უფლე-ბების მოსაპონებელ ჩემ ბრძოლის წარმოებას. სოციალისტური მშე-ნებლობის მონაწილე ახალგაზრდა კადრების ზრდის პროცესში, ამ მახინჯ მოვლენებს სასტიკი და დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამოე-ცხადოს, რაც კულტ-რევოლუციის მთავარ ამოცანის ერთ შემად-გენელ ნაწილს წარმოადგენს. ყოველი ზემოდ აღნიშნული, უპრიცი-პობა, გაურკვევლობა, პროლეტ-ლიტერატურის სწორი ხაზის დამა-ხინჯება, წვრილ ბურუჟაზიული პერსონალიზმი, პირად უკმაყოფი-ლების ნიადაგზედ რეცენზენტების ტუტუპური ვარჯიში, და სხვა მრავალი—არის სახე, ჩვენი ლიტერატურული ოპოზიციის, საქ. პრო-ლეტარულ მწერლობაში. ამგვარ მრავალ სახეებათ „მემარცხენების“ იარღიერი გვევლინებიან მარჯვნიდან წვრილ-ბურუჟაზიული უპრინ-ციპობის და ინდივიდუალიზმის განსახიერებაში, ეს ლიტერატორია-ტელები ლიტერატურულ ფრონტზედ.

## შალვა ჩადიანი

### ი ღ 6 ა ვ ა კ ე ლ ი

პირველი თაობის პროლეტარულ პოეტებში ი. ვაკელი უველა-ზე უფრო ინდუსტრიალურია. ქალაქი, ქარხანა, ფაბრიკა და სხვა ინდუსტრიალური საწყისი—აი რა არის ი. ვაკელის შემოქმედების უმთავრესი თემა, მისი ლექსების და პოემების სათაურების ჩამო-თვლაც კი ნათელყოფს ზემოთ ნათქვამს.

„ქარხნის ჰანგები“, „მთერალი ქალაქი“, „მაღაროს პრელიუ-დიები“, „ქაბუკი მუშა ქარხნის კედლებია“, „თუჯის ლანგარი“, „ჩვენ მჭედლები ვართ“, „შუაღლე ქარხანაშია“; „ქალაქის სიმძიმე“, „ზაპესი“, „ლექსი აღმშენებლობაზე“ და სხვ.—აი, ი. ვაკელის მხატ-ვრული ფაქტების სათაურები.

ქალაქი ერთ-ერთი ძირითადი თემაა ი. ვაკელისათვის. როგო-რია მისი დამოკიდებულება ქალაქისადმი, ქალაქის ცხოვრების რო-მელ მხარეებს და როგორ ეხება ის?

როგორც საერთოდ ცნობილია, ფუტურისტებშა უდიდესი ყუ-რადლება მიაპყრეს ქალაქს. ისინი ცდილობდნენ პოეზიაში შეეტანათ იხდუსტრიის ფართე ნაკადი, მხატვრულ ფაქტებში აემეტაველებიათ

ინდუსტრიალური თქმები მაგრამ მათ მოვცეს მხოლოდ გარეგანი ხმაურობა ქალაქის, ხოლო დანარჩენი, კონკრეტული მოვლენები კი უცხო დარჩა მათვის წინააღმდეგ ამისა, პროლეტარული პოეტები მარტო ქალაქის რიტმის მოცემით არ დაქმაყოფილდნენ, ამ რიტმთან ერთად მათ მოვცეს ქალაქის კონკრეტული მოვლენების— ქარხნების და ფაბრიკების—რიტმი, გამოამზეურეს ქალაქის რევოლუციონური როლი, პროლეტარიატის კოლექტიური სწრაფვანი და სხვა.

ი. ვაკელისათვის ქალაქი შემოქმედებითი ძალაა, მისთვის ქალაქი „ქარიშხლის კომპასია“, „ბრძოლის ასპარეზია“, „სიმბოლოა უშრეტი გრავანის“, ის ხედავს, რომ ქალაქში არის „ზეიმიც“ და წვალებაც:

„შორიდან მოქმედის უშრეტი გრავანი,  
ტრიალებს მუხრუჭი ფოლადის ბირთვებად;  
სცელია მაზუთით ყოველი საგანი—  
და ქარხნის კედლები კვამლ-მურით ირთვება ..  
აქ არის ზეიმი, აქ არის წვალება...  
ტებილ ტანკების იერი ალბათ ჭალს აინთებს...  
შავია მიდამო, შავია კუპრივით,  
მილები ქარხნების გაშლილა ყანებად;  
გრავანი უხეში, მაგარი თუ მკერივი—  
ქალაქის ეზოდან შორი მიექანება“.

(„მთვრალი ქალაქი“)

მაგრამ პოეტი ერთმანეთისაგან ანსხვავებს ძელი, ბურეუაზიული ქალაქს და ახალს, პროლეტარულ ქალაქს. ბურეუაზიული ქალაქის დამახასიათებელია მუშათა კლასის ექსპლოატაცია, მისი ბნელ ჯურლმულებში და სარდაფებში მოთავსება, ბურეუაზიულ-კაპიტალისტური ქალაქი პროლეტარიატისათვის „სატუსალოა“ სულ სხვაა ახალი, პროლეტარული ქალაქი. აქ მუშათა კლასი უკვე თავისუფალია, ის ცხოვრების ხელმძღვანელია. მის ექსპლოატაციის აღარ აქვს აღვილი.

ი. ვაკელისათვის ქალაქი საერთო თემაა. ის აგრეთვე ქალაქის დამახასიათებელ კონკრეტულ მოვლენებსაც ეხება, ისეთი კონკრეტული მოვლენაა, მაგ., ქარხანა, რომელიც მუშას ეხმარება, ხელს უწყობს შეიცნოს თავისი კლასიური ამოცანები; ქარხანაში გამეცე-ბული შრომის პროცესი მუშათა კლასში ანვითარებს სოლიდარობის გრძნობებს, ინტერნაციონალურ-კლასიურ მისწრაფებებს და სხვ.

ი. ვაკელსაც ნათლად აქვს შეგნებული ქარხნის ეს უდიდესი კლასიური როლი პროლეტარიატისათვის ის გრძნობს რომ ქარხანა

„კვამლით ტანდაყუდული“ არის „მომავლის ჰანგთა ლოდგარი“, მუ-  
შათა კლასის „გულისტების მცველი“:

„ქარხანა კვამლით ტანდაყუდული,  
ახალ ცხოვრების კარზე მომდგარი,  
სდგას იმედებით ჩამომურდული,  
ის მომავალის ჰანგთა ლოდგარი...  
აქ დაიბადა ჰანგები მწველი  
და გულის ჯაფო სინარნარეთი.  
ის არის ჩვენი გულისტების მცველი,  
ძველ კურპებს, ლმურთებს და ესხა რეტი“  
(„ქარხნის ჰანგები“)

ი. ვაკელი ქარხანაში მუშაობის სურათებსაც იძლევა. ის ვაკელი მუშაობა იმის შესახებ, თუ როგორ „დაიგუგუნეს საყვირებმა ადრე დილითა“ დი „გაიშალა ცის გუმბათზე ფერადი ზოლი“, თუ როგორ „აიშალენ შრომის შვილები“, რომლებიც მკერდიაუნგული რკეანედ მიექანებიან ქარხნებისაკენ, აგვიწერს, გულ-მკერდ გალელი-ლი მუშები, როგორ მოდიან ქვაბებთან და მძლავრი მკლავით ხრახ-ნილებს ატრიალებენ:

„დაიგუგუნეს საყვირებმა ადრე დილითა,  
გადაიშალა ცის გუმბათზე ფერადი ზოლი,  
ქალაქს თავს უხვევს შემხუთავი დილით მილიდან  
კვამლი გრაფილი, გამატაურებით ამონასროლი.  
ცივ ბურავიდან აიშალენ შრომის შვილები,  
მკერდიაუნგული რკეანედ მიექანება;  
მათი ტალღები გაშლილია ოქროს ყანებად,  
და საზეიმოდ კვამლს აფრივევენ ქარხნის მილები.  
მოყიდა გულ-მკერდგალელილი ქვაბებთან მუშა  
და მძლავრი მკლავით ეს ხრახნილი აატრიალა,  
ირგვლივ ხმაური... დილა ბორბლებს უცერს პირქშად,  
ო, ტკბილი გრძნობით იტვირთება სულის ფიალა!“  
(„დილა ქარხანაში“)

ქალაქის ცხოვრების სხვა მხარეებსაც სათანადო ყურადღებით ეკიდება ი. ვაკელი; აქვე აღსანიშნავია, რომ თავისი მოღვაწეობის პირველ პერიოდში ი. ვაკელს თითქმის არც ერთი ლექსი არ აქვს, რომელიც ასე თუ ისე დაკავშირებული იყოს სოფელთან, სოფლის თემასთან...

სამხედრო კომუნიზმის და სამოქალაქო ომების ხანაში პროლე-ტარული ლიტერატურა რომანტიზმის იერით ვითარდებოდა. ამ „პროლეტარული რომანტიზმის“ დამახასიათებელი თვისებები იყო: კოსმიზმი, პლანეტარიზმი და აბსტრაქცია. ასეთი ნიშნები ახასია-

თებდა მაშინ თითქმის ყველა პროლეტარულ მწერალს რუსეთში (მ. გერასიმოვი, კირილოვი, ფილიპხენკო, გასტევი და სხვ.) და საქართველოშიც (ს. ეული, ნ. ზომლეთელი, ვ. სამსონიძე და სხვ.).

იმ დროს პროლეტარული პოეზია რათ აქცევდა ნაკლებ ყურადღებას ისეთ თემებს, რომელნიც უშუალოდ ეხმადებოდნ ჩეენს ყოველდღიურ რევოლუციონურ მუშაობას და ბრძოლას. ჩეენი საზოგადოებრივობის კონკრეტულ მოვლენებს, მუშათა კლასის ყოფა-ცხოვრებას და სხვას და უფრო გატაცებული იყო პროლეტარიატის რევოლუციის საერთო თემების დამუშავებით.

ეს მოვლენა მაშინ სრულიად ბუნებრივი იყო. ის სოციალურად განსაზღვრული იყო. მაშინაც „პოეზია“ ასრულებდა იმას, რასაც საერთოდ ასრულებს ის ყველგან და ყოველთვის. ის გვიამბობ და იმის შესახებ. თუ როგორ ვგრძნობდით მოვლენებს იმ წლებში, ხოლო გაშინ კი თვით ჩეენ ვიყავით აბსტრაქტული და რომ ანტიული (ვ. კოგანი); უაღრესად დაჭიმული გრძნობებისათვის საჭირო იყო გრანდიოზული, კოსმიური სახეები, თვით ეს გრძნობანი, რომელიც აღფრთოვანებდა ამ პერიოდში მუშათა კლასს, რასაციონალია, არ შეიცავს არაფერს არა რეალურს და არაპროლეტარულს.

ი. ვაკელიც ამ საერთო მოვლენის ქვეშ იმყოფებოდა: მასაც ავრეთვე ახასიათებდა კოსმიზმი და პლანეტარიზმი. ის საერთო, აბსტრაქტული ტონით იძლეოდა პროლეტარული რევოლუციის სინამდევილის სურათებს და მოვლენებს. მაგალითად, რევოლუციია, რევოლუციონური ბრძოლა და აღფრთოვანება ი. ვაკელის წინაშე ასეთი სახით სდგებოდა:

„მიიწევს სული ვარსკლავებს ზევათ,  
და ქარიშხალი შეოთიან თეალით  
ობრაგს-და კვესის ვერხების ტოტებში  
უკანასკნელი ცრემლის დაწხევით.  
ზეცა იქცება მეტორებით,  
ცეცხლის ქალებში სწუსს დვდამიწა;  
განმეორებით ვარდება მეხა...  
და დაჭრის ცეცხლის ნიამორები;  
აზიდულ გრძნობით  
ჩვენც ცეცხლში ვიწვით  
და ცეცხლის ქაოსს ვეამბორებით“

(„ცეცხლის ქაოსი“)

ასეთი კოსმიურ — აბსტრაქტული ხასიათის ლექსები ი. ვაკელს საკმაოდ ბევრი აქვს. ასეთივე ხასიათასა მისი ლექსების უმეტესო-

Յա յարենու Ցյասաեցիաց. Ռ. Վայելու լապարայոնքու տայու լոյթսեմշո յարենու Ցյասաեցի, մագրամ եմուրագ ու Կուրեալու յանցրերեւու առա-  
մունքներ, հոմլեմքու յարենանամու մոյմելեցի, մուստու Ցյամբենեցու ույնեն. մուստու մուրեմու յարենա համուգյունումետ Աստվածունուս եասուատս արարեցի; յարենա ուսա մուրեմու, տոտյու ոյ պատապու-  
րու տացուսու մոմրամքու լա կուրեցուցէ.

Ասետու ածերուայթուլու եասուատու ոյու Ռ. Վայելու Տուրենու 1924—  
25 թվամքու. մագրամ մաս Ցյեմդյու, հաց օյտուցուլու և անցուրուցու-  
լու Սուցուալուրու նկազա ցանսանցուրուլու յալապուրու ըասիպո  
հայուղուցուոնուրու Տումշու ու օլմշենցելունուս լուրեն. յա յա-  
պուոննալուրու այսարնան տանքատան նորմալուր եասուատս ուրենք: Յո-  
նցըրենունիմու, յուսմունիմու, Տունցըրարունիմու և ածերուայթուլունք յար-  
ցաք տացու ցուոյշուղուցու ահիս և ցամարուղուցան. մուս Ցյեմդյու  
Ռ. Վայելու սպարնացի յանցրերեւուլ ուրենքներ; մուս Ցյեմբենեցի ուր-  
մա ազգուլս շուտունք պայցուղուլու մուլուցունքներ.

մագրամ օյցու սնճա ալոննունու, հոմ Ռ. Վայելուստու յա մոծ-  
րունքներ մերալ Տամունու Ցյոյին. ամ մոծրունքներ դուր Ծյուզուղու  
ցամուշելացնա Ռ. Վայելու նուլուցու մուշունունու Տուլունունուան. հա  
Ծյուզուղունքու ոյու յա?

Հուգուսաւ հայուղուցուոնուրու յարութեալու ցարկայուլ յալապուր-  
Ռու հացա, հուգուսաւ Տայերեւուրու, Տանցումու լութենցեմունան Տայուրու  
ցաեցա ցագասցու պայցուղուլու և յանցրերեւուլ Տամշաունք, հոմ-  
լուս մունանու հայուղուցու մոնապոցարու ցանմերյուցի և Տուցու-  
լուսիւրու օլմշենցելունք—պայցուղու մուն նուցուրու Տուլունցրեւուլ  
Տուրենի ցամունցու ցանցունուլուցի լաւում, Տյումունիւրու ցան-  
ցունքներ հացարնա և սեց. Ռ. Վայելու ասետու Տուլունու ցանցունուլու-  
ցի յա մունցու մույցի. ուս նախուղունու մունցու տանամելուրու պա-  
ցրենու. մուստու ցայցեարու դարիս հայեն տանամելուրու յա Տո-  
ւուալուսիւրու Տանցուցունքներ.

Ենունու ուսետու Ցյեմտեցուցի, հուգուսաւ Տանցուցունուցու  
մոծրամքներ Տուրենու ցանցու ցանցունու առամունի ունցուցի մելան-  
յուղունք, հիմենու դայարցու դասաւել Տայմուսամու, ցարաւուցի թար-  
սուղուտ, ունցունք և մուշունցեցի. դասելուցունու ասետ մուշու-  
նունքներ անցուացես յա յանանցունու լա Տյանանցունքներ.  
Ցյերուու անցուացես յա յանանցունու լա Տյանանցունքներ.  
յա յանանցունքներ նանցենի ու նանցունու լա Տուրեր-Ռուու ցաւու-  
նքներ, մետրացու կայցունքներ, ունցունքներ, մերունքներ, ունցունքներ,  
մատրացու կայցունքներ, ունցունքներ, մերունքներ, ունցունքներ,  
մատրացու կայցունքներ, ունցունքներ, մերունքներ, ունցունքներ,

ურევს“, „გულის იარას“, „გამწარების“ და სხვა ასეთების შესახებ.

ი. ვაკელი გადავარდნილია ელეგიურ ოცნებებში. ის სწორს „ლექსს მეგობრისადმი“. ამ ლექსში ამეღავნებს მელანქოლიის და დაცემულობის განწყობილებას: „აღარ ვიცი წუთი ლხინისა, სულს მირევს სევდა და გულშიაც ტრიალებს დანა... იმღერე რამე, და-მიმშვიდე გულის იარა, რომ ერთხელ მაინც დაეიგიშვილ შავი დღეები დაბადებიდან თან რომ მდევს და არ გაიარა!...“ ამის შემდეგ

ი. ვაკელი გაიძახის;

„ეხლაც ეს ცერმლი, მეგობრებო, გვასველებს ცარე,  
ვსვამ ძმებო, დფნის, ქვეამ გამწირულ ამაოებით;  
ვეძახით ხალისს, ვეძებთ ძმობას განმარტოებით,  
რომ სადმე მაინც ერთი კუთხე ეიპოვოთ წყნარი;  
მაგრამ არც ძმობა და არც ოდნავ ხალისი ტკბილი  
არ ჩაშა არსათ ცხოვრებიდან გამომდინარო!...“

ამ ლექსის შემდეგ ნაწილში ი. ვაკელი სიკედილის მთელ “თეო-რიასაც“ კი „ჰქმნის“. მის საფლავის ქვაზე წარწერილი უნდა იყოს: „სამახსოვრო სიტყვა კეთილი: ამ კეყნამდე ძმაო, შენ იყავი გამწარებული, აქ მაინც ტკბილად განისვენე მთვლემარე ძილით“ და სხვ. ეს ამონაწერი თავისთავად, ყოველგვარი, კომენტარიების გარეშე, ბევრს ლაპარაკობს. როგორც ამ ამონაწერებიდან ირკვევა, ი. ვაკელი ამეღავნებს პროლეტარული რევოლუციის მიმდინარეობის გაუგებრობას, ჩვენი თანამედროვე სინამდვილის სირთულეში გაურკვევლობას.

ფორმალურად ეს ლექსი, მართალია, დაწერილია ა. პუშკინის გავლენით, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაში მაინც არის მნიშვნელოვანი საკუთარი მილწევები. მაგრამ ამ ფორმალურ მილწევებს ანელებს ის ყალბი და დაცემული განწყობილება, რომელიც მოცემულია მაში.

ასეთივე დაცემულ განწყობილებას ამეღავნებს ი. ვაკელი „ბოლნისის გზაზე“, „შალრევანის პირად“ და ნაწილობრივ „ზაჟესს“-ში.

ლექსში, „ბოლნისის გზაზე“, რომელიც მოთავსებული იყო „ქართული მწერლობის“ № 2—1927 წ., — ი. ვაკელს თავის პესიმიზმის სათავედ „მშობლიური სევდა“ გამოჰყავს. ბოლნისის გზაზე, როდესაც „თვალს ალისფერი ლრუბელი სერავს“ და „მიგორავს მთვარე ბურთივით ცაზე“, როდესაც ირგვლივ სიჩუმეა, ამ დროს მოისმის მხოლოდ მეურმის სიმღერა. ეს სიმღერა პოეტს შემდეგ განწყობილებას ამზეურებინებს;

„... მეურმე მღერის ბოლინისი, გზაშე;  
თუ კი ვერთობი, მაში რატომ არის,  
გულს რომ სუდები აწვება ასე?...  
მაგრამ ი, ჩემთ ამ სიმღერაში  
მშობლიურ სუდები პრგბი ჰქონესაფა“.

შემდეგ ქვემოთ პოეტი ლაპარაკობს, რომ „გლეხის ცხოვრება  
ტანჯვაა, ძმაო, ის თითქო იყო და არც იყო რაზ და სხვ.“

„ზაჲესში“ ერთმანეთშია არეული ჯანსაღი ტონი, ოპტიმისტუ-  
რი აღმშენებლობითი პაտოსი და დავარდნილი პესმისტური განწ-  
ყობილებანი; ამ მოზრდილ ლექს-ოდაში ი. ვაკელს განზრახული  
აქეს ზაჲესს მიუძღვნას ლექსი „წელმაგარი და მაღალტანიანი“.

„იდიდე ზაჲეს! ჩეკენ გვიზარდა,  
რომ აღიმართე კლდესავით უცებ  
და მტკვარს აფ რისხვა ნიაღვარიანს  
გაბოროტებულ ჭილილში უძლებ“.

მაგრამ ბოლოს პოეტი მაინც მელანქოლიურ განწყობილებას  
უბრუნდება. „ტფილისის კრიალა ცაზე“ „ზავად ქარხნების ბოლის“  
გამოჩენა მაში წყრომას იწევეს. ამით თითქოს ი. ვაკელი უარა-  
ყოფითად აფასებს ელექტროფიკაციას და ინდუსტრიალიზაციას:

„ზავლენ დღენი და გული სამიწე  
ქვების მაგივრად მოგიძლენის წყრომას,  
რადგან ტფილისის კრიალა ცაზე,  
სად ებლა ფრინაჭს გრიტი და გნოლი, —  
შენი მოგარდნის შემდეგ ამ ეთერს  
შემურავს ზავად ქარხნების ბოლი“. —

საიდან არის ყოველივე ეს? საიდან მოდის ასეთი დაცემული  
განწყობილება?

ასეთი განწყობილებების, ისეთი იდეოლოგიური გადახრების  
უმთავრესი მიზეზი არის ის, რომ ი. ვაკელმა ვერ იპოვნა თავისი  
ადგილი პოლეტარული რევოლიუციის განვითარების თანამედროვე  
პერიოდში.

დროგამოშვებით ი. ვაკელი კელავ უბრუნდება ჯანსაღ მოტი-  
ვებს. ასეთი ჯანსაღი განწყობილებით არის დაწერილი „ლექსი  
აღმშენებლობაზე“. ამ ლექსში ი. ვაკელი ცდილობს გადმოვცეს ის  
აღფრთოვანება და ოპტიმზი, რომელსაც ის განიცის ჩვეუ-  
ნის სოციალისტური აღმშენებლობის გამო. საერთოდ ეს ლექსი  
აბსტრაქტულათ არის დაწერილი. პოეტი ცდილობს თავისი გან-  
დები გვაგრძნობინოს უფრო სახებით, ვიდრე კონკრეტუ-  
ლად.

ფორმალურად ი. ვაკელი პირველი თაობის. პროლეტარულ  
პოეტებში ყველაზე უფრო ძლიერია. ის სიტყვის ესთეტიურად  
სხვებზე უფრო განიცდის, მის მიერ ხმარებული სიტყვები ლექსში  
თითქმის ყოველთვის გამართლებულია.

ი. ვაკელი თავის ლექსებს ჩვეულებრივად სწერს ე. ვერპარნის  
დამძიმებული ტონალობით.

პროლეტარულ პოეზიაში გამეფებულმა აბსტრაქციამ და კოს-  
მიზანი ხელი შეუწყო ლექსის განსაკუთრებული ყანრის შექმნას. ეს  
უანრი არის ოდა, პიმზი. ამ უანრით იწერებოდა პროლეტარული  
პოეტების ლექსების უმეტესობა 1918—25 წლებში. ლექსის ეს უან-  
რი ყველაზე უფრო ხასიათებს ი. ვაკელს. თუ ოდის პერიოდი და-  
ნარჩენმა პროლეტარულმა პოეტებმა უკვე განვლეს. ი. ვაკელი მას  
დღესაც ხმარობს, მისი ლექსების უმეტესობა ოდის უანრით არის  
დაწერილი.

ი. ვაკელის მხატვრული ლექსიერი უმთავრესად ინდუსტრია-  
ლური ხასიათისაა. სახეები და მეტაფორებიც, რომელსაც ი. ვაკელი  
მიმართავს თავის ლექსებში, ინდუსტრიის სფეროდანვეა, ინდუ-  
სტრიალურ ხასიათს ატარებს.

თავისი პოეტური შემოქმედების პირველ პერიოდში ი. ვაკე-  
ლი საგრძნობ გავლენას განიცდიდა გ. ტაბიძის. „ცისფერი ყანწელე-  
ბის“, ე. ვერპარნის, უ. უიტმანის, „კუნინიცას“ პოეტების და სხვე-  
ბის, დღეს კი ის ცდილობს იაროს თავისი დამოუკიდებელი გზით  
და, უნდა ვაღვიაროთ, რომ მან ეს მნიშვნელოვანი პროცენტით შე-  
სძლო კიდევ.

ასეთია ჩენი გაგებით ი. ვაკელის შემოქმედება.

## შედეგ ნავთლულები

### მაჩსიმ გორგის.

შენ, მშრომელ ხალხის წიალიდან  
წარმოშობილსა,  
ცხოვრებამ ბევრჯერ შხამ-სამსალა  
დაგალევინა,  
გულით მტეიცესა, ნების მყოფელს,  
მშრომელთა მხატვარს;  
ამაყსა ქედი ოდნავაც ვერ  
მოგახრევინა.

შენ გაბედულად გაიტანე  
 ცხოვრების ლელო,  
 მომარჯვებულსა მედგრად გეჰყრა  
 ხელში ალამი,  
 დედა თბილისი მოწამეა  
 მთლად საქართველო,  
 რომ მის წიგალში ალორძინდა  
 შენი კალამი.  
 შენ გრძნობიერად ჩასწვდი ტანჯულთ  
 გულის სილრმეში,  
 მასში ნადები ამოზიდე  
 ამოკითხე,  
 ის გამოფინე ბნელეთიდან  
 ბრწყინვალე მზეში.  
 შენ, დიდ რუსეთთან, საქართველოც  
 დიდი ხნით გელის,  
 სადაც, რომ შენმა ნაზა გრძნობაშ  
 გაშალა ფრთები.  
 ერთგულებისთვის გულლიაა  
 გამწვდელი ხელის.  
 მეც სხვებთან ერთად ქარხნის მუშა  
 საქართველოსი,  
 ვუერთებ ჩემ ხმას მოზეიმეს  
 უამრავ ხალხსა,  
 გულით ვწერადობ, შრომის-შეილი  
 მომსწრე ამ დროსი,  
 და შენ, დიდ მწერალს წრფელი გულით  
 გიძლენი სალამსა!..

---

ილ. ხოზთანია

### 3616 ურილობაზე თანამიმდოლი

გრძნობით უსმენდა დარბაზიდან ორატორის ხმას,  
 ყოველი სიტყვა მრავალ იმედს გაუღვიძებდა,  
 იქცე წიგნაჟში ჩაიწერდა მნიშვნელოვან თქმას,  
 მისი თვალები ათას საქმეს აქ დაეძებდა.

ბევრს შედარებით მასზე უფრო ეცვა; ეხურა  
 მკერდზე ნიშანი ენთებოდა ახელმკავშირის,  
 თითქოს ბრძოლისთვის დაძღვარიყო ისევ შედარი  
 ისე ლვივოდა სიამაყე უხვად გაშლილი.

სახე ნაცნობი მომაგონდა და გავითიქრე:

ნუ თუ ის ქალი, ვინც ბრძოლაში გვედგა შხარ-დაშარ,  
 ნეტავი მაინც მიეთიდოდე ვეტყოდე რამეს...

დიდ ბრძოლის შემდეგ ამხანავო დაო სადა ხარ.  
 როცა დამთავრდა მოხსენება—ცეკას გარშემო  
 ათეულებათ დაირაზმენ მოკამათენი,

მათ მკერდებიდან მოხეთქილი სიტყვა გულწრფელი  
 ყველა გრძნობს არის საქმიანი ცეცხლის დამნთები.  
 გათავდა სხდომა, გავეჩქარე მის სანახავად  
 პირის-პირ შევხვდით ყრილობაზე ერთიმეორეს  
 ეხლა მეითხველო უსათუოთ შენც დარწმუნდები  
 რამდენ ხალისს გული იგრძნობდა მაშინ მეომრის.  
 და მოვიგონეთ ადგილები თუ სად ვიბრძოდით  
 თავზე ზუსუნით სად ტყვიები გადადიოდა,  
 გახსოვს ძმობილო!.. მეუბნება თანამებრძოლი  
 გიარდი მაშინ, როს წყლულიდან სისხლი ვდიოდა.  
 დღეს კი აქა ვართ, მუხასავით მავარი ფესვი  
 კომკავშირელებს განდგმული აქეთ მრავალ საქმეში,  
 ეხლა მე გეტყვი, ჩემს ცხოვრებაში დაუვიწყარო  
 კარგია ასე რომ ყოფაში ხარბათ გადვეშვით.  
 შემდეგ სიცილი ჩამოვარდა ისევ ჩეენ შორის,  
 გულ გადახსნილი უამბობდით თუ როგორ ვცხოვრობთ.  
 ჩეენი პასუხი ერთ მიზანში მეხათ ეცემა  
 ბევრი გვაქლია... მეგობარო ალარ ვიჯავროთ.  
 გული ხომ ისევ ამბოხებით ანთებულია,  
 ურიცხვი საქმე ჩეენს წინაშე სდგას სალ-კლდეებათ,  
 რა შეგვაშინებს!... ჩეენთან არის მილიონები,  
 თუ გვაქვს შეცდომა დე!.. შებრუნდეს მზიან დღეებათ.  
 რამდენი გრძნობა იშლებოდა ეს, ვინ ჩამოთვლის,  
 აქ ყრილობაზე რა ხალისი გულში გორავდა,  
 რა კარგი იყო ეს შეხვედრა თანამებრძოლთან  
 ათას იმედებს მოზღვავებულს მკერდში კონავდა,

## შერძვების ნამდობი.

გაბრიელს, როგორც ჭერქვეშელ კომქავშირელს არმიელები დიდი პატივის ცემით ეპყრობიან. ის დიდი ხანია მიიღეს ქარჩის მუშებმა პატივის წავრად, მაგრამ მას მაინც კომქავშირელს ეძახიან. თუ კიდევ კომქავშირელის სახელს ატარებს, ეს უფრო საამაყო მის-თვის. კომქავშირში მუშაობას არ სწყდება. დავალებებსაც ასრულებს-მასთან არმიელები იყრიან თავს. ჩამოაგდებენ საუბარს არალეგა-ლურ მუშაობაზე. ბოლოს თხოვენ გაბრიელს, უაშბოს მათ მისი თავ-გადასავალი. გაბრიელი გულდასმით უყვება.

## I

— ნაძვებით დაბურულ ტვერში, სადაც ჩამობნელებული მიდა-მო გავს რკინით დაბურულ საყუდს, აგიზგიზებული ცეცხლი მინა-ხავს. ირგვლივ შემომსხდარი უზარმაზარ შეხედულების და მოყანი-ლობის ყაჩალები, ძველებურ სატევრებით და ქვის მგლეჯელ ბერდე-ნებით. მათი გამოხედვა: ქურდული, დაძაგრული, ჩემში იწვევდა შიშს. რაღაც ურუანტელივით დამიკლიდა ტანში. აცახცახებული სხე-ული დაიგრიხებოდა. ტვინის ყოველ ძარღვს აღუღებული სისხლის ჩეერად იქცევდა. მერე თავის ქალას მოაწევდოდა. მტვერისგან გა-ბურძენილ თმას ყალყზე დააყენებდა. შიშისაგან პირისახე შემო-ღვმის ფოთოლივით გამიყვითლდებოდა, და საიდანლაც მობერილ ქარს გავყვებოდი.

უფრო მეტიც მინახავს: ბევრჯერ მთებში წაესულვარ საქონლის ჩამოსადენათ. გზაზე დამგვიანებია. ღამე იმავე ტევრში გამითევია. ხეებით გაჭედილ ტვერში გაცოფებული ნაღირი შემომფეობია. უცებ ხეზე აესულვარ და პირდაღებული დამიტოვებია. პრც ამას დაუტო-ვებია ჩემში არც ერთი ძარღვი აღლელვებული. მაგრამ ეს ხომ წინათ იყო — ბავშობის დროს. მას შემდეგ მრავალი დღე დაიწურა. ბევრი ღამე ჩიიყლაბა გაუვალ სიბნელეში. ბევრი უხეირო აზრის მქონე ჩა-იწვა მისივე ხელით დანთებულ ცეცხლში ისე, რომ მშველელიც არა-ვინ აღმოჩენია.

ჩემი ცხოვრება გაშლილ ცის ქვეშ გაიქვედა და ლურჯ ლრუბ-ლებიდან გადმოსროლილ ყინულის ბურთები, გახურებულ ტყვეის ნა-

ტეხბად მიმილია. მახსოვს: ერთხელ მოჯამავირეთ უდექი, ჩემს ხო-  
ფელში „მეუედ“ მიჩნეულ ჩაიკეიშვილს. მან მითხრა:

— გაბრიელ! შენ და ანდრია<sup>1)</sup> ბაძვება, ეხლავე უნდა გასწიოთ  
სამეგრელოში. ეკლის ხეგბი ვიღაცას მოუჭრია. ეგ სულძალლები, რო-  
გორ ბედავენ ამას? — შეკარით! ურემზე დაგდებული მომიყვანეთ!

ლელავდა მაღალი და წელში მწევარივით მოყვანილი ბატონი.  
იგი ჩემს სოფელში ყველაზე უფრო მდიდრად ითვლებოდა.

სამ სართულიანი სახლები. ოცდა ათი თოახით. თოახები სუფ-  
თა, წითლად შელებილი. კედლებზე გამოხატული: ტიტელი ქალე-  
ბი, შავი ნაწნავებით. ოდნავ წელში უკან გადახრილი. ალბათ სხეუ-  
ლის უურო გამოსახენათ. მოსამსახურე ქალს, თოახები ისე უნდა და-  
ეწინდა, რომ ბატონის სახე? გრძელი თეთრწევერა, თვალებ დაკუსუ-  
ლი, ოფიცრის მუნდირ-ჩინებით, სარკესავით უნდა გამოჩენილიყო.  
მოწყობილობა: სპარსული ხალიჩებით, ნოხებით, სამკაულებით, ირ-  
მის ტოტებიან რქებით და მოვერუხლილ ხმლებით.

შუაზე დიდი მაგიდა. დაწყობილი სამხედრო შინაარსის წიგნე-  
ბი, ოქროს ასოებით დაბეჭდილა. წინ დერეფანი განიერი, გადაყუ-  
რებს მრივალ ფეროვან ხეხილების, ყვავილების ბაღჩას. ბაღში ხუ-  
თი-ათი საერნის დაშორებით, მწვანეთ შელებილი სკამები დგას. ბაღ-  
ჩაში პატარა მოჩუქრებე წყალი, ახლო მდინარიდან გაღმოყვანილი.  
ბაღის უქან: ექვს თვალიანი ოდა — სახლი. მოჯამავირების და მწე-  
ვარი ძალების საცხოვრებელი. ოდის გვერდით ჩამწერივებული რვა  
ბელელი ქვის ბოძებზე დამდგარი. რვავე ერთი ზომის. ბელლების ახ-  
ლოს: ძროხების და ცხენების ბოსელი, იქვე სახნავი, სათესი და სა-  
თოხარი მანევნების საწყობი.

ეზო ფართო. გაშლილი. ქვის კედლით შემოვლებული. ქვითკი-  
რის კედელზე ეკლიანი მავთულები გაკეთებული. ჭიშკარი რკინის  
ურდულებიანი, დიდ ბოქლომ-დადებული.

გადაღმა ასი ქცევა მიწა. ნაეკელით და შლამით განიყიტრებული:  
ირგვლივ რთხმელის სქელი საფარით შემოკავებული. შესავალში და-  
მის გასათევი კარავი. ასეთ კარავს ხშირად ინატრებდა სოფლის  
გლეხი საცხოვრებლად ქონდა. საყანეს გარდა: წაბლის, მუხის და  
ექლის ხის თვალუწვდენი ტყე. ოთხ სხვადასხვა ადგილის გაშენებუ-  
ლი ვრნახი. იქვე რკინის ბორბლებიანი დოლაბი, რომელიც გაკვირ-  
ვებას იწვევდა გლეხებში.

— ასეთი არაფერი გვინახავს ჩვენს ცხოვრებაში. იტყოდენ  
გლეხები.

1) ბაძვება ეძახდენ შედმეტ სახელად

ამათ გარდა, რუსეთიდან გამოწერილი საუკეთესო ჯიშის: ძროხები, ცხენები და კამერები. დიდრონ კამერებს და ძროხებს დატვირთულ ფურგუნში შეუბამდით. ას ფუთს წელ-ჩაუზნექელად გაიტანდენ. გლეხებს უკირდათ, როგორ შეიძლება ძროხების ფურგუნში გაბმაოდ და სხვა. შავონდება ერთი შემთხვევაც.

ზაფხულის დღეა. ყველანი გახურებული თონინი ყანებს. საყანები ჩვენ შორს გვეონდა, ცხენის წყლის პირად გადმომდგარი. დილით აღრე მოვარდა ბატონის მოურავი—გერასიმე. ერთი შემომიბლვირა თხასავით ჭრელ თვალებით. წამომაგდო ზეზე. წამიყვანა სასწავლებლის წინ გაშენებულ ბალისკენ. იქ სამეგრელოდან, ლეჩხუმიდან და სვანეთიდან ჩამოსულ მათოხარ მუშების გასაქირავებელი ბაზარია. ვიქირავეთ ათ-ათ შეურად ასი მუშა.

ივლისის ცხელი დღე ალმურში იწვის, ღრუბლიან დღეში მთის კალთებზე ჩამოწლოლილ ნისლივით. ყანებში მშრალი მტვერი დგას. მუშები იმღერიან და სახელან ჩამოდენილი ოფლი ჭუქუან ჰერანგებს ასველებს. ზოგს თავზე ქუდის მაგივრით, მზემ რომ არ დაწვას, თბელის ნეშო აქვს შემოფოთლილი. მოურავი კი, ქოლგით თავზე აღგია მუშებს. სულ იმას ჩასჩიჩინებს:—სიმინდს ძირი კარგად გამოუთხნეთო, ნუ მიაფარებთ, თორემ ამ სალამოს კაპეიქსაც ვერ მიიღებთო. მუშებს ეჯავრებათ მოურავი და სიმინდის ძირებში ბალაბს ზევიდან აყრიან მხოლოდ მიწას. მეორე დღეს ახლად ამოწვერილ სიმინდივით გამოყოფს თავს ბალაბი.

ანდრიამ ფურგუნი მოიყვანა. გერასიმე შეხტა ფურგუნზე, დაიწყო პურების გადმოყრა. მუშები პურს ხელში იქცერენ.

სალამოს დალლილი მუშები, მიადგენ ბატონს. დიმიტრის სახლის კარებს. დიმიტრი ჯიბეებში ხელებ-ჩაწყობილი გადმოდგა უკანა აივნიდან. უყურებს მოურავის ფულების დარივებას. გოურავმა ათ მუშას ფული არ მისცა.

— თქვენ დღეს ცულლუტობდით. პურის სალირიალი არაფერი გავიკეთებიათ. თქვენი გათოხნილი ხვალ ისევ გასათოხნია. არაფერს არ მოგცემთ. მომცილდით აქედან.

· გაჯავრებული მუშები იმ ღამესვე შეესინ გათოხნილ ყანას და ძირზე აჭრეს ორი ქცევა სიმინდი. გერასიმემ გაიგო ეს და უკელა პოლიციას ციხეში ჩააყრევინა. შემდევ სასამართლოს დადგენილებით თითო თვე ამუშავა ცხენის წყლის პირად გაშენებულ ხე-ტყის ქარხანაში. იქ ტივებს იქცერდეს წყალზედ. ერთხელ ორ იმათგანს დაუცათ ფეხი ტივიდან და დაიხრჩო. კიდევ ერთი სურათი:

შემოდგომის დასაწყისია. ყველა ყანებში მუშაობს. ტეხენ გამხმარ სიმინდს. დიმიტრის ყანებში აუარებელი ქალი და კაცი მუშაობს. ერთმა ჩალის მომწრელმა მუშამ, მუხუდოს, გადანაკერ წვეტიან ძირს, ფეხი ჩამოახია. სისხლით შეიღება ბალახი. ტკიცილების გამო სალამომდის ვერ იმუშავა, გერასიმემ ფული არ მისცა.

— შენ დღეს არ გიმუშავინა!.. მაშ ფულსაც ვერ მიიღებ.

მუშას ხმა არ ამოულია და მეორე დღეს ცეცხლი გაუჩინა ათ ზეინ თივას. არც მას ასცდა გერასიმეს რისხვა და ისიც ციხეში ჩააგდეს. ფეხი ჭუჭყისაგან დაეწამლა და ერთ კვირაში, მთის ურეშე დაგდებული წაიყვანეს შინ.

ასეთი რამ ბევრი მომხდარა და ბევრჯერ ჩემს გულში დაუნთია შურის ძიების ცეცხლი. მოჯამავირები ვცდილობდით აგვეცდინა ბატონის რისხვა. ბატონის უხეში ქცევა, ბოლმით საესე გრძნობებს გვიღვიძებდა, მაგრამ ირგვლივ მიყრუებულ გარემოში, ყოველ თავ-გამრეტებულ სიტყვაზე, სიცოცხლის გამტეს სასჯელს ვღებულობდით. ბედს დაემორჩილეთ მე და ანდრია — ბაძვე. გავეშურეთ საშეგრელოში.

ზამთრის თოვლიანი დღე იყო. სალამოს მშრალი ყრნვა, ანდრიას გაბურძვნილ წვერებს ლურსმნებივით დაკიდებოდა. ძლიერ ციონდა, მაგრამ ნაბრანები მჟონდა იმ სალამოსვე დაბრუნება, ამით ტომ არსად შემისვენებაა, რომ ცეცხლი დამენთო და მოხუცებულ ანდრიას სისხლ-ნაკლული კუნთები გამეთბო. მე, როგორც ახალგაზრდა ბიჭი, სიცივეს და დალლილობას არ ვგრძნობდი, ანდრიას მისუსტებულ სხეულიდან, ლონე დაცლილი ქშინვა, სიბრალულს მგვრიდა. მაშინ ვიტყოდი:

— რატომ უნდა იტანჯებოდეს კაცი, რომელმაც მთელი სიცოცხლე იმ კაპუუტ ჩხიფევილის ოჯახს შესწირა!? ნუ თუ ქვეყნაც არ უნდა არსებობდეს სიმართლე, რომ ასეთ მოხუცებულ კაცს, ამ ყინვით გაულენთილ დღეებში აგზავნის სამეგრელოში?

მაგრამ პასუხს არავისგან ვღებულობდი და დასავლეთიდან მობერილ ნესტიან ქარის ტალღებს დახრილ თავს უშევერდი. ხორც-შემოცლილ მუხლებს მაგრად ვპიმავდი. ვვერდით თანამგზავრ ანდრიას სამგზავრო ბაას უსმენდი.

— ეე!.. ბაბუა გაბრიელ! რამდენი რამ უნდა გითხრა! რაც მე გადამხდა და რაც ჩემს გამჭერაზე ბეჭებს გადაუტანია, შეიძლება არ დამიჯერო, მიუწვდომელ თოვლიან კლდეთ მოგეჩენოს.

და მეც უსმენდი.

— სამოცი წლის კაცი გავხდი, ამ ხნის განმავლობაში, ერთ-ხელ არ მიგვრძენია, რომ ერთი წუთი არ ვიყო დაჩაგრული, ოცდა-ათი წელია კაპუტი დიმიტრასთან ვარ. ოცდაათჯერვე დავაპირე-თავის დახრჩობა.

— თავს რათ იქლავდი ბაბუა. მაგათ დავახრჩობდი.  
უთხარი მე.

ანდრიამ ულვაშებში ჩაიცინა და მითხრა:

— ბავში რომ ხარ გეტყობა, შემექლო მისი მოკვლა, მაგრამ მთელ სოფელს გადასწვამდენ მისი თავაშებული შვილები. იმათ ფეხებზე კიდიათ ყველაფერი. თოფი არ აკლიათ და წამალი. რა ვქნა ყველაფერს ვითმენდი და ვითმენ. არ შემიძლია ვებრძოლო ისეთ ადმიიანს, როგოროც დიმიტრია. ათი წლის წინ, ეწერში, რომ დოლაბი აქვს, იქ დამაყენა მეწისქვილეთ. ხუთი წელი მუქთად მამუ-ზავა, ის არ მოსვლია ფიქრად: წისქვილში საქმელი უნდა კაცს. ვზელდი გაუცრელ ფეხილს. ღადარში ჩამცხვარ ნახევრად ნაცრიან მჟადს, ხმელა ვკამდი, უძილობისგან თვალებში სინათლე დამაკლდა. ერთხელ, როდესაც გარეთ გამოვედი კარის ჩასკერად, დამიცდა ფეხი და შიგ გადავეშვი, სადაც ბორბლებს ღარში დაქანებული წყა-ლი, სასტრიად ატრიალებს. ბორბალმა გადამისროლა და ცემენტით ამოშენებულ კედელზე თავით მიმახალა. თაყბრუ დასხმულმა, ულო-ნოთ ჩავუკინთვე გაპობილ თავიდან ამონახეთქი სისხლით შეიღება წყალი. ვეგრძენი საშინელი ტყივილი.

შეზაც არ მქონდა რომ წისქვილში ცეცხლი დამენთო და თავი გამეშრო. ძარლვებში სისხლი გაიყინა. მეორე დღეს ფეხებს ძლიეს ვკეცდი. ამას არაფრიად ჩავაგდებდი, რომ უფრო ზავი დღე არ დამდგომოდა. იმ სალამოსე დიმიტრის შვილი მოვიდა. გაიგო თუ არა ღარის დაუკერელობის გამო წისქვილის ქვა დაიწვა. ფეხე-ბით შემდგა და ისე მცემა.

— ბებერო! საით გქონდა თვალები? ჩაგაძალლებ. შენისთანები ბევრი მომისპიცა. განა ამით გინდა გაგვიფუჭო რაიმე? ხვალვე ჩავი-ტან ამ ზარალს დავთარში. ორ თვეში კაპიქაც ვერ მიიღებ!

— ეებს! არ მინდა ყველაფერი ვსთქვა. შვილიც მამაზე უარე-სია. მაგრამ არც მაგათ შერჩება ხალხის შეწუხება, დაბერავება.

ამბობდა აღელვებით ანდრია.

ჩვენ იმ სალამოსე დავბრუნდით, დამორილი ხეები თან მოეკ-ტანეთ. რაღაც საუბედუროთ, ცულები დავკარგეთ. გამხეცებულმა დიმიტრიმ ჯამაგირში ხუთი მანეთი გამოგვიქითა. მე არაფრად ჩამიგდია. ანდრიას დალგრემილობა დაეტყო. იმ ღამეს თავჩაქინდ-

რული იყო. სამზადი სახლის კერას არ მოცილებია, გაბურძგნილი სახე მწუხარებით შეკვროდა. თვალებიდან ცრემლები ჩამოცვინდა. ცრემლიანი თვალებით იცქირებოდა, მე დალლილი მიღწევი ცეცხლის პირად გადებულ ფიჭვის ფიცარჩე, დილით მთების იქთ შე ჯერ კიდევ არ ამოსულიყო. წამოვდექი და ქურდულად ვიწყე თვალიერება. მისი ნაბდის სვანური ქუდი კურასთან ეგდო.

შემაც ამოანათა. ოთახში შეუქი შემოძერა. სინათლემ მიწაზე ლანდი მოხაზა. გაშეშებული დავრჩი, როცა ნაჟახე დაქიდებულ ანდრიას სხეულს მოვავლე თვალი. კისერში მაგრად ჩაკრიოდა ჯაჭვი. გაყვითლებულ თვალის გუგუები გამობურთული ქონდა. შემე-შინდა. გარეთ გამოსვლაც ვერ მოვახერხე. თავში ფიქრები აირია. გული შურის ძიებით ამევსო.

იმ წუთში რა არ მინდოდა მექნა: გავაგებინე მოჯამაგირებს. ისინი მეორე სახლში ცხოვრობდნენ. მოვიყარეთ თავი ოცამდე ბიჭმა. მივადექით ბატონის კარებს მუქარით:

— ჩვენ დლეიიდან არ ვიმუშავებთ. მოვეცი ანგარიში... გავვი-სწორდით, თორემ გავისწორდებით ისე, როგორც შენგან დაჩაგრუ-ლი ანდრია გაუსწორდა უდანაშაულო თავს. ან ერთი. ან მეორე. არ შეგვიძლია მოვითმინოთ ამდენი სისაძაგლე. რა უქენით იმ საწყალ მოხუცებულს. განა თქვენ არ ხართ მაგის მიზეზი?

დიმიტრი გაბრაზდა. ცემა დაგვიპირა. ბიჭების ერთსულოვნებამ, მადა შეუკრა და სხვა გზით მოვეიდგა.

— მაშ თქვენ გაფიცას მპირდებით? გიჩვენებთ, როგორ უნდა აბუნტდეთ? მოგსპობთ! თავი ჩამოიხრიო. პმ! მერე რა? დასახრ-ჩიბი იყო. კიდეც აუგო წესი თავის თავს. ხა-ხა-ხა, მაგის გამო დლეს სადილს არ შევჭამ აი!

გასწით მალე! ამოთხარეთ სამარე. ჩააგდეთ შიგ ეგ ძალლის გაჩენილი.

ცემდა ბრძანებას იგა.

ანდრია დავმარხეთ. მეორე დლეს, მოჯამაგირები ციხეში ჩაგვაშწყვდიეს.

## II

— ეხლა არ მსურს მოვყვე, რაც ციხეში გადაგვწყდა. ის ხომ ძეველ დროს ეკუთვნის. მაშინ სულს გვიხუთავდენ ყოველ სიტყვის-თვის მაგრამ, არ დამავიწყდება ის სისხლის მსმელი ადამიანი. მან ბევრი ხალხი იმსხვერპლა. ბევრჯერ გამიგონია ანდრიასაგანაც.

— გამრიელ! იცი როვორ გამდიდრდა ის სულთამხუთავი? წინეთ, როდესაც რუსეთი ეომებოდა იაპონიას, დიმიტრი რუსის ჯარში ოფიცერი იყო. ღამით ბრძოლიდნ დაბრუნებისას, მან შეიმჩნია რომ ტომრით მოქონდათ ფულები ჯარში დასარიგებლათ. ერთი ვერსის მოშორებით დიმიტრიმ ფული გაიტაცა და ამით გამდიდრდა.

— ასეთი ამბები ბევრი ვრცელდებოდა სოფელში, დიდი ომების დროს, როდესაც დიმიტრის ოფიცერი შვილები სახლში გზავნიდენ ფურრანებს ცხენებით და გერმანელი ტუკებით. ტუკებს დღე და ღამ ამჟავებდენ. მახსოვს ერთი ტყვე, რომელსაც ქრის სახე ქონდა, კაპუეტ დიმიტრის ხელი მოუქნია. დიმიტრიმ მოქნეული ხელი იციდინა. იძრო ხმალი და გერმანელი ხელში დასჭრა. ტყვე შეწუბდა. შემეცოდა. ხელი მოვბანე, შეუხვიერ. იმ დღიდან გერმანელი, ჩემი მეგობარი გახდა, მაგრამ ერთ დღეს, როდესაც ცეცხლი მოედვა საუკუნოებით ჩაგვრით ნაშენ ქვეყანას, მე ის ხელიდან გამისხლტა. არსად მინახავს. მე კი ძალიანი ვცდილობდი მის დარჩენას.

ბევრი ვიჯავრე. ჯავრიც ჩაინთქა აბობოქრებულ დღეებში. ამ დღეებმა ბევრი სიხარული, აღტაცება მომიტანეს, მაგრამ ესეც ხომ წარსულს ეკუთვნის, ესეც ხომ ძველი მოგონებათა ნაფლოთებია.

• მინდა მოვიგონო, ერთი საშინელი ბრძოლის მომენტი და გავხსნა ლექებში ბალახებში გამჯდარი მებრძოლის ძლიერება, როდესაც ყოველი წუთი წლების მავიერობას წევს.

ესეც ხომ იმ დღეების წყებას ეკუთვნის, როდესაც ძველი ბატონის შვილებმა კიდევ სცადეს, შებრძოლებოდენ მათ მიერ ათეული წლობით დამონებულ გლეხებს. კიდევ გაილვიძა მათში ფულუნების—გამტებარი ცხოვრების სურვილმა. ახლა კი დიმიტრის შვილი შალვა, მოკაული, შურით სავსე, სოფელ-სოფელ დახეტება. გლეხის უნარიან მუშაობას ზიზლით უცქერის. მით უფრო თუ ის მისი საყანეს ახალი მეპატრონეა.

შალვას მამა დიმიტრი გასაბჭოების დღეებში, ბათომში გაიპარა საზღვარგარეთ გასასელელიდ. იქ გასელი ვერ მოახერხა და უკან დაბრუნდა. ერთ სადგურზე ნაცნობი შეხვდა. დიმიტრიმ კითხა:

— ხომ არ მომკლავენ, სოფელში რომ დაებრუნდე? ქალაქში დარჩენა არ იქნება. ჩემი სახლები, წითელ ჯარებს უკავია. სად უნდა წივიღე არ ვიცი?

— მოკვლით არ მოგკლავენ, მაგრამ...

— მაგრამ რა!

— ის, რომ... ჩამოგართვეს: მიწები, ვენახები და ხერხის ქარხანა. დიდი სახლის რვა ოთახი რევენტმა დაიკავა. შიგ განათლების განყოფილება გახსნეს. შენი ეზოს კარები ჩამოილეს. ხალხი მიღიმოდის.

ამ სიტუაციის გაგონებაზე დიმიტრის თავბრუ დაესხა. გული ვაუსკდა და მევდარი დაეცა.

ძეველმა მოურავმა გერასიმემ ლამით ჩუმათ ურეშე დადებული მოიტანა დიმიტრის გვამი და მისი დასაფლავება არავის გაუგია. გერასიმე იმავე სოფლის შეძლებული გლეხია. დიმიტრის ძეველი მოურავი, ნათელ-მირონი. იგი სოფელში ყველას ძულს. დიმიტრის ქონებით ისარგებლა და სახლკარი მდიდრულად მორთო. ბევრი გლეხის ოჯახი აწიოებულა მის მიერ, მაგრამ გასაბჭოებამ ახმახი, მალალი, და თხის წვერება გერასიმე ჩამოაჭინო.

### III

— გავიდა რამოდენიმე თვე. წელიწადი. შალვამ არ დაიერწყა „განთავისუფლებული“ ხალხი, იყო დრო ისინი მისი ბრძანების შეუსრულებლობის გამო, ნესტიან საკნებში ათენებდენ ყინვიან ლამებს — და ხელი მიყო ბოროტმოქმედებას.

ეს იყო ზაფხულის მიწურულში. მზე ისევ უხვად ათბობდა დედამიწას. საღლაც ხევში ჩაქინდოული ლვერძლ ბალახოვან ფოთლებს სიწითლეს მატებდა. მზის სიმხრევალისაგან დამდგარი ილმური, ქარის მშრალი მობერვით, ერთბაშათ მოაწვებოდა სამკითხველოს ფანჯრებს, სადაც მე ვიჯექი და ვალაგებდი ქალაქიდან მიღებულ უურნალ-გაზეთებს. ქარის გამძაფრებულ ზეილს მოყვა არა ჩეცულებრივი ხმაურობა, თოფების სროლა. ბოლოს ფეხების აჩქარებული ნაბიჯები და ჩემს თვალწინ — მოღერილი ვინტოვკით შალვა. მას თან ახლდა ათი შეიარებული რაზმელი.

— ხელები ზევით! არ გაინძრე!

მიმართა შეიარაღებულებს:

— წამოიყავნეთ! ეს არის მთავარი ხელმძღვანელი. მოვესწარი თუ არა, ჩემს ქლანკებში შენს მოქცევას? არ გინდოდა ჩემთან მოჯამავირეობა? გახსოვს ოცდა ერთი წელი! მოჯამავირემ დახვრეტა, რომ მომისაჯე! — ეხლა სად წამიხვალ.

გაცეცლებული პირიდან დორბლს ყრიდა. არაჩეცულებრივად მოძრაობდა.

პირველად შემეშინდა. ვერ მოვიფიქრე. — საიდან... როგორ... ან და ვინ მისკა გაკოტრებულის შვილს უს უფლება?! რაზმელებიც მეც-

ნობა. მაინც ვერ მოვსულვარ გონს, რა უნდა ჩემთან? ბოლოს დაბ-  
ნეული ხშირ ვყითხე:

— რაშიც საქმე!

— ჰმ! განა არ იცი! თქვენი ხსენება აწი აღგვილი იქნება.  
აჯანყებაა ჩვენ გავიმარჯვეთ. თქვენ დაპატიმრებული ხართ!

მომმართა ერთმა რაზმელმა. მას წინეთ კარგად ვიცნოდი.  
ეხლა ნაცნობობა ვისლა ახსოვდა. გული მევსებოდა მოუთმენლობით.  
გაჯავრებული ვყვიროდი.

— თქვენ ავანტიურისტები ხართ! ხალხის სისხლის მსმელი. ვინ-  
დათ გახვიოთ ხალხი ბურუსში. დაპირებებით მოატყოთ. არასოდეს!  
თქვენ ვინ გამოგვებათ, გარდა მღვდლებისა და თავადების?

— ჩაიმიდე, ხმა! რის მღვდლები! ვეროპა მომდგარია ზლვის  
ნაპირზე. კრეისერები ვერ აუდის ჯარების გაღმოსხმას!

შემეცოდა საწყალი რაზმელი. ისიც მოეტყუილებიათ. მართლა  
ჯეროდა მოჩმასული ჭორები. სიბრაზე მომერია. მინდოდა შალვას  
ზურგიდან ვცემოდი, მაგრამ ჯიბიდან რევოლვერი ამორთმეული მქონ-  
და. ჩემი ბრძოლა უშედეგო იქნებოდა.

— შე არამხადა! თუ კი ამდეხანს შეგრჩა სიცოცხლე, აწი მო-  
გესპობა. ვგონია რომ გამარჯვებული ხარ? ჩვენი დამარცხება შეუძ-  
ლებელია. ვინ უნდა დაგვამარცხოს, შენისთანებჩა!

ამ სიტყვებისთვის ცოტა არ მომხვდა. გამოყეანეს სოფლის გა-  
რეთ. მთაზე აშენებულ ეკლესიაში შემამწყდის. იქ თითქმის ყველა  
ამხანაგები დამხვდა. იმედი მომეცა. ოუმცა გავრცელებული ხმები  
ცოტა ეჭვში მაგდებდა. თავს ვებრძოდი.

— არა! შეუძლებელია ჩვენი დამარცხება!

ვამბობდი ხმა მალლა.

ისინი წრიალობდენ. ყოველ წუთში პანიკა იპყრობდა. ვატ-  
ყობდით საქმე არ ქონდათ კარგად. ბოლოს კიდეც გაიპარენ. კა-  
რებზე დატოვებულმა დარაჯებმა დაგვიწყეს ხევწნა:

— მოგვატყუილეს! არ ვიცოდი რას ვშრვებოდით. გვაპატიეთ.  
შევცდით!

გაიარა ცოტა ხანმა. მიიღეს ცნობა; ბათოშიდან ინგლისის ჯა-  
რები მოდიანო და ისევ მოგვიბრუნდენ.

ასე ვიყავით ორი დღე და ღამე.

მესამე დღეს, როცა შებინდდა, შემოგვიეროეს ორი დატუსა-  
ლებული პასუხისმგებელი ამხანაგი. ერთი ჭალარა. დაბალი ტანის.  
ძველი რკინის გზელი. მეორე — ახალგაზრდა, შავეგრემანი. სომეხი.

ისინი ერთი დღით აღდე გამოსული იყვენ ტფილისიდან. არაფერი  
იცოდენ ცენტრის შესახებ. ამბები მოვკლიოდა:

— სოფელში ძეველმა ყაჩალმა, ქადეიშვილმა, შეადგინა ორმოცდა-  
ათი კაცისგან რაზმი. კომუნისტებს ოჯახებში ესხმოდა და ხოცავდა.

მართლაც ბევრი ამხანაგი მოვკიდეს, ხევებში ჩაყარეს. ეს ამბები  
ძალიან გვაღელვებდა. ველოდით წუთებს, როდის მოგვისწრებდენ  
კომუნისტები.

კარგად დაბნელდა. უცებ კარს აღებს ვიღაც. ხელში სია უჭი-  
რავს. ოცდაათ კაცს გვარჩეს, რაზმელებს შალვა მეთაურობს.

გაგვიყვანეს ტყეში, სოფლიდან ორი კერძის მანძილზე. იქ პა-  
სუხისმგებელი ამხანაგი გვამხნევებდა, გვაძლევდა დარიგებებს. ჩვენ  
გადავწყვიტეთ შებრძოლება. უიარაღო ვიყავით. ამიტომ შოლაპარა-  
კება ვარჩიეთ ბანდის მეთაურთან, მაგრამ ვიღაც მიიკრა მასთან.  
რაღაც ხელებით ანიშნა. იქვე მოთხრილ ორმოსთან, საღაც ჩვენ უნ-  
და დავეხოცეთ, გამოიყანეს პასუხისმგებელი ამხანაგები. ჩვენ ავ-  
ტებეთ ხმაურობა. გვინდოდა შეგვეცვალა უხეში განზოახვა, პასუხის-  
მგებელი ამხანაგები არ გვაძლევდენ უფლებას. ისინი გამოვიდენ ჩვე-  
ნი ჯგუფიდან. ჩაღენ მოთხრილ ორშოში. გამიკიცრდა.

ნუთუ კაცი ტყიას გულს უშვერს და სახეზე ფერიც პრ ეცვლება.  
გაისმა ბრძანება.

— გასწორდით!...

თოფები მომართეს, ერთმა პასუხისმგებელმა ამხანაგმა, ხელი  
მალლა ასწია და სიტყვა მოითხოვა. მეთაური გაძალდა, მაგრამ შემ-  
დეგ დათანხმდა. ამხანაგმა დაიწყო ლაპარიკი. ამ დროს აცახვახე-  
ბელი უცნობი მიერადა შალვასთან. რაღაც ყურში ჩაულაპარაკა.  
შალვა შეკრთა. სახეზე სისხლმა თამაში დაუწყო. მოაცლო თვალები  
გარემოს და სადღაც გასწია. რაზმელები დაიბნენ. მოლერილი თოფე-  
ბი ძირს დაუშვეს. ეხლა კი გამოერკენ, მაგრამ გვიან იყო. ჩვენ  
მყისევ იარაღები ავყარეთ. შევიარალდით. რაზმელები პასუხის მგე-  
ბელ ამხანაგებს ემუდარებოდენ, სრკვდილს გადატინათ. შალვა გა-  
ვისხლტა ხელიდან.

ყოველი კუთხიდან კომუნარები მიდიოდენ. მე თავგადადებუ-  
ლათ დაერბოდი შალვას დასაქრათ. თან ვიგონებდი მოხუცებულ  
ანდრიას, რომელსაც შალვას მამამ, სიცოცხლე გაუძილლა.

ესეც წარსულის მოგონებაა.

მას შემდეგ თხი წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში წითე-  
ლი არმიის რიგებში მოვხედი. ერთხელ ამხანაგებმა გავიარეთ ერთ  
ბნელ ქუჩისკენ. საღამოს რვა საათი იქნებოდა.

მკრთალად განათებულ ყავახანაში შევედით. ფარაჯები გაეინადეთ. მოეითხოვეთ აღულებული წყალი. ჯიბიდან მომვაცოცეთ ნატეხი შაქარი.

ყინვიან ველებზე გაცივებული გული გავითბეთ და დახლში გაჩერებულ ყავახანის პატრონს, სპილენძის შაურებიანი გაუწოდე. დაბალი ტანის, მსხვილი ბეჭების მქონე, ყავახანის პატრონი განცვიფრებით დამაკვირდა, ფერმა გადაკრა. გამოშვერილი ხელი აკანკალებული წაილო დახლისკენ. მეც დავაკვირდი. თვალშინ დამიდგა: შალვა, ძველი ოფიცერი, უმაღლესი ცოდნის მქონე, რომელსაც წელზე თეთრი ტილოს წინსაფარი ეკიდა და ზღვის პირად ყავახანაში რძითა და ჩაით ვაჭრობდა.

მაგონდება წარსული, მასთან მოჯამაგირეობა, ანდრია ბაძგის დანაოცებული შუბლი. ვისვამ ჯიბეზე ხელს. მინდა დავახალო გულში ტყვია, მაგრამ ამხანაგები მაკავებენ.

შალვა კი ისევ გამისხლტა ხელიდან, ისე, როგორც ამ ოთხი წლის წინ აჯანყების დროს.

- \* \*

ასე დაამთავრა გაბრიელმა გრძელი საუბარი, არმიელებთან. დაღლილ სახეზე ოფლი გაიმშრალა. თავისულად ჩაისუნთქა სუფთა ჰაერი.

არმიელები ქმაყოფილი აიშალნენ. მაღლობის ნიშნად გაბრიელი ჰაერში აათამაშეს.

ამ დროს ვაისმა საყვირის ხმა. ეს იყო სადილის ნიშანი, და არმიელები გაემართენ ლაგირათ გასულ ლეგიონის თეთრ კარვებისაკენ.

ლ. აიაინაძე

## შემოსულებული

— სალაში!  
— სილაში!  
მობრძანდი ძმაო, და  
სადილი მიეირთვათ,—  
მერე ის ამბავი რომელიც კარგია,  
მომიყევ შენებურ გამართვით...  
წინად რომ მომხდარა:  
ათი თუ მეტი წლების გადალმა.

ვიყავი ჩუმად და ჩემი სტუმარი  
ყვებოდა ამბავს,—  
რომელიც ყოფილა და მე არ მახსოვე.

მან ერთი ლუქმაც აღარ აიღო  
და საუბარი დაიწყო ასე:

— მოგითხრობ ამბავს,—  
რომელიც იცის უფროსში თაობაშ.  
ვიყავით სამი.  
ვისხედით ციხეში.  
საქმე რომელიც ჩვენ გვეხებოდა  
მოხდა ერთ კაცთან საღილობისას.  
შეიქნა კამათი...

იცოდე ნეტავ ის კამათი რა გულდამწვევლია,  
მოპირდაპირებ რომ სიტყვები ვეღარ გაბედა.—  
სახეზე შერჩა სასირცვილო  
ფერი წითური.

იმან ქალაქში ანიშნა თურმე:

„სტუმრად მეწვიენ ბოლშევიკები,  
მიშველეთ რამე, დავაპატიმროთ...  
მათ დამამარცხეს ყოველნაირად,  
რომ გითხრათ ბარებ სიაშეარავით“.

ჩვენ არხეინად მწვანილს ვწეწავდით,  
თოფიანები თავზე დაგეესხენ.

მე ვეკითხები:

რაშია საქმე?

პასუხი იყო მაშინ ამნაირი:

— აბრძანდით ზეზე და

ქალაქში გაიგებთ.

მივედით ქალაქში მაგრამ ამათა,  
არ ვიცი რა გვქონდა სიდანაშაულე  
და ჩვენი სარემლიდან თვალს ვადევნებდით,  
ქუჩაში მგზავრები რო მიმოდიოდენ.

ციხეში მოვიდა ამბავი ასეთი:  
 „ბოლშევიკები ხეალ აქ მოვლიან“.  
 ქალაქის მცხოვრებლები ტოვებდენ თურმე  
 და სოფლებისკენ გადადიოდენ.

ჩვენ ასე ვეითხოეს:  
 „დღეს პატიმრებო თავისუფლდებით,  
 თქვენს სურვილზეა წასვლა აქედან“.

მაშინვე მივხვდი რომ ეს სიტყვები  
 არ იყო მართალი...  
 ეს ცბიერება ერთ ჩვენს ამხანაგს  
 ვირ დავაჯერეთ,—  
 ადგა ზეზე და ციხე დატოვა.

მესამე ლამეა და განთიადისას,  
 ქალაქი უკვე სხვა ხალხის ხელშია.  
 გაიღო კარები,  
 გაიღო ციხე და,—  
 ძაბრის ქუდიანი ხალხი შემოვიდა.

მაგრამ ის კაცი,  
 რომელმაც პირველად დატოვა ციხე და  
 უნდოდა მასებში ეთქვა რამ ახალი...  
 ის კაცი იმ ლამეს  
 ქუჩაში მოექლათ.

ლ. ავტობაზი.

## რას ნიშნავს ნაპოსტოველობა

ნაპოსტოველობა! მას ჰყავს უკე საკუთარი რეეიზიონისტები და  
 ორტოდოქსები, განდგომილნი და პროფესორული მანერის ლიბერა-  
 ლი პოპულიარიზატორები. ნაპოსტოველობა—დროშაა გამწვავებული  
 პოლემიკის. შევეცადოთ დამშვიდებული ობიექტივიზმით ვილაპარა-  
 კოთ მის შესახებ.

ჩვენმა ლიტერატურულმა დისკუსიამ საკმაოდ მნიშვნელოვანი  
 განვითარების გზა გაიარა; საკითხები სცენიან ერთმანეთს, პირვე-

ლი შეხედვით უკვე გადაჭრილი საკითხები შემდეგ გვევლილებოდენ კიდევ უური რთულ პრომლემებად, დისკუსიის სიმძიმის ცენტრი ხშირად იცვლიდა თავის ადგილს და გვევლინებოდა სხვა და სხვა სფეროში. დისკუსია დაიწყო 22-23 წ. წ. შემდეგი საკითხების გარშემო: a) შესაძლებელია თუ არა პროლეტარული ლიტერატურა, b) პარტიული პოლიტიკა ლიტერატურაში, c) დამოკიდებულება ბურჟუაზიულ და წვრილ-ბურჟუაზიულ მწერლებთან. ჩვენ არ გვაქვს აქ შესაძლებლობა დაწვრილებით განვიხილოთ დისკუსიის ყველა მონაწილეთა თვალსაზრისი. მოვიყვანთ მხოლოდ მებრძოლ მხარეთა ყველაზე უფრო გარევეულ დამახასიათებელ შეხედულებებს.

ნაპოსტოველების თვალსაზრისი, მუხ. „ა“ პროლეტარულ ლიტერატურის შესაძლებლობის თუ შეუძლებლობის შესახებ ხასიათდებოდა კატეგორიული სიმტკიცით: პროლეტარული ლიტერატურა ფაქტია, ის ჩვენს წინამე იზრდება, მას ეყუთვნის უახლოესი მომავალი.

ნაპოსტოველობის მოწინააღმდეგეთა თვალსაზრისი, სამწუხაროდ, არა ნაკლებად ნათელია. მოვიყვანთ ყველაზე უფრო დამახასიათებელ ციტატებს: „არსებითად უმართებულია ბურჟუაზიული კულტურის, ბურჟუაზიული ხელოვნების და, პროლეტარულ კულტურისა და პროლეტარული ხელოვნების დაპირისპირება. პროლეტარული კულტურა და პროლეტარული ხელოვნება საერთოდ შეუძლებელია, რაღაც პროლეტარული რეემი—დროინდია, გარდამავალია“— სწორდა ბმბ. ტროცკი. ამბ. კორონსკი არა ნაკლებად გაძელები იყო: „პროლეტარული ხელოვნება არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს პროლეტარიატის დიქტატურის გარდამავალ პერიოდში. ამ პერიოდის ამოცანა კულტურის სფეროში იმაში მდგომარეობს. რომ პროლეტარიატმა პირველ რიგში შესძლოს გადასულ საუკუნეების ტეხნიკის, მეცნიერებისა და ხელოვნების დაუფლება. ამიტომ დღის წესრიგში სდგას არა პროლეტარული ხელოვნების შექმნის საკითხი, არამედ გარდამავალი პერიოდის რევოლუციონური ხელოვნების შექმნის ამოცანა, რომელიც ყველა მიღწევითა კრიტიკული ათვისების საშუალებით დახმარება პროლეტარიატს ბურჟუაზიაზე გამარჯვების საქმეში; აქ იგულისხმება ბურჟუაზიული კულტურისა და ხელოვნების დაქვემდებარება პროლეტარიატის ინტერესებისადმი, რაც არავითარ შემთხვევაში არ უარყოფს ჩვენი ეპოქისათვის უფრო შესატყვის ახალი ფორმისა და სტილის ძიებას“.

მუხ. „ბ“. არა ნაკლებად შვევე იყო უთანხმოებანი პარტიული პოლიტიკის შესახებ ლიტერატურაში. „ჩვენ გვესაჭიროება პარტი-

ული ხაზი და პარტიული ხელმძღვანელობა“.—ასეთი იყო ნაპოსტო-  
ველების საომარი ლოზუნგი.

„ხელოვნებამ თავისი გზა საკუთარი ფეხებით უნდა გაიაროს.  
მარტინიშვილის მეთოდი—არ არის ხელოვნების მეთოდი... ხელოვნება  
არ არის ის სუერო, სადაც პარტია უნდა ბრძანებლობდეს...“ სწერ-  
და ამხ. ტროცკი, თუმცა ის იმავე დროს ამბობდა, რომ პარტია  
ვერ დაიცავს ხელოვნების საკითხში პრინციპს laissez faire, laissez  
passer. ზოგიერთი ახალი გები იცავდნენ „თავისუფალ ანარქისტულ  
კონკურენციის პრინციპს“. ნეიტრალიტეტი, არაპირდაპი-  
რი და ახმარება, ხელმძღვანელობა—ასეთი იყო მებრძოლ  
მიმღინარეობათა თვალსაზრისი.

მუხ. 5 «ე. თანამგზავრებთან დამოკიდებულების საკითხს ცენტ-  
რალური ადგილი ეკავა დისკუსიაში. შორიდან მაყურებელს ეგონებოდა,  
რომ სწორედ იქ მარხია »ძალის თავი«. მაგრამ უნდა ითქვას რომ  
ეს საკითხი—უმთავრესად »ა« მუხლის შედეგია—პროლეტარული  
ლიტერატურის პერსექტივებზე შეხედულების შედეგია.

ნაპოსტოველები ყოველთვის უშუალოდ უკავშირებდნენ, ერთმა-  
ნეოს ამ ორ საკითხს. ბრძოლის ცეცხლში პროლეტარული ლიტერა-  
ტურის აღიარებისათვის ისინი ხშირად აკარბებდნენ ხოლმე. ნაპოს-  
ტოველების შეცდომებს ჩვენ სპეციალურ წერილში განვიხილავთ.  
ხოლო აქვე აღვნიშნავთ, რომ ნაპოსტოველთა გადაქარბება სავსებით  
ბუნებრივი და კანონმიერი რეაქცია იყო მოწინააღმდეგეთა გან-  
საკუთრებულ შეცდომების მიმართ.

ამხ. ამხ. ტროცკი, ოსინსკი, ვორონსკი—ყველაზე უფრო მხურ-  
ვალეთ იცავდნენ თანამგზავრულ თრიენტაციას. არ არის  
ამ შემთხვევისათვის საჭირო ციტატების მოყვანა ვორონსკის ნაწე-  
რებიდან. ვორონსკი მშვენიერად ხასიათდება მოსიარულე ანდაზით:  
როდესაც ერთმანეთს ეჯახება ლიტერატურისა (იგულისხმე წერილ-  
ბურჟუაზიული მწერალი) და რევოლუციის ინტერესები,—ვორონ-  
სკი ყოველთვის ლიტერატურას იღჩევს. მე არა ვარ ამ ანდაზის მო-  
მხრე ისევე, როგორც არ უარყოფ მას. ანდაზა საგულისხმოა იმდე-  
ნად, რამდენადაც ის ახასიათებს გარკვეულ ლიტერატურულ-პოლი-  
ტიკურ მოვლენას.

ამხ. ტროცკი<sup>1)</sup> სწერდა, რომ ინტელიგენტ მწერალს უკეთ შეუ-  
ძლია ჩვენი რევოლუციის ასახვა მხატვრულ ლიტერატურაში, ვიდ-

<sup>1)</sup> ლ. ტროცკი. „ლიტერატურა და რევოლუცია“ მე-II გამოც. გვ. 164  
და 172.

რე მუშას. მან შექმნა—ბურეუაზიული და წერილ-ბურეუაზიული ინ-  
ტელიგენციის გადამეტებით დაფასებრს თავისებური თეორია რევო-  
ლუციონისტური ხელოვნების მშენებლობის საქმეში. ამს. ოსინსკი იმდე-  
ნად გაიტაცა თანამგზავრობის იდეამ, რომ წამოისროლა ლოზუნგი:  
— „კომუნისტებო, კრიტიკის პოზიციებზე“!

— ამრიგად ლიტერატურა რჩებოდა მხოლოდ კულტურულ  
ინტელიგენტ მწერლის ხელში. ამს. ოსინსკის ლოზუნგი ნათლად ააშვა-  
რავებს კავშირს პროლეტარულ ლიტერატურის მომავლის უარყოფისა  
და თანამგზავრობაზე გენის აღების შორის. აქეე ალენიშვილთ, რომ მდგო-  
მარების დამატებითი სირთულე, რაც ხშირად იწვევდა ნაპოსტო-  
ველთა გადაჭარბებას, იმაში მდგომარეობდა, რომ თანამგზავრებათ  
აღიარებულნი იყვნენ ისეთი მწერლები, რომელნიც არ იყვნენ თანა-  
მგზავრები, და, მათი თანამგზავრებათ აღიარება დაუშვებელიც იყო.

ამ რიგათ დაიწყო ლიტერატურული დისკუსია. რაც ზემოდ  
ითქვა იმის გარეშე შეუძლებელია ჩვენს თანამედროვე ლიტერატუ-  
რულ დაგაში გარევით. ჩვენი დლევანდელი ბრძოლის ძირები—ის  
საკითხებია, რომელნიც ჩვენ ზემოდ უკვე გაკვრით ალენიშვილთ.

მაგრამ ამის შემდეგ რამდენად გაიზარდა ჩვენი თეორეტიული  
უთანხმოებანი?

საკითხი პროლეტარული ლიტერატურის შესაძლებლობისა თუ  
შეუძლებლობის შესახებ (მუხ. „ა“) დაუკავშირდა პროლეტარულ კულ-  
ტურის საკითხს, კულტურის კლასობრივობის საერთოდ, კულტუ-  
რული რევოლუციის გაგებას, პროლეტარული ლიტერატურის ჰეგე-  
მონიის საკითხს, პროლეტარიატის ბატონობისა და არაპროლეტა-  
რული იდეოლოგიის გაბატონების შეუთავსებლობის თუ შეთავსების  
საკითხს.

პარტიის ლიტერატურული პოლიტიკის საკითხი გადაიქცა სა-  
ერთო კლასობრივი ბრძოლისა და იდეოლოგის სფერაში პარტიის  
პოლიტიკის საკითხების ფართო დისკუსიათ. (კურძოდ შეუთავსე,  
ბლობის საკითხი. იხ. ზემოც).

თანამგზავრობის საკითხი გადაიქრა მუხ. „ა“-თან დაკავშირებით-  
რომელსაც თან დაერთო პროლეტარული ლიტერატურის ჰეგემონიის  
საკითხი, და აგრეთვე მუხ. „ს“-ან დაკავშირებით, რომელსაც თან  
დაერთო კლასობრივი ბრძოლის საკითხი თანამშრომლობის პრობ-  
ლემასთან დაკავშირებით.

მესამე საკითხმა, რომელსაც დავაში ცენტრალური ადგილი  
ეჭირა პრინციპიალურად და პრაქტიკულადაც უფრო რთულ  
საკითხებს დაუთმო ადგილი.

ეხლა ბევრს ლაპარაკობენ ნაპოსტოველებისა და მათი მოწინააღმდეგების დაახლოებისა და უთანხმოებათა შეცირების შესახებ.

სწორია ეს? სწორიც არის და არც არის სწორი. ვინც იცნობს ცეკას რეზოლიუციას ის აღვილად გაიგებს, რომ სწორედ მან—ცეკას რეზოლიუციამ—გამოაწვია ჩვენი დადებითი პასუხი.

საქართველოსი გაეცნოთ ამ რეზოლიუციას, რომ გასაგები გახდეს თუ რატომ ვართ ჩვენ დაინტერესებული გაგანხენოთ თუ როგორ გითარდებოდა ჩვენი ლიტერატურული პოლემიკა.

ცეკას რეზოლიუცია არა თუ აღიარებს პროლეტარული ლიტერატურის კანონზომიერებას, არამედ პროლეტარული შეცრელების წინაშე სახაეს ამოცანას, რათა მათ მოიპოვონ პეგემონიის უფლება.

რეზოლიუცია უარყოფს ლიბერალურ თვალსაზრისს ლიტერატურულ საქმეებში ჩაურევლობის შესახებ. და განსაზღვრავს პარტიის გზასა და ამოცანებს მხატვრულ ლიტერატურის სფერაში, ირკვევა, რომ მარტინისტული მეთოდი საესებით მისაღებია იმისა—თვის, რომ ხელოვნების „ფეხები“ წარიმართოს იქით. საითაც ამას მოისურვებს ბოლშევიკური თავი!

რეზოლიუცია ხახს უსვამს, ხაპოსტოველების გადაჭარბებათა და შეცდომების წინააღმდეგ, რომ საჭიროა ლოიალური დამოკიდებულება თანამგზავრების მიმართ, ხოლო ამასთანავე აღნიშნავს, რომ „პოზიციების დაპყრობა მხატვრულ ლიტერატურაში (პროლეტარიატის მიერ (ლ. ა.). ადრე თუ გვიან ფაქტი უნდა გახდეს“.

პროლეტარული ლიტერატურის პეგემონიის თვალსაზრისით, ნათელი ხდება, რომ თანამგზავრობის საკითხი რეზოლიუციაში სულ სხვაგვარათ სდგას ვიდრე ამის შესახებ ფიქრობენ ჩვენი მოწინააღმდეგენი.

მაგრამ პარტიის ხაზი უნდა განხორციელდეს. დისკუსიის ყველა მონაწილენი შედარებით ქმაყოფილნი, სხვა და სხვა განწყობილებით „სწორდებიან“ ცეკას რეზოლიუციის ხაზით.

ხოლო, რატომ დავვთანხმეთ ჩვენ და არც დავვთანხმეთ. დათანხმება უკვე ასხნილია. ხოლო არ ვეთანხმებით იმიტომ, რომ პირველი შეხედვით აქტუალობას მოქლებული, ამოწურული საკითხები, კიდევ უფრო გაღრმავდენ,—ეხლა ისინი უფრო მაღალ თეორეტიულ საფეხურზე დგანან.

ლიტერატურის სფეროში მომუშავე პარტიულ ამხანაგობისათვის გაერთიანებულ მუშაობის ნიადაგი უსათუოდ მომზღებულია. მაგრამ ცდება ის ვინც ფიქრობს, რომ ამით გადაწყვეტილია ჩვენი უთანხმოებანი.

განვიხილოთ ჩვენი ლიტერატურული უთანხმოებანი სხვა  
თვალსაზრისითაც. ნაპოსტოლიური ლიტერატურის საკითხებს  
ყოველთვის კულტურული რევოლუციის საერთო საკითხებს უკავ-  
შირებდა. ლიტერატურის საკითხებს ჩვენ მუდამ უდგებით რო-  
გორც 1) იდეოლოგიური ბრძოლის ერთ-ერთ ფრონტს, სადაც  
კვლაშე უფრო ძლიერია ბურუუაზიული იდეოლოგიის შემოტევა;  
როგორც 2) კულტურული რევოლუციის ფრონტის ერთ-ერთ ნა-  
წილის, სადაც პარტიული ხაზით მუშავდება კულტურის პრობლე-  
მისა და კლასობრივი ბრძოლის მთელი რიგი საკითხები იდეო-  
ლოგიის სფეროში, როგორც 2) ფრონტის ერთ-ერთ ნაწილს, სადაც  
თავს იჩინს ლენინიზმის დამახინჯვება.

ლიტერატურულ საკითხებთან ასეთი მიღვომით განისაზღ-  
ვრება ნაპოსტოლელთა მოძრაობის დადებითი და უარყოფითი მხა-  
რები:

თუ ჩვენ განსაკუთრებით არ განვიხილავთ, იმ მდგომარეობას  
რომელიც შეიქმნა იდეოლოგიურ ფრონტზე ახალი ეკონომიკური პო-  
ლიტიკის შემდეგ, ჩვენ გაგვიძნელდება. იმ ყურადღების გავება, რომ-  
ლითაც პარტია მოეპყრო ლიტერატურას. ბურუუაზიამ მიიღო ვაჭ-  
რობის უფლება, რის შემდეგ მან მოინდომა საკუთარი იდეოლოგიის  
შექმნა.

ეკონომიკური უკან დახევა გამოიწვევს პოლიტიკურ ტერმიდო-  
რსო, წინასწარმეტყველობდენ მარტოვები.

ნეპმანმა დააგროვა საბჭოთა ბონების მილიარდები, რის შემ-  
დეგ დაებადა საკუთარი იდეოლოგიის შექმნის სურვილი. მაგრამ  
საერთო თავისუფლების იმედები მას მაღე გაუმტკუნდა. ბურუუა-  
ზიამ ვერ შესძლო უშვალოდ პოლიტიკის სფეროში თავის გამოჩენა,  
მაშინ ის შეეცადა იდეოლოგიური ზედნაშენების საშვალებით, „ამო-  
სულიყო ზევით“, მით უფრო, რომ ის შედარებით დაცილებულია  
უშვალო პოლიტიკურ ზეგავლენას და სოციალურად ნაკლებად გა-  
ხაგებიც არის. ამ რიგათ მხატვრული ლიტერატურა გადაიქცა იდე-  
ოლოგიური ბრძოლის ერთ-ერთ მთავარ ფრონტად.

არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ პარტიამ მაღე მიაღწია  
მნიშვნელოვან მიღწევებს ამ სფეროში. კომბინაციური მეთოდებით—  
ბერდიავევებისა და ოსორგინების გაძევებით და, „კრუგი“ — სათვის  
ხელის შეწყობით უკუმცესლ იქმნა პირველი შემოტევა.

მაგრამ პარტიის ამოცანები მხატვრული ლიტერატურის სფე-  
როში არ განისაზღვრება ბურუუაზიული იდეოლოგიის თავდასხმის  
შეოლოდ მოვერიებით. თავდაცვას მხოლოდ მაშინ აქვს მნიშვნელო-

ბა, როცა ის მომზადებაა შეტევისთვის. პროლეტარული რევოლუციის პარტია ისეთ ლიტერატურას საჭიროებს, რომელიც პროლეტარულ რევოლუციას გაუწევს სამსახურს. პროლეტარიატის პარტია, რომელსაც თან მიჰყავს გლეხობა, საჭიროებს რომ წერილ-ბერეუაზიული მწერლობა უფრო გაძელეულად იქნეს გადაყვანილი პროლეტარიატის იდეოლოგიურ პოზიციებზე.

განა კველაფერი თავის რიგზეა იმის შემდეგ, რაც უკუქცეული იქნა შინაურ ემიგრაციის პირველი შემოტევა? ჩვენ ვფიქრობთ, რომ ის უთანხმოებანი, რომელმაც წარმოშვა ჩვენი ლიტერატურული დისკუსია, არ გვაძლევს ჩვენ უფლებას დადებითად უპასუხოთ ამ კითხვაზე. დამცველთა პოზიცია ამოეფარა პარტიული ხელმძღვანელობის უარყოფას ლიტერატურის სფეროში.

განწირულ თავდაცვის პოზიცია ამოეფარა თანამგზავრთა შედეტად დაფასებას რევოლუციონური ლიტერატურის მშენებლობისა საქმეში. რეაქცია ასეთ შეცდომების წინააღმდეგ იყო ნაპოსტოველობა. პროტესტი ასეთი შეცდომების წინააღმდეგ, რაც უშეალოდ ასუსტებს ბრძოლას ბურჯუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ—იყო ნაპოსტოველობა. ნაპოსტოველობა იყო ნიშანი ლრევიდატორობის წინააღმდეგ, რომელმაც თავი იჩინა პარტიულ ლიტერატურულ მუშაკების წრეში; მან ამხილა ბურჯუაზიული მწერლობის შემოტევისაგან გამოწვეული გადახრები, რომელიც თავის დროშე მოიგერია პარტიამ. ამის შემდეგ ნაპოსტოველობამ ჩამოაყალიბა თავისი შეხედულებები სადათ საკითხების გარშემო, დაიწყო ლაშქრობა, გადავიდა შეტევაზე, რაც იმავე დროს თავდაცვის საუკეთესო საშუალებათ იქცა.

ნაპოსტოველობის ისტორიული მნიშვნელობა შეაფასა ამხ. რა-დეტა. ჩვენ შეხედულებათა დაჯერებულმა მოწინააღმდეგებ (თუმცა არა ყოველთვის)—რადექმა ცეკასთან მოწვეულ თათბირზე 24 წ-მაისში განაცხადა, რომ ნაპოსტოველთა მიერ „მინების მტვრევამ-აიძულა პარტია, რათა მას მიერთ სასწრავო ზომები ლიტერატურული პოლიტიკის სფეროში. ცნობილია, რომ ნაპოსტოველების მიერ „მინების მტვრევა“ პირველად ყოვლისა სწარმოებდა იმ თვალსაზრისით, რომლის შესახებ ჩვენ კლაბარაკობდით და რითაც ხასიათდება ლიტერატურულ დისკუსიაში ნაპოსტოველთა მონაწილეობის პირველი მუხლი. ამ მუხლიდან წარმოიშვა პროლეტარულ ლიტერატურის ჰეგემონიის იდეა, თანამგზავრობის შესაფერისი დაუსახება და კლასობრივი ბრძოლის საკითხების განხილვა.

შემდეგ, ნაპოსტოველობა ლიტერატურულ დავას უდგებოდა, რო-  
გორც კულტურული რევოლუციის ერთ-ერთ ფრონტს, სადაც მუ-  
შავდება და ყალიბდება პარტიის შეხედულება კულტურისა და კლა-  
სობრივი ბრძოლის საკითხებზე იდეოლოგიის სფეროში.

სამწუხაოოდ წინასიტყვაობაში ჩეენ ვერ განვიხილავთ ჩეენი  
დისკუსიის ყველა საკითხებს. დავკმაყოფილდეთ ქონსპექტური ხასია-  
თის ოთხი მუხლით, რასაც სისტემაში მოჰყავს მთელი გასალა.

მუხლი „ა“. გრძელდება თუ არა კლასობრივი ბრძოლა საბჭოთა კავშირში, პროლეტარიატის მიერ ხელისუფლების აღების შემდეგ, დიქტატურის დღვანდველ ხანაში? როგორია ის ახალი ფორმები, რომელშიც დღეს სწარმოებს ეს ბრძოლა? როგორ გავლენას ახდენს, კერძოდ, ჩვენს იდეოლოგიურ პოლიტიკაზე ეკონომიკური თანამდებობა ბურჯუაზიასთან? ძლიერდება თუ სუსტდება ჩვენში იდეოლოგიური ბრძოლა? — ასეთი საკითხები წამოიქმნა ნაპოსტროველობის წინაშე, რომელთა დამუშავებაში ის იღებდა მონაწილეობას და სადაც ის ცდილობდა პარტიული ხაზის გატარებას.

პოლეტიკა სწარმოებლა მარჯვნით და მარცხნით.

ნაპოსტოლები ებრძოდა ამ. ვორონისკის მიერ კლასობრივი  
პრძოლის მიჩვიდავს ლიტერატურაში.

ნაპოსტოლება ეგმიდი საკითხის ისეთ დაყენებას, როცა  
ამბობდენ, რომ ჩვენ უნდა ვებრძოლოთ მხოლოდ წვრილ ბურუუაზი-  
ული იდეოლოგიის მერყეობას. განა მერყეობა წვრილ ბურუუაზიული  
იდეოლოგიის შინაგანი თვისება არ არის. განა ჩვენს ამოცანას არ  
წარმოადგენს წვრილ ბურუუაზიული იდეოლოგიის დაძლევა, პრო-  
ლეტარული იდეოლოგიის გამარჯვება, გლეხობის პროლეტარული  
რევოლუციის რონებზე ფრთხილად გადაყვანა!

ნაპოსტოველობა ებრძოდა კლასობრივი ბრძოლის გამწვავების უარყოფის; ნაპოსტოველობა ებრძოდა იმათ ვინც კლასობრივი ბრძოლის გამწვავების აღიარებას «ოპოზიციონერობათ» აცხადებდა. ნაპოსტოველობა ებრძოდა იმათ, ვინც ბურჟუაზიასთან კენომიური თანამშრომლობის ფაქტიდან ასკენიდა ბურჟუაზიასთან იდეოლოგიური თანამშრომლობის შესაძლებლობას.

მაგრამ ჩეუნ უკვე კსოვებით, რომ ბრძოლა სწარმოებდა არა  
მარტო, მარჯვნით არამედ მარცხნითაც.

ნაპოსტოლელობა ებრძოდა თავის წრიდან გამოსულ უმცირე-  
სობის უმეცირებას, რომელსაც არ ესმოდა პროლეტარიატის ხელში  
ხელისუფლების გადასულით გამოწვეული ცვლილებები კლასობრივი  
პრძოლის საკითხებში; ის ებრძოდა რევოლუციის წინა პერიოდის

კლასობრივი ბრძოლის მეთოდებისა და წესების მექანიკურ გადმო-  
ტანას თანამედროვე პირობებში.

ნაპოსტოველთა უმრავლესობა ებრძოდა პოლიტიკურ გადახ-  
რის, — არ გავებას, რომ კლასობრივი ბრძოლის ფაქტიურ გამწვავე-  
ბას ჩენდ უნდა დაუპირდაპიროთ არა გამწვავების პოლიტიკა, არა-  
მედ სამოქალაქო ზავის პოლიტიკა, როგორც პროლეტარიატის  
კლასობრივი ბრძოლის ყველაზე უფრო მიზანშეწონილი ფორმა.

ნაპოსტოველთა უმრავლესობა ებრძოდა იმათ ვისაც არ ესმო-  
და თუ რატომ ლაპარაკობდა ლენინი რეფორმისტული მეთოდების  
შესახებ.

მუხ. „ხ“ ნაპოსტოველებმა წამოაყენეს პროლეტარიატის ბა-  
ტონობისა და ასა პროლეტარულ იდეოლოგიის გაბატონების შეუ-  
თავსებლობის იდეა და ისინი კიდევ იცავდენ ამ იდეას.

ხელთნაწერში ფეიერბარხის შესახებ მარქსი და ენგელსი სწერ-  
დენ: „ყოველ ეპოქაში გაბატონებული კლასის აზრი ათს გაბატო-  
ნებული, ე. ი. კლასი, რომელიც არის საზოგადოების გაბატონებული  
მატერიალური ძალა, იმავე დროს არის იმავე საზოგადოების გაბა-  
ტონებული სულიერი ძალა. კლასი, რომელიც განავებს მატერია-  
ლურ საწარმოო ძალებს, ამის გამო სულიერ საწარმოო საშუალებებ-  
საც ფლობს, ამიტომ ის იმათ აზრზედაც ბატონობს, რომელთაც არ  
გააჩნიათ სულიერი საწარმოო საშევალებები. გაბატონებული აზრი  
წარმოადგენს გაბატონებულ მატერიალურ ურთიერთობათა იდეალურ  
უკუ ღვენას“...<sup>1)</sup> ჩენდში პროლეტარიატის დიქტატურა არის გაბა-  
ტონებული.

განა ეს გარემოება ნიშნავს, რომ ჩენდში გაბატონებული მუ-  
შათა კლასი იმავე დროს არის მატერიალურ და სულიერ საშუალე-  
ბათა ბატონ-პატრონი?

«ბურჟუაზიული და სოციალისტური რევოლუციის ერთ-ერთი  
ძირითადი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ბურჟუაზიული რე-  
ვოლუცია ყოველთვის ფეოდალიზმიდან გამოდის, ახალ ეკონომიკურ  
ურთიერთობებს ის ქმნის ძველი წესწყობილების შიგნით, თუ გინდ  
სავაჭრო ურთიერთობის საშუალებით, რაც თანდათანობით ყოველ-  
მხრივად სცვლის ფეოდალურ საზოგადოებას... სოციალური რე-  
ვოლუცია იმით განსხვავდება ბურჟუაზიულ რევოლუციისაგან,  
რომ ის უკვე ფეოდალურ საზოგადოებაში ფლობს კაპიტალისტური  
ორგანიზაციის ფორმებს, საბჭოთა პროლეტარული რევოლუცია არ  
იღებს დამზადებულ სახის ისეთ ურთიერთობებს, თუ მხედველობაში

1) ქ. მარქსის და ენგელსის არქივი წიგ. I გვ. 230.

არ მივიღებთ კაპიტალიზმის ყველაზე უფრო განვითარებულ ფორმებს, რაც შეიცავს მრეწველობის მცირეოდენ მწვერვალებს და ძალიან მცირედ ეხება მიწადმოქმედებას.<sup>1)</sup>

ლენინის ასეთი შეხედულება სპეციალურად დამტკიცებული და განვითარა ამს. ბუხარინმა, რომელიც დამოუკიდებლად მივიდა იმავე დასკვნამდე.<sup>2)</sup> ბურეუაზიამ აიღო ხელისუფლება მაშინ, როცა ის უკვე კულტურულად მომზადებული კლასი რყო და ფაქტიური კულტურული ჰეგემონი. ბურეუაზიული რევოლუცია, მხოლოდ, ამტკიცებს ბურეუაზიის ეკონომიურ ბატონობას, რომელსაც მან მიაღწია ფეოდალურ საზოგადოების ფარგლებში.

პროლეტარიატი ხელისუფლებასთან მიღის გაცილებით ნაკლებად კულტურული ვიდრე ბურეუაზია. პროლეტარიატი მხოლოდ ხელისუფლების დაპყრობის შემდეგ ხდება გაბატონებულ სამეურნეო ძალათ — იმავე დროს პროლეტარიატის დიქტატურის ხანგრძლივ პერიოდში ის ფლობს მხოლოდ საკომანდო მწვერვალებს. ბურეუაზიას არ ესაჭიროებოდა კულტურული რევოლუციის ლოზუნები. პროლეტარიატისათვის მისი განხორციელება — რევოლუციის სიკეთილისკებლის საკითხს წარმოადგენს.

პროლეტარიატის ბატონობა და არა პროლეტარულ იდეოლოგიის გაბატონების შეუთავსებლობის იდეა სწორედ იმ სპეციფიურობას გამოსახავს, რითაც პროლეტარული რევოლუცია განსხვავდება ბურეუაზიულ რევოლუციისაგან და რაც კულტურული რევოლუციის აუცილებელ შინაარსს წარმოადგენს. ბრძოლა არაპროლეტარული იდეოლოგიის გამოდენისათვის იმავე დროს არის ბრძოლა პროლეტარიატის გარდასაქმნელად გაბატონებულ სულიერ ძალად; ეს არის ბრძოლა პროლეტარიატის იდეოლოგიის გარდასაქმნელად სოციალისტურ, საერთო-საკაცობრიო კომუნისტურ იდეოლოგიათ.

ან პროლეტარიატი უნდა გადაიქცეს გაბატონებულ სულიერ ძალად, ან და ის ვერ დასძლევს სოციალისტური საზოგადოების შექმნის მოცანას — აი, რა შეადგენს შეუთავსებლობის საკითხის შინაარსს.<sup>3)</sup>

1) ლენინი. თბილებ. ქრებ. ტ XV გვ. 124 და 125.

2) ნ. ბუხარინი, შეტყვა სახელ. გვ. 243.

3) ჩვენ აქ არ გვაქვს საშვალება დასაბუთებისათვის მოვიყვანოთ გადაგვარების საკითხი. მყოფელს მიუთითებთ ლენინის სიტყვას წარმოთქმულს XI ყრილიაზე და ამს. ბუხარინის ნაშრომში: „ბურეუაზიული თა პროლეტარული რევოლუცია“: იბ. „შეტყვა“ გვ. 237—239.

მუს „C“. ნაპოსტოველობა ხაზგასმით აღნიშნავდა კულტურული საკითხების ლენინიდან შესწავლის აუცილებლობას. ჩვენ იმ მო-  
საზრებიდან გამოვდივართ, რომ ჩვენ მიერ პროლეტარული კულტუ-  
რის დაცვა, არა თუ ეწინააღმდეგება ლენინის შეხედულებებს, წინა-  
აღმდეგ, ჩვენს მიერ საკითხების დაყენება პროლეტარული კულტუ-  
რის შესახებ უშუალოდ კულტურული რევოლუციისაგან გამომდი-  
ნარებობს. მკითხველი წერილში „ლენინის შენიშვნის“ შესახებ გაეც-  
ნობა ამს. პლეტნოვის თეორიის კრიტიკას პროლეტარული კულტუ-  
რის შესახებ; ამს. პლეტნიოვი პროლეტკულტის კველაზე უფრო სა-  
ინტერესო წარმომადგენელია.

პროლეტარული კულტურა და პროლეტკულტი როდი არიან  
ერთგვარი მოვლენები, წინააღმდეგ, პროლეტკულტის თვალსაზრისი  
კულტურის საკითხების შესახებ, ხშირად, უმთავრეს დებულებებში  
ეწინააღმდეგება პროლეტარული კულტურის იდეას, ლენინის კულ-  
ტურული რევოლუციის იდეას.

პროლეტარული კულტურის მშენებლობის აბსტრაქტულ, რა-  
ციონალისტურ სქემების მაგიერ: erste Kolonne marchiert, zweite  
kolonne marchiert, dritte kolonne machiert, როცა პროლეტკულტის  
სამართველოში ზის ტოლსტიოს გენერალი მაკი, ამჟავებს დისპო-  
ზიციებს და თვალყურს იდევნებს მათ შესრულებას, ყოველივე ამის  
მაგიერ, ნაპოსტოველებმა წამოაყენა ფართო პროლეტარულ მასებში  
კულტურული რევოლუციის ჩატარება.

ამს. იაკოვლევი არა ერთხელ გამოვეამათა „ვაპს“. ის კულ-  
ტურულ რევოლუციის უპირისიპირებს პროლეტარული კულტურის  
მშენებლობას. ხოლო ამს. იაკოვლევი თავს ესხმის არა პროლეტარუ-  
ლი კულტურის მომხრეებს, როგორიც ვართ ჩვენ, არამედ პროლეტ-  
კულტივულ ფელდმარშლებს „ომი და ზავი“-დან. ამს. იაკოვლევი  
თვითონ სწერდა: „როცა მილიონი ადამიანები საბჭოთა ხელისუფ-  
ლების პირობებში დაეუფლებიან ბურეუაზიულ კულტურას, ეს უკვი-  
ნიშნავს პროლეტარული კულტურის წარმოშობას.“

ეს სწორედ ასეა. სწორედ ამიტომ ნაპოსტოველობა იცავდა იმ  
თვალსაზრისს, რომ კულტურული რევოლუცია და პროლეტა-  
რული კულტურა სრულებითაც არ ეწინ იაღმდეგები-  
ან ერთმანეთს, წინააღმდეგ, პროლეტარული კულტუ-  
რის წარმოშობა და შემდეგ მისი სოციალისტურ კუ-  
ლტურად გადაქცევა შეადგენს სწორედ კულტუ-  
რული რევოლუციის შინაარსს.

მუხ „ძ“. ზემოდ ნათქვამის შესატყვისად ნაპოსტოველობა იკავდა კულტურის კლასობრივობას, იმათ წინააღმდეგ ვინც ცდილობდა კულტურის საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის თვალსაზრისით კულტურის კლასობრივობის უარყოფას. ეს საკითხი საქაოდ დამუშავებულია წერილებში ამხ. ამხ. სლეპოვის და ონორის წინააღმდეგ, ამიტომ ეხლა მე არ შეენიჭდები ამ საკითხზე, აღნიშნავ მხოლოდ, რომ ეს საკითხი უშუალოდ დაკავშირებულია მეცნიერების კლასობრივ საკითხთან.

ამრიგად ირკვევა, რომ ნაპოსტოველობა მხოლოდ მე- III მუხლში მივიღა უშუალოდ ლიტერატურის პრობლემასთან, როგორც იდეოლოგიური ზედნაშენის სპეციფიურ ფორმასთან. მარტოოდენ ბრძოლის სურვილით და პოლიტიკოდნით შეუძლებელია წარმატებით ბრძოლა ბურეუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ ლიტერატურის სფეროში.

ამასთანავე საჭიროა ლიტერატურის ცოდნა, მარქსისტული ესთეტიკის საფუძვლების გაგება, ლიტერატურის მცოდნეობის გაღრმავება, დაბოლოს, ვინც ეწევა კონკრეტ-ერიტიულ მუშაობას, მათთვის აუცილებელია ესთეტიური აღლო. მარქსისტული კადრი ამ სფეროში მეტად მცირება. და თუ ერთის მხრით არ არის მართალი, მაგალითად, ამხ. პოლონესკი, რომელიც საქმიოდ არ სთვლის იმ მემკვიდრეობას რაც ჩეენ შივიღეთ ამ სფეროში მარქსიზმის მამათმთავრებისაგან, მეორეს მხრით დაუშვებელია იმის მიჩქმალვა, რომ ყოველდღიურად სულ ახალი და ახალი საკითხები იქრებიან, რომლებიც საჭიროებენ მარქსისტულ დამუშავებას. ბრძოლა პროლეტარული ლიტერატურის ჰეგემონიისთვის უშუალოდ დაკავშირებულია ბრძოლასთან მარქსისტული ლიტერატურული კრიტიკის ჰეგემონიის მოსაპოვებლად. ხოლო ჰეგემონია კრიტიკის სფეროში უშუალო კავშირშია ბრძოლასთან ჰეგემონიისათვის ლიტერატურის მცოდნეობის სფეროში.

ნაპოსტოველობა არ შეიძლება განიხილოს, როგორც გარკვეული კრიტიკული სკოლა, საკუთარი ესთეტიური და ლიტერატურის მცოდნეობის დამუშავებული სისტემით. მიუხედავათ ამისა ერთი რამ მაინც გარკვეულად იხსიათებს ნაპოსტოველობას: ეს არის მისი თვალსაზრისი და საერთო მიღვმა კონკრეტ ლიტერატურულ პრობლემებთან. სწორედ ასეთმა თვალსაზრისმა განსაზღვრა ის მოვლენა, რომ ნაპოსტოველობა აწარმოებდა ბრძოლას მარქსიზმის რევიზიონისტული დამახიჯვების წინააღმდეგ. სწორედ ნაპოსტოველობის საერთო მიღვმამ განსაზღვრა ის ფაქტი, რომ ნაპოსტოვე-

ლობა აწარმოებდა ბრძოლას ხელოვნების სოციალური როლის აღ-  
არებისათვის — რაც კლასობრივი იარალია კულტურული რეკოლ-  
უცის საქმეში.

ჩვენ არ გვეშინია ყალბი გავების: ლიტერატურის საკითხებს  
ჩვენ უდგებოდით უთილითარული თვალსაზრისით, ხოლო ეს არის  
სოციალური პრაქტიკის უტილიტარიზმი და, არა „ნივთის“ ხელოს-  
ნური დამზადება.

Прежде всего я — член партии,  
А стихотворец . . . . . потом.

ბეჭიმენსკის ამ სიტუაციით შეიძლება დახასიათდეს მთელი ნა-  
პოსტოველობა.

უახლოეს დრომდე ჩვენ მარქსისტული ლიტერატურული თეო-  
რიის საკითხებს ვეხებოდით იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელი  
იყო ჩვენი ლიტერატურული პრაქტიკისათვის. სავსებით ბუნებრივია  
ამიტომ, რომ ნაპოსტოველობა ამ სფეროში შემდეგ საკითხებს ეხ-  
ბოდა: a) ხელოვნების ხასიათი, b) ხელოვნების კლასობრივობა და  
მისი ობიექტიურობა, c) კლასიკური მემკვიდრეობა და თანამგზავ-  
რები, d) მარქსისტული ლიტერატურული კრიტიკის ამოცანები, e)  
პროლეტარული ლიტერატურის შემოქმედებითი გზები.

აյ ჩვენ კიდევ უფრო კონსპექტიური ვიქნებით. აღვნიშნავ,  
შხოლოდ, რომ მე-III მუხლის დამუშავებაში უმთავრესი აღვილი ეპ-  
უავნის ამბ. ამბ. გ. ლელევიჩს და იური ლიბედინსკის<sup>1</sup>).

. § a. ხელოვნება — შეცნობაა ცხოვრების. ხელოვნება ცხოვ-  
რების შეცნობა კი არ არის, არამედ მშენებლობაა ცხოვრების. ამა.  
ვორონესკი და ამბ. ჩუვაკი თავის პოზიციებზე დგანან. პირველი  
ფორმულის მომხრე თავს ესმის მეორე ფორმულის დამცველს.

„ცხოვრების შემცნობელი“ ანთებენ „კლასობრივ ცეცხლს“  
„ცხოვრების მშენებლობის“ წინააღმდეგ. ჩუვაკი პლეხანოვს აღია-  
რებს ბურჟუაზიული ესთეტიკის უკანასკნელ სიტყვათ, მისტიკისი  
და რეაქციონერი ფილოსოფიის სოლოვიოვი მოჰყავს როგორც  
მაგალითი „საბოლოოდ უამედო კრიტიკოსს“ ვ. ვოროვსკისათვის.  
ჩუვაკს ხელოვნების საკითხებში ჩვენ ვსთვლით მარქსიზმის გარეშე  
მდგომ აღამიანათ.

„ხელოვნება — საზოგადოებრივი ცხვრების შეცნობის ერთ-  
ერთი საშუალებაა. ხელოვნება ემოციონალური ზემოქმედებითი საშუ-

ისილ. გ. ლელევიჩ — „მარქსისტული ლიტერატურული კრიტიკის ამოცანე-  
ბის“, გამოც. „პრიბოი“. იური ლიბედინსკი. „სწავლა, შემოქმედება და თვითკრი-  
ტიკა“, ვამოც. „მოსკოვსკი რაბოჩის“.

ალებით ორგანიზაციულად აყალიბებს მკითხველის, მსმენელის, მაყურებელის აზრსა და გრძნობებს.<sup>2)</sup> — ასე ვწერდით ჩვენ ხელოვნების შესახებ ბროშურაში, ოომელიც „მემარცხენების“ მხრითაც დღვეანდლამდი აღიარებულია, როგორც ნაპოსტოველთა საპროგრამო დოკუმენტი. ასეთი ვანმარტებით იხსენება ვორონესკისა და ჩუქავის დაპირისპირება. ხელოვნება უსათუოდ არის ცხოვრების შეცნობის სპეციფიური ფორმა. ხოლო არა ნაჯლებად უდავო ისიც, რომ ხელოვნება ემოციონალური ზეგავლენის საუკეთესო საშუალებაა. ცხოვების შეცნობა, რომელსაც იძლევა ხელოვნება, არ ატარებს თვითმყობად ხასიათს. ცხოვრების შეცნობა ისევე, როგორც ემოციონალური ზეგავლენა თშეალო კავშირში არიან მხატვრულ ნაწარმოებში.

იმის შემდეგ რაც ჩვენ ვიღაპარაკეთ დისკუსიის შესახებ, ნათელი ხდება ხელოვნების იმ თეორიის აზრი, რომელიც „შეცნობას“ აღიარებს ხელოვნების ერთად-ერთ ფუნქციათ, უარჲყოფს ხელოვნების „მოქცევითი“ ხასიათს და იბრძების ხელოვნების ისეთი გვევების წინააღმდეგ, რომელიც ხელოვნებას აღიარებს კლასობრივი ბრძოლის იარაღიად. ხელოვნების შესახებ შედაგების პოლიტიკური აზრი სავსებით მეტავრდება შემდეგი საკითხის განხილვის დროს.

§ 1. ხელოვნება იძლევა ობიექტიურ კეშმარიტებას: ხელოვნება არის ცხოვრების შეცნობა—მისი ემოციონალური სიხეობითი ათვისების ფორმებში. როგორც მეცნიერება ისევე ხელოვნება იძლევა ობიექტიურ კეშმარიტებას; ნამდვილი მხატვრობა ზუსტ ხასიათს ატარებს, რადგან მას იბიექტთან აქვს საჭმე, მხატვრობა ცდისეულია—ასეთია ვორონესკის თვალსაზრისი.<sup>1)</sup> რა არის მართებული ამ ფორმულაში? მართებულია მითითება, რომ ნამდვილი ხელოვნება საჭიროებს რეალისტურ შესატევისობას იბიექტიურ საზოგადოებრივ სინამდვილესთან.

ეს არ არის ახალი. ხოლო ის რაც ახალია ვორონესკის ფორმულაში—საესებით ამაზინჯებს იმას რაც სწორი იყო მის ფორმულაში. ხელოვნების მეცნიერებასთან შედარება მთავარი შეცდომაა ამბ. ვორონესკის, მეცნიერება,—თავის თავად ცხადია, აქ ლაპარაკია „ზუსტ“ შეცნიერებაზე—იძლევა ობიექტიურ კეშმარიტებას. მეცნიერების კანონთა კეშმარიტება მტკაცდება ემპირიული ცდით. პრაქტიკული კრიტიკით ნაცადი მეცნიერული კანონი ერთვარად სავალდებულია, როგორც ბურჟუასთვის ასევე პროლეტარიისათვის. ენერ-

<sup>2)</sup> ა. ვორონესკი—„ხელოვნება, როგორც ცხოვრების შეცნობა“. გამომც. „ოსნოვა“ გვ. 12.

ვის შენახვის კანონი კლასთა გარეშე სდგის, იმ გაგებით, რომ ის  
უდაოდ შედის ყველა კლასთა კულტურაში.

აქვს თუ არა მხატვრულ ნაწარმოებს ისეთივე ხასიათი, რო-  
გორც მეცნიერულ კანონს? „ომი და ზავი“ უდიდესი მიღწევაა კლა-  
სიკური ხელოვნების. მაგრამ ვინ იტყვის, რომ ტოლსტოიმ ამ ნა-  
წარმოებით მოვცა ობიექტურად სწორი სურათი?: ამ. ლებედინ-  
სკი შესანიშნავად სწერდა ამის შესახებ: „განა „იმგვარადვე ესახება  
თანამედროვე პროლეტარიატს, ბურჟუაზიული რევოლუციის გამ-  
გრძელებელის—ნაპოლეონის ომი ბატონ-ყმურ რუსეთის წინააღმდეგ.  
სრულებითაც არა. რას გვეუბნება ჩვენ „ომი და ზავი“ შედარებით  
უმნიშვნელო, თუმცა სიმპტომატიურ გლეხურ მოძრაობის შესახებ,  
რომელსაც ადგილი ჰქონდა ე.წ. „მამულიშვილურ ომის“ დროს?  
ეს მოძრაობა ჩვენ გვეხატება ისეთ სურათათ, რომელიც ძალიან წა-  
აფის გორბუნოვის სკუნებს „მდაბიო ხალხის“ შესახებ; გლეხური  
მოძრაობა მოცემულია აქ როგორც უაზრო „ბუნტი“ „მშენიერ მა-  
რო ბალკონსკის“ წინააღმდეგ; გლეხობის ბუნტი ამ შემთხვევაში  
მხოლოდ ფონია ახალგაზრდა როსტოკის ნაზ გრძნობების ვამოსა-  
ხატველად“. 1) რაშია საქმე? ამ მოვლენის ძირი უნდა ვეძიოთ მწერ-  
ლის კლასიურ ფსიქიკაში, მის მსოფლმხედველობაში. მწერალს საქ-  
მე აქვს აღამიანის გრძნობებთან და აზრთან. მწერლის მიერ თემის  
არჩევა—სოციალ კლასობრივი დეტერმინიული მოვლენაა. თემის  
დამუშავება ყოველთვის გარევეულ თვალსაზრისით სწარმოებს.

აღამიანის რაობა—საზოგადოებრივი ურთიერთობათა—ამბობდა  
კარლ მარქსი—მწერალი არავთარ შემთხვევაში არ წარმოადგენს  
გამონაკლის. მწერლის შემოქმედებას ყოველთვის განსაზღვრავს  
კლასი. ხელოვნების კლასობრივობის უარყოფა, ბრძოლა ხელოვნე-  
ბის კლასობრივობის თვალსაზრისით განხილვის წინააღმდეგ უშუა-  
ლოდ დაკავშირებულია ხელოვნების აქტიური შემოქმედებით თე-  
სების უარყოფასთან—ასეთია ხელოვნების მეცნიერებასთან შედარე-  
ბის აზრი.

§ C. საკითხი კლასიკურ ხელოვნებასთან დამოკიდებულების  
შესახებ უშუალო კავშირშია, აგრეთვე ხელოვნების კლასობრივობასა  
და ობიექტივობასთან. ამ საკითხის განხილვა უკეთ აყალიბებს მებ-  
რძოლ მხატვრების პოზიციებს ს. „B“-ში.

თანამგზავრების წინააღმდეგ შეტევა ამ. ეორინსკიმ შეეცადა  
აქტებსა, როგორც ლაშქრობა კლასიკების წინააღმდეგ, მემკვიდრეო-  
ბის უარყოფა და ს. კორონსკი ამის შესახებ სწერდა: „ჩვენმა ქრი-

1) ლიბედინსკის წერილი: „თემები, რომელიც მოელიან თავიანთ ავტორებს“.

ტიკოსებმა უარყვეს თანამგზავრები, ამით ბუნებრივია, რომ  
მათ კლიკური ლიტერატურაც უარყვეს, როცა წამოაყენეს ძველი  
ხელოვნების ფორმისა და შინაარსისაგან განთავისუფლების თეზი-  
სი— თანამგზავრებს, ამხ. კორონსკი უყურებდა როგორც ესთეტი-  
ურ ხიდს, როგორც შემაქრთებელ ხიდს ჩვენსა და კლასიკებს  
შორის.

ამით ამხ. კორონსკიმ მიჩქმალი ის განსხვავება, რომელიც  
არსებობს ახალგაზრდა ბურეუაზის ხელოვნებისა და კაპიტალიზმის  
დაცუმის პერიოდის ხელოვნების შორის. შეტევა თანამგზავრების წინა-  
აღმდეგ, კითომ ბუნებრივად იწვევს კლასიკებზე თავდასხმას. მაგრამ  
აქვე თავისთვად იბადება საკითხი: არსებობს თუ არა ახალი ხელოვ-  
ნების შექმნის საჭიროება? და თუ კი არსებობს, მაშინ ახალი ხე-  
ლოვნების წარმოშობა უშუალოდ დაკავშირებულია ძველი ხელოვ-  
ნების ფორმისა და შინაარსის განთავისუფლებისაგან. სწორედ აქ  
იბადება მეცყვიდრეობასთან დამოკიდებულების საკითხი. ამიტომ  
ჩვენ უპასუხოთ ამ საკითხზე ბურეუაზიულ ხელოვნებას გარკვეულიდ  
ყოფთ სხვადასხვა პერიოდებათ.

ჩვენ სრულებითაც არ უარყყოთ, რომ ხელოვნებას შეუძლია  
მოვცეს სამყაროს ობიექტიური და შეცნობა. მაგრამ აქ საკითხი გა-  
ცილებით უფრო ღრმად არის დასმული.

ვის და როდის შეუძლია ცხოვრების უფრო ობიექტიური და  
ასახვა ხელოვნებაში, ვის და როდის კი უფრო ნაკლებ ობიექტიუ-  
რად? ცხოვრების ზედაპირზე ამომავალი კლასი არ არის დაინტე-  
რებული ცხოვრების დამახინჯებაში.

წინააღმდეგ, ასეთი კლასი საჭიროებს ცხოვრების უფრო სრულ  
და სინტეტიურ ასახვას— მთელი მისი ნაკლულოვანებათა და წინა-  
აღმდეგობებით. ცხოვრების ზედა პირზე ამომავალი კლასი აესილია  
ისტორიული ოპტიმიზმით, ამიტომ ის გაბედულად უყურებს ცხოვ-  
რებას ისტორიული მწვერვალიდან. ამიტომაც მისი მხატვრები იძ-  
ლევიან სამყაროს უფრო ობიექტიურ სურათს. ბურეუაზის დაცემის  
პერიოდის მხატვრები გამოსახავენ ბურეუაზიული საზოგადოების  
დასასრულს, მის სიბერიავეს, მის კულტურულ უნაყოფობას. ამიტომ  
ობიექტიური მომენტი მათ შემოქმედებაში თანდათანობით მცირდება.

მუშათა კლასის მწერლები მარქსისტული მსოფლმხედველობით  
აღჭურვილნი შედიან ლიტერატურაში; მარქსისტული მსოფლმხედვე-  
ლობა კი ერთად ერთი საშვალებაა სამყაროს ობიექტიური შეცნ-  
ბისათვის. მაგრამ არ კმარა მარტო სწორი მსოფლმხედველობა, არ  
კმარა მარტო ნიჭი— საჭიროა აგრეთვე ლიტერატურის ხანგრძლივი

სერიოზული შესწავლა. ახალი შინაარსი ქმნის ახალ ფორმას, როგორც თავისი განვითარების ხანგრძლივ შედეგს ეს კი. გულისხმობს კაცობრიობის მნატვრული გამოცდილების კრიტიკულ ათვისებას. კლასიკების კრიტიკული გადამუშავება, მათი შესწავლა—უნდა შეადგინდეს ჩვენი მწერლის პირველ ამოცანს.

ხოლო კლასების თანამგზავრებისათვის საფარად გამოყენება, თანამგზავრების კლასიური მემკვიდრეობის მატარებლად, მისი ტრადიციების დამცველად იღიარება, ან და როგორც პოლონის ამტკიცებს, რომ ისეთ თანამგზავრებისაგან, როგორიც არის ბაბელი, ჩვენ არა ნაკლებს შევიძენთ ვიდრე კლასიკებისაგან, თანამგზავრების გაკრიტიკების კლასიკოსებზე თავდასხმათ გამოცხადება—შეუძლია შხვლოდ მას, კისაც აინტერესებს ხელოვნების კლასიურობისა და მისი ორგანიზატორული როლის უარყოფა.

ჭ. მარქსისტული ლიტერატურული კრიტიკის ამოცანებს ნაპოსტოველობა უდეგებოდა თავისი მომქმედ პოლიტიკური თვალსაზრისით, რომელიც მულავნდებოდა პოლემიკაში ხელოვნების საკითხების გარშემო.

ახალგაზრდა ბურჟუაზიის კრიტიკა ფდლოსოფიურ ხასიათს ატარებდა, დეკადანის კრიტიკა ესთეტიკური იყო, რომლის ბრწყინვალე წარმომადგენლათ შეიძლება ჩაითვალოს აიხნვალდი—რუსული ემიგრაციის ლიტერატურული მოაზროვნების ბელადი. პირველი—კრიტიკა საზოგადოებრივ უტილიტარულ ხასიათს ატარებდა. მეორე—ხელოვნებას იხილავდა როგორც საზოგადოებრივი ცხოვრებიდან განცალკევებულ მოვლენას, როგორც რაღაც ინანენტურ რიგს თავისი შინაგანი მიზანშეწონილობით. პირველი—კრიტიკა პუბლიცისტური იყო, მეორე—ანტისაზოგადოებრივი.

პისარევი და ვოლინსკი—ასეთია მისი კიდურები.

მარქსისტული კრიტიკა ბრწყინვალედ დაახასიათა პლეხანოვმა. არ არის საჭირო ყველასათვის ცნობილი ციტატების მოყვანა. მარქსისტულმა კრიტიკამ „მოხსნა“ პუბლიცისტური კრიტიკა. ხოლო დიალექტიური მოხსნა არ ნიშნავს მის უარყოფას. იგივე პლეხანოვი ამბობდა, რომ არის ისეთი ხანა, როცა პუბლიცისტიკა შეუკავებლად იქრება მხატვრულ ლიტერატურაში. მარქსისტული ლიტერატურული კრიტიკის „პირველი აქტი“ საომარ ხასიათს იღებს. ის მაშინ ასრულებს თავისი ამოცანას, როცა მას მოჰყვება „მეორე აქტი“. ორივეს მოლიანობას შეუძლია შხვლოდ მხატვრული ნაწარმოების მარქსისტული ანალიზს მოცემა. ეს ასეა. მკითხველს აქვს წარმოდგენა იმ ოპორტუნიზმზე, რომელიც დაუპირისპირდა

ნაპოსტოველებს, ამიტომაც მას სრულებითაც არ უკვირს, რომ კონკრეტური კრიტიკული მუშაობის დროსაც გამომულავნდენ ჩვენი საერთო თეორეტიული უთანხმოებანი.

შეიძლება ითქვას, რომ ნაპოსტოველობის საომარი ლოზუნგი იყო ოპორტუნისტების მიერ მიჩქმალული პლეხანოვის ფრაზა: „როცა ნიჭიერი მხატვარი შთავონებულია შემცდარი იდეით, მაშინ ის აფეშებს მხატვრულ ნაწარმოებს. თანამედროვე მხატვარი არ შეიძლება შთაგონებულ იქნეს მართებული იდეით, თუ ის იცავს ბურულაზიას მის ბრძოლაში პროლეტარიატის წინააღმდეგ“. იკრიტიკებდა რა პლეხანოვი მ. გორჯის „აღსარებას“, ამბობდა: „მხოლოდ მარქსიზმს შეუძლია მ. გორჯის განკურნება“. ასე ამბობდა პლეხანოვი, ხოლო კორონისკის, ლევინიოვის, კორბოვების, უიცები ის სკოლამ—ყოველ მასწავლებელს თავისი შესაფერისი მოწაფე ჰყავს—მიჩქმალა კლასობრივი ბრძოლა ლიტერატურაში, მწერლების მიერ პოლიტიკონის შესწავლის წინააღმდეგ წავიდა, გაათახსირა მარქსისტული ლიტერატურული კრიტიკა და თვითონ მხოლოდ ესთეტიკურ ხოტბა გინებას დაყურდნო. დებულება იგივე დარჩა. ერთი მხარე კრიტიკას განიხილავს როგორც კლასობრივი ბრძოლის იარაღს, ხოლო მეორე მხარე კლასობრივი თვალსაზრისის დამცველების წინააღმდეგ ზარბაზნებს აყენებს.

ჭ. ე. დამახასიათებელია, რომ პროლეტირული ლიტერატურის შემოქმედების გზების გამომუშავების სფეროშიაც ნაპოსტოველობამ წამოაყენა ახალი თემატიკის ლოზუნგი. მოგვეცით ჩვენი ეპოქის ცოცხალი ადამიანი—ამ თვალსაზრისით არჩევდენ პროლეტარულ მწერლებს, როცა ისინი შედიოდენ „ოქტომბერში“, რომელიც იყო თანამედროვე „ვაპის“ წინამორბედი. ლიბედინსკის წერილმა: „თემები, რომელნიც მოელიან თავიანთ ავტორებს“—ჩამოაყალიბა ეს ლოზუნგი. ხოლო თემატიკი ლოზუნგები და შინაარსის დამუშავების საკითხები—კიდევ უფრო ოლრმავებდენ, ჩვენ მიერ წამოყენებულ, შემოქმედებითი სწავლის და ახალი ფორმების გამომუშავების საკითხებს. ჩვენ დავიწყეთ საერთო დეკლარაციით ახალი ფორმების გამომუშავებისა და გადასულ ლიტერატურული სკოლების კრიტიკულად გადამუშავების შესახებ. თუ ნათელია ის მოსაზრება, რომ ჩვენ რეალიზმის ახალ აუგავებას უახლოვდებით, მაშინ არა ნაკლებად ნათელია ისიც, რომ ჩვენი რეალიზმი არ იქნება კლასიკური რეალიზმის მიბაძვა. როგორი იქნება ის? გარკვეულ მიზანთა მიღწევა, ჩვენი დროის ტემპი—რას შეიტანს ყოველივე ეს ახალს ჩვენი მწერლების მიერ ძველი რეალიზმის კრიტიკულად ათვისების საქმეში?

რა უნდა ისწავლოს, ან როგორ უნდა ისწავლოს მხატვრული აღლოს  
მქონე მწერალმა, რომელიც სდგას კლისობრივ პოზიციებზე.  
ყველა ეს საკითხები იდგა და ეხლაც სდგანან ნაპოსტოველო-  
ბის წინაშე.

\* \* \*

ჩვენ არა მარტო ვფილოსოფოსობდით, არამედ ვმოქმედობდით  
კიდეც, რითაც უარესყავით აფორიზმი: ვინც ფილოსოფოსობს ის არ  
მოქმედობსო. ჩვენ, მოქმედება გვაიძულებდა ფილოსოფოსობას.

ნაპოსტოველობის ნიშნის ქვეშ მოხდა პროლეტარულ მწერლე-  
ბის გაერთიანება. იმ დროს, როცა პარტიული ხაზი ჯერ კიდევ გა-  
მომუშავების პროცესში იმყოფებოდა, როცა თითქმის ყველა გამო-  
მცემლობაში და ეურნალებში პროლეტარულ მწერლების მოწინააღ-  
მდეგენი მუშაობდენ.—იმ დროს ნაპოსტოველობამ ჩამოაყალიბა „ვაპ-  
პა“. ძნელია ნაპოსტოველობის გაგება მთლიანად თუ არ განვიხი-  
ლავთ ყველა იმ მნიშვნელოვან საკითხებს, რომელთა გადაჭრაში  
მან მიიღო მონაწილეობა. მაგალითისათვის აღვნიშნავთ პროლეტა-  
რული მწერლობის მასსიურობის საკითხს, პროლეტარული მწერლო-  
ბის მუშგლებეკორობასთან დაკავშირებას და სხვ. ეს თემა, სამწუხა-  
როდ არ შედის იმ პრობლემათა რიცხვში, რომელთაც მე უნდა შე-  
ვეხო აქ. ჩვენი მუშაობის შედეგი ყველასათვის ნათელია: „ვაპპი“  
დღეს პარტიული ხაზის გამტარებელია მხატვრულ ლიტერატურაში.

---

რედაქტორი: დ. რონდელი.

## შ 0 6 1 5 6 0:

	გვერდი
მოწინავე—პროლეტარულ მწერალთა ყველა ასოციაციებს . . . . .	1
3. სამხონიძე—ლექსი ეკონომიკურ კონტრრევოლუციაზე . . . . .	12
6. აბულაძე—ვის საქმეს აკეთებენ?!	14
8. რადიანი—იონა ვაკელი . . . . .	24
9. ნავთლულელი—მაქსიმ გორგის . . . . .	31
10. ხოშგარია—ვნახე ყრილობაზე თანამებრძოლი . . . . .	32
11. წვერავა—ჭერქვეშელის ნააშობი . . . . .	34
12. ჭიქინაძე—შემოსწრებული . . . . .	44
13. ავერბაში—რას ნიშნავს ნაპოსტოველობა . . . . .	46

---

୧୯୬୫



ସ. ମ. ଗ. ବ. ଓଲିଙ୍ଗରାଜୁପାର୍ବେଶ୍ଵରୀଶ୍ଵରୀ ମେ-3 ବ୍ରାହ୍ମିଂ.

ଶ୍ରୀକୃତୀ ନେ 1421.      ମତାବ୍ଲିପ୍ରି 933      ରୀରାଜୀ—1000.

# ს ა ხ ე ლ გ ა მ ა 0

წელი 1928 მეტენი

## საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ყოველთვიური ორგანო.

საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ყოველთვიური  
ორგანო.

ბ. ბუაჩიძის, ი. ვაკელის, ვ. ლუარსამიძის, ა. ლ. მაშავეგილის,  
ე. რადიანის, დ. რონდელის და კ. ფეოდოსიშვილის რედაქტორი.

რედაქტორი: დ. რონდელი.

200 ღება ხელის მოჭერა  
1928 ფლისათვის

წელიშვალში 4 მან. სამი თვით 1 მან. 20 კ. ექვსი თვით 2 მ. 50 კ.  
ცალკე ნომერი 50 კაპ.

### რედაქცია

ტფილისი, ივ. მაჩაბელის ქ. № 13.  
ხელოვნების სასახლე.  
ტელ. 24—51

### კანტორა

ტფილისი, სახელგამი ჰერიოდ  
სექტორი.  
რუსთაველის პრ. № 22